ქართველობის გადასარჩენად 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№108 (169) 1 მარტი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სოფლის გასაჭირი...

შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა და დიდებულმა პიროვნებამ, სულგანათლებულმა გურამ ფანჯიკიძემ ერთხელ ჟურნალ “ნიანგში” გამოაქვეყნა ლექსი, რომელშიც იგი მწარედ დასცინოდა სოციალიზმის მეხოტბე უნიჭო პოეტებს:

“იქ, სადაც წინათ ჩხაოდა ტურა,
ჩვენ ავაშენეთ ასპირანტურა”.

დღეს, ეს ლექსი სულ სხვა სახით წარმოგვიდგება:
“იქ, სადაც გვქონდა ასპირანტურა,
ავბედად ყმუის მგელი და ტურა”!

გადახედეთ სამეგრელოს ველ-მინდვრებს, ერთ დროს ჩაის პლანტაციებს რომ წარმოადგენდნენ. მართლია, შევარდნაძე მიწერების დიდოსტატი გახლდათ და საქართველოში ჩაის წლიური მოსავლიანობა 600.000 ტონამდე აიყვანა, მაგრამ, რეალურად 150.000 ტონა მაღალხარისხიანი ჩაი მაინც ხომ იკრიფებოდა, თუ მეტი არა?

ეს კი, ყოველწლიურად 1,5 მილიარდ დოლარს წმინდა შემოსავალს მოგვიტანდა. მაგრამ, აქედან ხომ ბევრს ვერ მოიპარავდნენ ვერც შევარდნაძე და ვერც სააკაშვილი. აი, იმ გრანტებიდან კი, რომელიც ამერიკამ საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გასანადგურებლად გამოჰყო, მეტი წილი სწორედ მათ ჩაიჯიბეს და ორი კურდღელი დაიჭირეს: საქართველოს სოფლის მეურნეობაც დაანგრიეს და დიდძალი ფულიც იშოვნეს!

1991 წელს ქართულ დელეგაციასთან ერთად ინგლისში ვიყავით მიწვეულები ზუგდიდისა და ინგლისის ქალაქ ვორინგტონის დაძმობილების დოკუმენტაციის გასაფორმებლად. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა ბატონი ოთარ ფაცაციაც, რომელიც მაშინ ენგურის ქაღალდის კომბინატს ხელმძღვანელობდა. ეს კომბინატი პოსტსოციალისტურ სივრცეში ერთადერთი წარმოება გახლდათ, რომელიც უშვებდა ერთჯერადი ჩაის პაკეტების შესაფუთ ქაღალდს. ამიტომ, როცა შეხვედრა მოეწყო ჩაის მწარმოებელ უდიდეს ინგლისურ კომპანია “ლიპტონის” მესვეურებთან, ბუნებრივია, დავსვით ერთობლივი საწარმოს შექმნის იდეა ზუგდიდში, რადგან ერთჯერადი პაკეტების საწარმოებლად მაღალხარისხიანი ჩაიც გაგვაჩნდა და საჭირო ქაღალდიც. ელდა გვეცა, როცა “ლიპტონის” მენეჯერმა ასეთი განცხადება გააკეთა:

— ჩაის ერთჯერადი პაკეტების საწარმოებლად ჩვენ მაღალხარისხიანი ჩაი არ გვჭირდება! დიდი მოგების მისაღებად უნდა გამოვიყენოთ ყველაზე იაფფასიანი საწარმოო ნარჩენები თუნდაც ჩაის მტვერი, რომელსაც დაზგებიდან გამოხვეტავენ ხოლმე!

— არ გამოვა ამ ხალხთან მოლაპარაკება, ბატონო როლანდ, — მითხრა მაშინ ოთარ ფაცაციამ, — ჩვენი ინტერესები არასოდეს დაემთხვევა ერთმანეთს!

გავიდა დრო, რამაც სრულიად დამარწმუნა ბატონი ოთარის სიტყვების რეალობაში. სწორედ ასეთ ჩაის გვასმევს დღეს ჩვენი ხელისუფლება, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს ჩაის ადგილობრივი კულტურების გასანადგურებლად, და დღეს, ერთ დროს მწვანედ გადაბიბინებულ ჩაის პლანტაციებში, მხოლოდ გვიმრა, ჯიჯილაყა და ნაცარქათამა ხარობს!

ჩვენი სოფლის მეურნეობის ნგრევა ჯერ კიდევ მანამდე დაიწყო, ვიდრე საქართველო რუსეთის ბაზრიდან თვითიზოლაციას მოახდენდა. დღეს მსოფლიოს ქვეყნები ტყავიდან ძვრებიან, რომ რუსეთის ბაზარი დაიპყრონ, ჩვენ კი, მაშინ, როცა ყველაზე მყარად ვიყავით ფეხმოკიდებული რუსეთის ბაზარზე, ყველაფერი ვიღონეთ საიმისოდ, რომ ეს ეკონომიკური სივრცე სამარცხვინოდ დაგვეტოვებინა. არა და, სწორედ რუსეთში გაგვქონდა ჩაი, ღვინო, ხილი, ციტრუსები, მურაბები, ხილეულის წვენი, მინერალური წყლები და სხვა უამრავი რამ, რასაც ქვეყნისათვის დიდი შემოსავალი შემოჰქონდა.

ახლა გეკითხებით, საკუთარი ქვეყნის და ხალხის ბედით დაინტერესებული ხელისუფლება წავა ასეთ უაზრო დანაკარგზე? მაგრამ, ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს მსოფლიო ბანკმა და იმ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა, რომელთაც სურდათ, რომ საქართველო მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელი ქვეყნის კატეგორიაში გადაეყვანათ.

მიაღწიეს კიდეც საწადელს — დღეს უცხოეთიდან შემოგვაქვს ის (საკმაოდ უხარისხო პროდუქცია), რაც რამდენიმე წლის წინ თავად გაგვქონდა საქართველოდან (საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია) ექსპორტად.

ახლა, თავად განსაზღვრეთ, ვინ არის საქართველოს ეკონომიკის მტერი, რუსეთი თუ საქართველოს მოძალადე ხელისუფლება?

სამაგიეროდ საქართველოდან მდინარედ გაედინება გასაყიდად ყველაზე არასასურველი საექსპორტო პროდუქცია — ინტელექტუალური და ფიზიკური სამუშაო ძალა, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების დიდი შანსის მიუხედავად ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში “ინტერნაციონალური ვალის” მოსახდელად ერეკებიან ჩვენს ჯარისკაცებს, რათა ყოველდღე სიკვდილს ჩასჩერებოდნენ თვალებში, ზუსტად ისე, როგორც კომუნისტები აკეთებდნენ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში, იქიდან ჩამოსვენებული ცინკის კუბოების გახსნის უფლებას კი ჭირისუფალს არ აძლევდნენ, რათა არავის გაეგო, თუ რა იდო ამ კუბოში — მათი პირმშოს ცხედარი თუ უბრალო მულიაჟი... ცხრა მთას იქით, უცხო ქვეყნებში, მზუნველობას მოკლებული დაუძლურებული მოხუცების მოსავლელად მიდიან ჩვენი ქალები და უპატრონოდ სტოვებენ საკუთარ მოხუცებს, უფრო მეტიც — უსასოობით იმედგადაწურული ქართველი ოჯახის ქალები მიდიან სხვა ქვეყნებში, რათა ბორდელებში იმუშაონ და საარსებო წყარო ამით მაინც გაუჩინონ საქართველოში დარჩენილ შვილებსა და ახლობლებს.

უმუშევრობა, სახელისუფლებო განუკითხაობა, სიძვირე, ამორალურობა და უკანონობა მძლავრობს ქვეყანაში!

აი, როგორი “ბედნიერი” საქართველო გვაჩუქეს ჯერ შევარდნაძის “მოქკავშირელებმა”, შემდეგ კი მათ საშოში აღმოცენებულმა სააკაშვილის “ნაციონალებმა”!

მთლიანად საქართველოს ეკონომიკის კუბოში ჩაჭედებული ბოლო ლურსმანი კი გახლდათ პარლამენტის მიერ „ერთხმად“ მიღებული დადგენილება საქართველოში ანტიმონოპოლური სამსახურის გაუქმების თაობაზე, რომლის შემდეგაც “ფრთა გაშალეს” უკონკურენტებოდ დარჩენილმა სახელისუფლებო კომერციულმა სტრუქტურებმა. სწორედ ამის შედეგი გახლავთ საქართველოში აუცილებელი კვების პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების პერმანენტულად ზრდა.

ქართული ბრენდების ღირსების დაცვაც დიდად არ ანაღვლებს საქართველოს ხელისუფლებას. ამა წინათ ვწერდით, თუ მათი ერისათვის ჩვეული როგორი თავხედობით იჩემებენ სომხები, რომ ჩურჩხელა, საფერავი, ხაჭაპური და “ბორჯომი” სომხური პროდუქტებია და თუ ქართველები ამას უარყოფენ, სასამართლოში ვუჩივლებთო (ცნობისათვის: ქართულ ღვინოს “საფერავი” ძლიერ წითელი, თითქმის შავი ფერის გამო დაერქვა, სომხურად კი ფერს “გუიმი” ჰქვია. ასე რომ, ეს ღვინო რომ სომხური იყოს, მას “საფერავი” კი არა, “საგუიმო” ერქმეოდა). თუნდაც ამ მარტივი ფორმულით შეიძლება ყველაფერ ქართულს აფთრებივით დახარბებული სომეხი არამზადების მხილება, მაგრამ ხარბი მტრისათვის ღირსეული პასუხის გაცემა ნამდვილად არ შედის “ნაციონალთა” გეგმაში). ისიც ფაქტია, რომ საქართველოში სომხური პროგრამის განმახორციელებელი, თავად ძირძველი სომეხი მიხეილ სააკაშვილი ამ უმსგავსოებას წინ არ აღუდგება. გარდა ამისა, საქართველოს განადგურების მომხრეთა მიერ დაგეგმილია კიდევ ერთი მტრული აქცია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ — არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ ბურებს აღმოსავლეთ საქართველოში დაასახლებენ, რაც ერის ერთიანობის დანგრევის ქვაკუთხედად იქცევა, რათა შემდეგ მისი გასომხება გაადვილდეს!

ის, რასაც ვერ ახერხებენ დასავლეთ საქართველოში, ადვილად მოახერხებენ აღმოსავლეთ საქართველოში (განა საამისოდ არ გადააქვთ სახელისუფლებო სტრუქტურები დასავლეთ საქართველოში?!), რადგან, სამწუხაროდ, სახელისუფლებო ძალისხმევითა და ყოველივე ქართულის საწინააღმდეგოს პროპაგანდირებით არაქართულმა ხელისუფლებამ საწადელს მიაღწია: აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ ურჩევნიათ “აღიარონ” სომხური ძირიდან ვართ აღმოცენებული, მაგრამ არაც და არამც კოლხურიდანო!

იქამც ყოფილხართ!

ჩვენ კი დანგრეულ სოფლის მეურნეობას მივსტირით!

არა, ბატონებო, საქართველო გვენგრევა თავზე, საქართველოა გადასარჩენი!

გაზეთის დღევანდელი ნომრის №3, 5 და 7 გვერდები ეთმობა სოჭში 2015 წელს გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ მოვლენებს

სერგეი კრემლიოვი
ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ანმყო თუ არა გწყალობს, ვერც მოგავალს ეღირსები!..
8

დადიანი-ანჩაბაძე მარიამ (მაშო) ნიკოლოზის ასული
10

“მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ 2

ამერიკის პრეზიდენტის დღე თბილისში 12

"მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა"

გამორჩეული ნიშანსვეტი ქართველური ენების შესწავლის გზაზე

ფანტასტიკურიც და საკვირველიც წიგნი გიგანტი

ვინ არიან მეგრელები? საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ამ კითხვას იმთავითვე გასცა პასუხი: მეგრელები არიან სამეგრელოს მკვიდრი ქართველები, ისევე როგორც სვანები არიან სვანეთის მკვიდრი ქართველები. ვინც **„მეგრელს"** და **„სვანის"** ცნებების ამნაირ შინაარსობრივ დატვირთვას ფეხს დააბიჯებს, ის იმწამსვე ლახვარს ასობს პირდაპირ გულში საქართველოს ერთიანობის იდეას, ჩვენი ხალხის ეროვნულ მეობას და ღირსებას. იგი საფრთხეს უქმნის ერთიან ქართულ კულტურას, ტრადიციებს, გნებავთ ქართულ მართლმადიდებლობას.

თუმცა კავკასიელი აგენტის იანოვსკის დამქაში აშორდიას (1889 წელს რუსული ანბანის საფუძველზე შეიქმნა ვითომცდა მეგრული ანბანი) **„საქმენი საგმირონი"**, რაც თესლაშრეტით არ გადაგებულა (გავიხსენოთ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ისაკ ჟვანიას მცდელობა ე. წ. სამეგრელოს ავტონომიის შექმნის თაობაზე, 1989 წლის სტატისტიკური მონაცემები: აფხაზეთის ტერიტორიაზე 200-მდე მოქალაქის **„მეგრელად"** ჩაწერა, ე. წ. **„სამეგრელოს აღორძინების კომიტეტის"** შექმნა და ა. შ.). ვის არ ახსოვს შევარდნაძის ბუტაფორული ხელისუფლების მიერ მოსახლეობაში დაყრილი ჭორები, თითქოსდა ზვიად გამსახურდიას სურდა სამეგრელოს პრეზიდენტობა და მისი მოწყვეტა დედა-საქართველოსგან. ნეოაშორდისტები აქა-იქ ახლაც ბოგინებენ სამეგრელოში, მაგრამ რაც არ უნდა ეცადონ, სამეგრელოს ჯანსაღ მოსახლეობას ვერასოდეს შეიტყუებენ სეპარატიზმის ხაფანგში. **„მეგრული სეპარატიზმი"** არასოდეს იარსებებს.

დიდ ქართულ კულტურას საუკუნების მანძილზე ქმნიდნენ საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი, მეგრელებთან ერთად. მათივე ურთიერთობის საშუალება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა. ივანე ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ **„არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია"**. ჯერ კიდევ X საუკუნეში საქართველოს ყველა კუთხეში წირვა-ლოცვა რომ ქართულ ენაზე სრულდებოდა, ცხადად გვამცნო დიდმა მწერალმა გიორგი მერჩულემ: **„ქართულად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების"**.

უდიდესი ყურადღების ღირსია ივანე ჯავახიშვილის მიერ ლინგვო-ეთნიკურ ასპექტში დაშვებული იდენტიფიკაცია ეთნოსების – იბერ – ეგრისს შორის ცნობილმა მკლევარმა ბ. კილანავამ ღრმა მეცნიერული ეთნოეკონომიკური კვლევის შედეგად ახალი მასალების შემოტანითა და ახლებური „ინტერპრეტაციის საფუძველზე დაასაბუთა, რომ სახელდებები – „**ქართი**" (ქართველი), „**მეგრი**" (მეგრელი), **„იბერი", კოლხი"** ერთიანი საკრალური შინაარსის მომცველი ეთნონიმებია და მითოლოგიურ ჭრილში ნიშნავს ქორწინების წმინდა ადგილში დაბადებულს, რომელთა ემპირიული შინაარსი კი ასეთია: გამაგრებულ ადგილში, აკროპოლისში, ციხე-ქალაქში დაბადებული და მფლობელი მისი ანუ მოქალაქე.

დღესაც, აქა-იქ, უმეცრების ბუჩქებიდან გამოძვრება ტვინისუარი, ტვინთხეული, ტვინნაღრძობი ნეოაშორდისტი და **„გვიმტკიცებს"**, მეგრელებს ცალკე ავტონომია იმიტომ უნდა ჰქონდეთ, რომ მეგრელები და ქართველები სხვადასხვა ხალხი ვართ, სხვადასხვა ენა გვაქვსო. ამ ჭკუათხელებმა ვითომ იციან (საშუალო სკოლა მაინც ხომ დაამთავრეს), რომ მეგრული ქართველური ენაა. ენათმეცნიერთა მტკიცებით, ქართველურ ენათა მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დამდეგისათვის უნდა დაწყებულიყო საერთო ქართველური ფუძეებიდან სვანურის გამოცალკევება, ხოლო უფრო მოგვიანებით ხდება ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა.

ის კი არა და, **„ვეფხისტყაოსანი"** ითარგმნაო მეგრულად, რატომ ბიბლია არ უნდა გვქონდეს მეგრულ ენაზეო. ორი ათასზე მეტი წელია მეგრელს აზრადაც არ მოსვლია ბიბლიის მეგრულად გადმოღება, ვინაიდან მისი საეკლესიო ენა მუდამ ქართული ენა იყო, როგორც დედაენა. ასეთი **„ჰაზრები"** ტვინში მოსდით მხოლოდ სოროსის სოროდან გამომძვრალთ.

ნურავინ გაიხდის მეგრულ ენას ე. წ. **„მეგრული სეპარატიზმის"** იარაღად. თუმცა ასევე ნურავინ შეეცდება ამ უმწერლობო, მაგრამ უმდიდრესი და ულამაზესი ქართველური ენის დაკნინებას, ქართული ენის დიალექტად მის აღიარებას. მეგრული ენის ღრმა მეცნიერული კვლევა (ისევე როგორც სვანური ენისა) ხომ ფაქტიურად უძველეს ქართველურ ფუძე-ენაში ჩაღრმავებაა, მისი სიდიადის გამოვლინება, რამეთუ **„მეგრული დღეს სალარო ა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია... მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ის ძველი სიტყვები"** (აკ. წერეთელი). ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართველურ ენათა ჯგუფის ამ უმწერლობო, მაგრამ უაღრესად საინტერესო ენის ლექსიკური ფონდის შესწავლას. ამ მიმართულებით ბოლო წლებში დიდი წინსვლა შეინიშნება. გამოვიდა ცალკე წიგნებად **პ. ჭარაიას, გ. ელიავას, ო. ქაჯაიას** მიერ შედგენილი მეგრულ-ქართული ლექსიკონები. **მ. ჩუხუამ** გამოსცა უაღრესად საყურადღებო წიგნი **„ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი"**.

მეგრული ენის ლექსიკას და სიტყვათწარმომავლობის საკითხებს დიდი ხანია სწავლობს და იკვლევს მამანტი ძაძამია თავის სანაქებო ქალიშვილთან ცირა ძაძამიასთან ერთად. მ. ძაძამია ფუტკარივით მშრომელი კაცია, დაუშრეტელი ენერგიის პატრონი. მან და მისმა სახელოვანმა ოჯახმა ცხოვრების აზრი მთელი არსებით მეგრული ენის ლექსიკის და სიტყვათწარმომავლობის პრობლემების კვლევა-ძიებაში ჰპოვა. ფრიად წარმატებულმა შედეგმაც არ დააყოვნა.

საგამომცემლო სახლმა **„ინოვაცია"** გამოაქვეყნა **მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას** წიგნი – გიგანტი, შვიდტომეულის მონუმენტური კორპუსი – „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა", რომელიც 4422 გვერდს ითვლის. ეს არის უნიკალური მოვლენა ჩვენს კულტურულ სინამდვილეში. ეს ტომები 30 წლის მანძილზე იწერებოდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში თავად გახლავართ მოწამე-განმცდელი იმ შრომატევადი საქმიანობისა, დაუქანცველი რუდუნებისა, რასაც ამ წიგნების შესაქმნელად ეწეოდნენ ავტორები – გულისა და სულის შიგ ჩატანებით. 30 წელზე მეტია მ. ძაძამიას ოჯახი დაავადებულია მეგრული ენის ლექსიკის სიყვარულის თრიაქით. განუზომელი მადლობა ეკუთვნის აკად. ვლ. ვახანიას, რომლის ძალისხმევით ქართველმა საზოგადოებამ სტამბური წესით იხილა ეს შვიდტომეული.

ეს ტომები მეტეორივით ციდან არ ჩამოვარდნილა. მას უსწრებს ავტორთა მიერ ადრე გამოქვეყნებული წიგნები: 1. მ. ძაძამია, **„მეგრული დიალექტი"**; 2. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, **„ენის წარმოშობის საიდუმლოება"**; 3. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი"**. საქართველოში ასე დაგვანათლა არსთაგამრიგემ: **„თუ ვინმე დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით მას, როგორც ყვავები ძერას"**. დიდი წიგნების ხვედრიც იგივეა. ეჭვიც არ გვეპარება, რომ მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას შვიდტომეულს მალევე გამოუჩნდებიან განმქიქებელნი და მჩხრეკელნიც. დაეთანხმებიან, ან ვერ დაეთანხმებიან ბევრ რამეში, მაგრამ უკიდურესი ტენდენციურობა იქნებოდა იგნორირება იმ სიახლეებისა, რითაც ეს წიგნები სუნთქავენ; უგულებელყოფა იმ ტიტანური და კოლოსაკური შრომისა, რაც ავტორებმა გასწიეს მის შესაქმნელად.

დავიწყოთ იმით, რომ ენის წარმოშობის საკითხი ადამიანს ანტიკური პერიოდიდან აწვალებდა. როგორც ავტორები მიუთითებენ, ენის წარმოშობის შესახებ პირველი მეცნიერული თეორიები წამოყენებულ იქნა ძველბერძნულ ანტიკურ პერიოდში (VI-III სს.). ჰერაკლიტეს თანახმად, სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი. საუკუნეთა მანძილზედ მეცნიერებაში ენის წარმოშობაზე გაჩნდა თეორიები: 1. კინეტიკური თეორია (ხელის ენის ანუ ჟესტ-მიმიკის); 2. შორისდებულების ანუ წამოძახილების თეორია; 3. ხმაბაძვითი თეორია, რომლის მიხედვით ადამიანი ბუნებაში არსებული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე ამეტყველდა; 4. შრომითი წამოძახილების თეორია; 5. მარქსისტული შრომითი თეორია.

მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას, ვლ. ვახანიას საანალიზო შვიდტომეული – **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა"** – არის იმისი დასაბუთება, რომ აღნიშნული თეორიებიდან ენის წარმოშობის მართებულია სწორედ ხმაბაძვითი თეორია.

სწორად არის შენიშნული ავტორთა მიერ, რომ ვინაიდან ენა შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები ბგერებისაგან, ამიტომაც ენის წარმოშობის საკითხის შესწავლისათვის აუცილებელია სამეტყველო ბგერების (საერთოდ ბგერების) რაობის შესწავლა. ავტორები სვამენ კითხვას: რა არის ბგერა, როგორც ასეთი? რის საფუძველზე წარმოიშობა ბგერები? რა აპირობებს ბგერების ესოდენ მრავალფეროვნებას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ცდილობენ სამეტყველო ბგერების რაობისა და წარმოშობის გარკვევას. აქცენტი კეთდება უპირველესად ბუნების მხრიდან ბგერების გაღებაზე. ეს კი დაკავშირებულია საგნის მოძრაობასთან, ურთიერთდაჯახებასთან. ავტორთა დასკვნით: ყველა შემთხვევაში ბგერების გაღება დაკავშირებულია არა მხოლოდ და არა უბრალოდ მატერიათა მოძრაობასთან, არამედ მათ ურთიერთდაჯახებასთან. მათ კარგად უწყით, რომ სამეტყველო ბგერების საფუძვლის შესწავლა შეუძლებელია სარტიკულაციო (საწარმოოქმო ჩვევა) ბაზისის შექმნის დაფუძველთა შესწავლის გარეშე.

მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას მცირეოდენი კორექტივი შეაქვთ ბგერის რაობის ახლედიანისეულ კლასიკურ განმარტებაში: **„ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა ტალღების განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, რაც შეიგრძნობა სმენით"** (გ. ახვლედიანი). **„ბგერა არის მატერიათა დაჯახების შედეგად წარმოშობილი ხმა (ხმიანობა), გადატანილი ამავდროულად წარმოშობილი ჰაერის ნაწილაკთა ტალღების განსაზღვრული რხევითი მოძრაობით, რაც შეიგრძნობა სმენით"** (მ. ძაძამია, ც. ძაძამია).

ზოგადად ენის წარმოშობის შესასწავლად საჭირო იყო შესწავლა იმისა, თუ როგორ უნდა დაკისრებოდა, თავის დროზე, დანიშნულებითი ფუნქცია ბგერას, ბგერით ფორმას. ისინი მასზე პასუხის გაცემით კიდევ უფრო განამტკიცებენ საძიებელი პრობლემის საძირკველს. ამისთვის კვლევა-ძიების ობიექტად გაუხდიათ კონკრეტულად მეგრული ენის ლექსიკა.

შრომატევადი მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ თანამედროვე მეგრულ ენაში, ჩვეულებრივ ხმოვნურ სიტყვებთან ერთად, სახეზეა 500-მდე თანხმოვნური (მხოლოდ თანხმოვანი ბგერებისაგან შედგენილი) სიტყვა: ერთთანხმოვნიანი, ორთანხმოვნიანი, სამთანხმოვნიანი და ა.შ... ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ყოველ თანხმოვნურ სიტყვასთან, როგორც წესი წარმოდგენილ (ნახევრადხმოვან) ბგერაზე, რაც მარცვალწარმომქმნელად გვევლინება. წიგნში ამისი ურიცხვი მაგალითია დაფიქსირებული; კეროდ, ერთთანხმოვნიანი სიტყვები: გ) (ჰგავს) ლ) (ვარდება), შ) (ახსოვს, სველია), ჩ) (აჭამა) და სხვა. კვლევა-ძიებამ ავტორები მიიყვანა თვალსაზრისამდე, რომ თანხმოვნური ფორმები და (მათი თანმხლები) ბგერა შესაძლოა პირველადი ფორმები ყოფილიყვნენ.

ენათმეცნიერებაში ბგერა პირველად ალექსანდრე ცაგარელმა შეისწავლა, რომელმაც მას მარცვალმიმთითებელი ბგერა უწოდა. ეს ნიშანიც მის მიერვეა შემოღებული. მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას, და ლ. ვახანიას მტკიცებით, აფიქსები, კერძოდ, სუფიქსები, პრეფიქსები, ინფიქსები (ბოლოსართები, წინსართები, შიგსართები), ასევე ზმნისწინები, სიტყვებში წარმომავლობენ ბგერისგან. მეტიც, მისგან წარმომავლობენ ნაცვალსახელები, ზმნები, ცალკეული მეტყველების ნაწილები (მათი უდიდესი ნაწილი). შრომის ეს მონაკვეთი ავტორთა უდიდეს მიღწევად მიგვაჩნია.

ამ უნიკალურ ნაშრომში მ. ძაძამია, ც. ძაძამია და ვლ. ვახანია დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ საგნების სახეწოდებისა და ენის წარმოშობის საფუძველი არის საგნებისავე ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა: ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვის საფუძველზე მოახდინა ადამიანმა დაუნაწევრებელი ბგერებიდან ცელკეული თანხმოვნური ბგერებისა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამოყოფა-გამომარცვლა ბგერისმიერი გახმოვანებითა და სათანადო დეტერმინაციით, რამაც განაპირობა პირველყოფილი თანხმოვნური მეტყველების წარმოშობა. ასე რომ, პირველადია თანხმოვნური ბგერებიც და ბგერაც. ეს კი ენათმეწნიერებაში გადასინჯავს გავრცელებულ მოსაზრებას ბგერის მეორეულობის შესახებ.

ენის წარმოშობის საკითხების გასარკვევად ავტორთა კვლევა-ძიების ძირითადი ობიექტია მეგრული ენა, უფრო სწორად, სიტყვა, ენობრივი ნიშანი, სამეტყველო ბგერები, ენის ლექსიკა ანუ სიტყვობრივი მარაგი, მათი წარმომავლობა მეგრული ენის მაგალითზე.

ავტორთა გამოკვლევით მტკიცდება, რომ მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ხმაბაძვით საფუძველს ემყარება. გამოკვლევამ აჩვენა: მეგრულში გვაქვს 75 ძირითადი სუფიქსი, იგივე პირველადი საწყისისეული სუფიქსი და 120 მეორეული წარმოების სუფიქსი. თუ ქართულში 15 ზმნისწინია, მეგრულში – 85. საანალიზო შვიდტომეულმა დაასაბუთა მეგრული ენის ლექსიკის ზმნური ფონდის გასაოცარი სიმდიდრე, რაც განფენილია I-II-III-IV-V ტომებში. ავტორთა გაანგარიშებით თანამედროვე მეგრულის ლექსიკა ითვლის დაახლოებით 102 773 879 სიტყვას. აქედან ზმნურ ფონდს განეკუთვნება 102 747 879 სიტყვა (99,9%), ხოლო სხვა მეტყველების ნაწილებს 26 000 სიტყვა. ზმნურ ფონდში ითვლება: ზმნები, სახელზმნები (საწყისები ანუ მასდარები და მიმღეობები).

მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას მიერ გაწეულმა ტიტანურმა შრომამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ენის წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს შორის პრიორიტეტი ენიჭება ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის თეორიას. კაცობრიობის ენათა დასაბამიერ ენას, ანუ ფუძეენას წარმოადგენს **„ბუნების ენა"**. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი პირველად ამეტყველდა ბუნებაში არსებული ბგერებით, მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე.

მოკლე მიმოხილვას დავასრულებთ ცნობილი ენათმეცნიერის, პროფესორ ო. მიქიაშვილის უაღრესად საყურადღებო გამოხმაურებიდან მოხმობილი საგულისხმო ნაწყეტით: **„მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას მიერ შექმნილი შვიდტომეულის („მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა") გაანალიზებისას, შესაძლოა ვინმემ სცადოს, იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები თავს იჩენს დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს"**.

ტიტე მოსია
შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის სრული პროფესორი

*გაზეთი **„ეგრისის მაცნე"**, № 12 (231), 23-30 ივნისი, 2008 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნო ხიდირბეგიშვილი: „საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიადა-2014-ში სოჭში, ანუ როგორ ეპყრობიან ქართველებს რუსეთში“

2011 წლის 9-12 თებერვალს სოჭში **დსთ**-ის, ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს მედიის ხელმძღვანელთა და ჟურნალისტთა ჯგუფი ჩავიდა. ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია **„ერთიანი საინფორმაციო ცენტრისა“** და **,,რია ნოვოსტის''** მიერ ერთობლივად ორგანიზებული პრესტურის მიზანი სოჭში XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და 2014 წლის პარალიმპიური თამაშებისთვის მომზადების მსვლელობის გაცნობა იყო.

საქართველოს წარმოადგენდნენ: **ყოველკვირეული გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბონდო მძინარაშვილი** *(მის მასალას, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მშენებარე ოლიმპიური ობიექტები, შეგიძლიათ ჩვენი საიტის მთავარ გვერდზე გაეცნოთ)* და **საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი,** რომელიც ქვემოთ თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველებს ადამიანებზე, რომლებსაც იქ შეხვდა.

„საქართველოდან ხართ? მობრძანდით, გეთაყვა!“

როგორც ცნობილია, თეატრი საკიდიდან იწყება, ჩვენი მგზავრობა კი აეროპორტიდან დაიწყო. პირდაპირი ავიარეისის არარსებობის გამო, სოჭში ორი გადასხდომით ჩავფრინდით: თბილისი-მოსკოვი და მოსკოვი-სოჭი. რეისები ცალ-ცალკეა, სატრანზიტო არ არის. ამიტომ დომოდედოვოში დაშვებისა და ტვირთის მიღების შემდეგ სარეგისტრაციო დარბაზისკენ ხელახალი რეგისტრაციისთვის გავეშურეთ.

დომოდედოვოში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები შემოიღეს, მკაცრი კონტროლი დაწესდა გასასვლელშიც, ამიტომ, ჩვეულებრივ თავისუფალ **„მწვანე კორიდორთან“** სხვადასხვა რეისით ჩამოსული მგზავრების საკმაოდ გრძელი რიგი დადგა. უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, მებაჟეები და, ღმერთმა უწყის, კიდევ რომელი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, ყურადღებით ეცნობოდნენ დოკუმენტებს, ადარებდნენ ბარგის ტალონებს და რენტგენულად ამოწმებდნენ ტვირთს.

უცებ, რიგში მდგომთ ერთ-ერთი ზემონახსენები ფორმიანი და **„ვარსკვლავებიანი“** თანამშრომელი მოგვადგა:

-საიდან ხართ? - მკაცრად გვკითხა.

-საქართველოდან, - მივუგე მე.

-საქართველოდან? მობრძანდით, გეთაყვა! - მივიღეთ პასუხად.

ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ურიგოდ გვიშვებდნენ, ამიტომ მისი თავაზიანი ***„მობრძანდით, გეთაყვა!“*** თავდაპირველად სავალალოდ ცნობილ ***„ჩვენთან ერთად წამობრძანდით!“*** მივიღე და ამიტომ ჩავეკითხე: – ***საით?***

–გასასვლელთან მიბრძანდით! – განგვიმარტა ძალოვანმა და, ჩემი გაოცება რომ შენიშნა, გასასვლელისკენ ხელითაც მიმითითა...

„საქართველოში მიდიხარ, გენაცვალე?“

ამით დომოდედოვოში სასიამოვნო სიურპრიზები არ დასრულებულა. აეროპორტიდან (სარეგისტრაციო დარბაზიდან) ქუჩაში მოსაწევად გასულ ჩემს კოლეგა ბონდო მძინარაშვილს დარბაზში დაბრუნებისას ხელახლა მოუხდა შემოწმების პროცედურის გავლა. კიდევ კარგი, ბარგი მე დამიტოვა, ამიტომ მხოლოდ ხელის ლითონის დეტექტორით შეამოწმეს და პასპორტის წარმოდგენა მოსთხოვეს.

ქართული პასპორტის ხელში აღებისას, მილიციელმა აქცენტით, მაგრამ ქართულ ენაზე (!) წარმოთქვა – ***საქართველოში მიდიხარ, გენაცვალე?*** – და ღიმილით სახეგაბადრულმა მაშინვე დაუბრუნა პასპორტი გაოცებისაგან გაშეშებულ ბონდოს!

ქართველი ხარ? - ჰკითხა შოკიდან გამორკვეულმა ჩემმა კოლეგამ.

არა, რუსი ვარ! – გულღიად უპასუხა ქართულის არცთუ ურიგოდ მცოდნე მილიციელმა და სალამი აუღო, რადგან სასიამოვნო მუსაიფის დრო აღარ ჰქონდა მგზავრთა სიმრავლის გამო და ამის ნებას, ალბათ, არც სამსახურებრივი ინსტრუქცია აძლევდა...

,,კანონიერი“ ქართული ენა

პრეზიდენტი სააკაშვილი ხშირად უწოდებს საქართველოს მსოფლიო ლიდერს სხვადასხვა სფეროში - ეკონომიკის განვითარებაში, დემოკრატიის მშენებლობაში, კორუფციასთან ბრძოლაში, სამართალდამცავი ორგანოების, განათლებისა და სასამართლო სისტემაში რეფორმების გატარებაში და ავიწყდება, რომ ხელისუფლების სათავეში მის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე **საქართველოს რეალურად ეკავა პირველი ადგილი „კანონიერი ქურდებისა“ და მათ „ექსპორტში“: ჯერ სსრკ-ში, ხოლო შემდეგ – ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

ამ მგზავრობისას აღმოვაჩინე, რომ, **ქართველი ქურდების გარდა, რუსეთის ფედერაციაში „კანონიერია“ ქართული ენაც!** მორიგი სიურპრიზი, რამაც კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გაგვაოცა დომოდედოვოში (უკვე უკან დაბრუნებისას), **ქართულ ენაზე თბილისის რეისების გამოცხადება იყო!**

თავდაპირველად ეს ჩემი კოლეგის – ბონდოს ხუმრობად მივიღე. საქმე ისაა, რომ მთელი გზა ჩვენ საკმაოდ ხმამაღლა ვსაუბრობდით ქართულ ენაზე, ხოლო რაკიღა ქართველები საკმაოდ ემოციურად ვსაუბრობთ, თავდაპირველად ვიფიქრე, რომ იგი, საინფორმაციო ბიუროში წინასწარ დაზუსტების შემდეგ, მატყობინებდა - როდის და რომელი გასასვლელიდან განხორციელდებოდა თბილისისკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩასხდომა. მაგრამ, როცა ჩასხდომაზე მიპატიჟება თავანკარა რუსულით გაიმეორეს, მივხვდი, რომ ეს ნამდვილად ვერ იქნებოდა ბონდო...

,,განა დღეს ასეთი რამ შეიძლება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოხდეს?!'' – სევდიანად გავიფიქრე მე და გამახსენდა, ორიოდე წლის წინათ როგორი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რუსულად მეტყველებამ თბილისის რესტორანში **„თაღლაურა“**, სადაც ხშირად სტურმობენ ქართველი ხელისუფალნი და სადაც აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმარი, ჟურნალისტი რომან ტემნიკოვი მივიწვიე (მადლობა ღმერთს, რომანმა ვერ გაიგო, რა ქართული ეპითეტები ჟღერდა ჩვენი მისამართით გვერდითა მაგიდიდან. მე კი სირცხვილითა და ბრაზით აღვსილმა, თავი მოვიკატუნე, აქაოდა დავყრუვდი-მეთქი...).

დღეს კი საქართველოში რუსული ენა „კანონგარეშეა“: რესტორნებში აკრძალეს რუსული სიმღერების შესრულება და, საერთოდ, რუსულად სიმღერა, კინოთეატრებში - იმ ფილმების ჩვენება, სადაც რუსულად ლაპარაკობენ, ხოლო ანტირუსული სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდობა ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს პუტინსა და პუშკინს!

ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშები იმერეთის დაბლობზე გაიმართება

იცით, რაზე ვოცნებობდი სოჭში ყოფნისას? არ დაიჯერებთ: მინდოდა, რომ ჩემი მობილური ტელეფონისთვის საქართველოს შსს-ს მოესმინა და ყველაფერი, რასაც იქ მოისმენდნენ, პირადად მიშასთვის გადაეცათ!

არადა, ბევრ საინტერესო და ჭკუის სასწავლებელ ამბავს მოისმენდნენ:

– მაგალითად, იმას, რომ პრესტურის მონაწილეებს (ჟურნალისტები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან და საქართველოდან) სტუმართმოყვარე მასპინძელ-ორგანიზატორებმა არაერთხელ აუხსნეს, რომ **სოჭი და მისი შემოგარენი, სადაც ოლიმპიური პარკი და ოლიმპიური სოფელი შენდებოდა, იმერეთის დაბლობზე მდებარეობს. ეს ჩვენთვის ნაჩუქარ, ოლიმპიური თემატიკის სარეკლამო ბუკლეტებსა და ჟურნალებშიც არის აღნიშნული***(სხვათა შორის, ჩვენში, ახლახან ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთან შესაბამისად, ყველა ბუკლეტში, სარეკლამო ჟურნალსა და რესტორნების მენიუებშიც კი (?!) აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული);*

პირველივე დღეს, ექსკურსიის დაწყებისთანავე, იმერეთის დაბლობის შესახებ ავტობუსში სახელმწიფო კორპორაცია **„ოლიმპსტროის“** საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანაშრომელმა **სიმა აივაზიანმა** გვამცნო, რომელიც ორი დღის განმავლობაში სიამოვნებით ასრულებდა ჩვენი გიდის მოვალეობას. ის თან ახლდა ჟურნალისტების დელეგაციას ყველა ოლიმპიურ მშენებლობაზე და დაუფარავი სიამაყით მოგვითხრობდა თვალსა და ხელს შუა გამშვენიერებულ სოჭზე. არ ვიცი, შემთხვევით თუ განგებ, მაგრამ **სიმა საქართველოში, ქალაქ მარნეულში დაბადებული და გაზრდილი ქართველი აღმოჩნდა, რომელიც სოჭში მოგვიანებით, სომეხზე გათხოვების შემდეგ, გადასახლდა.**

(ცნობისთვის: სოჭში უძველესი დროიდან ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები - რუსები და ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებსაც ძალიან უყვართ თავიანთი ქალაქი, დღეს კი მხარდამხარ შრომობენ ოლიმპიური ობიექტებისა და სოჭის ინფრასტრუქტურის მშენებლობებზე. და ეს, მიუხედავად იმ სამწუხარო ფაქტისა, რომ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ეს ხალხები, სისხლისმღვრელი ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ, ერთმანეთს დღემდე კალაშნიკოვის ავტომატის სამიზნიდან უცქერენ...)

ვაღიარებ: ან თანამემამულე სიმას ხმა ჩამესმოდა იავნანად, ან ამ გულის ამაჩუყებელი ტოლერანტობის გამო (თანაც, წინა დღის ორმაგი ფრენის შემდეგ რიგიანად დასვენებულიც არ ვიყავი) რაღაც მომენტში ჩამთვლიმა... თვალი რომ გავახილე, ავტობუსის ფანჯრიდან ქართველის თვალისთვის ერთობ ჩვეული პეიზაჟი ვიხილე (ზღვა, სახლები, მთები), თავდაპირველად ვიფიქრე, ალბათ, შინ, საქართველოში, ვარ-მეთქი!...

და კიდევ, ძალიან მინდოდა, რომ საქართველოში მავანს მოესმინა, როგორი მწუხარებით მოიხსენიებდნენ საქართველოს „მტრები“ ვანკუვერში დაღუპულ ქართველ მოციგავე ქუმარიტაშვილს, და ტრაგედიის განმეორების თავიდან ასაცილებლად, როგორ გასწიეს რუსმა „ოკუპანტებმა“ დიდძალი ხარჯი, რათა უკვე მშენებარე საციგაოგობსლეის ტრასის პროექტი შეეცვალათ და მას სამი სიჩქარის „დამამუხრუჭებელი“ კონტრაღმართი დაუმატეს...

პუტანინს რუსეთში – დიდება და სახელი, პატარკაციშვილს საქართველოში კი – თავსლაფი და სიკვდილი?!

ვიმეორებ: დაწვრილებით მონათხრობს სოჭის საოცრებებზე, წარმოუდგენელ ციფრებსა და ზღაპრულ პროექტებზე ჩემი კოლეგის – ბონდო მძინარაშვილის პუბლიკაციაში წაიკითხვათ:

– იმის შესახებაც, თუ როგორ აფართოებენ ევროპაში ყველაზე **„გრძელი“** ქალაქის - შავი ზღვის სანაპიროზე თითქმის 150 კმ-ზე გადაჭიმულ სანაპირო ზოლს, რომელსაც ზღვაში მთელი 50 მეტრით **„შეჭრიან“**, რისთვისაც იქ, თუ არ ვცდები, 5 მლნ-მდე ტონა ცემენტს ჩაასხამენ;

–400 კილომეტრიანი ახალი გზებისა და ხიდების შესახებაც, რომელთა სიგრძე 150 მეტრზე მეტია და 9-ბალიანი მიწისძვრის გაძლება შეუძლია;

–ახალ 200 კილომეტრიან სარკინიგზო ქსელზე, 8 საბაგირო გზასა და 22 უნიკალურ გვირაბზე, ტექნიკის ბოლო სიტყვით - ფარის ტექნოლოგიის გამოყენებით რომ კვეთს მთის მასივს.

– შეიტყობთ, რომ სოჭში ოლიმპიური თამაშები ორ ადგილას – სანაპირო და მთის კლასტერზე გაიმართება, რომლებსაც ერთმანეთთან უნიკალური თანამედროვე მატარებლები 30 წუთზე ნაკლებ დროში დააკავშირებს. ეს პირველი შემთხვევაა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, როცა ყველა ობიექტი ასე კომპაქტურადაა განთავსებული! და კიდევ სად არის, სოჭის გარდა, შესაძლებელი, ასეთ მოკლე დროში ერთი კლიმატური სარტყელიდან მეორეში - თბილი ზღვიდან ყინულოვან მწვერვალებზე რომ მოხვდე?! ალბათ, – არსად, გარდა საქართველოსი...

– სოჭში ოლიმპიური სოფელი, პრესცენტრი და ტელეცენტრი სანაპირო კლასტერის ოლიმპიური ობიექტებიდან - ოლიმპიური პარკიდან, ცენტრალური სტადიონიდან, საკერლინგო ყინულის არენიდან, გადახურული საციგურაო მოედნიდან, ჰოკეის დიდი და პატარა ყინულის არენებიდან ორ ნაბიჯში მდებარეობს. მთის კლასტერის აღჭურვილობებს მიეკუთვნება **„კრასნაია პოლიანაზე“** მდებარე სამთო-სათხილამურო კომპლექსი **„როზა ხუტორი“**, სადაც ჩატარდება შეჯიბრი ბიატლონში, ბობსლეიში, ტრამპლინიდან ხტომაში, სნოუბორდსა და ფრისტაილში, სლალომში. აქ აშენდება მთის ოლიმპიური სოფელი 2600 სპორტსმენისთვის – ექვსი სასტუმრო, აპარტ-ოტელები, მაღაზიები, რესტორნები. ოლიმპიადისთვის კურორტი **„როზა ხუტორი“** მზად იქნება დღეში 5-დან 10 ათასი კაცის მისაღებად, დასრულების შემდეგ კი ეს მთის ქალაქი უდიდესი სამთო-სათხილამურო კურორტის შემადგენლობაში შევა.

*(სხვათა შორის, ჟურნალისტების სტუმრობისას კომპლექსში სატესტო შეჯიბრი მიმდინარეობდა - რუსეთის თასზე სამთო-სათხილამურო სპორტში 2011; ევროპის **FIS** თასზე სამთო-სათხილამურო სპორტში მამაკაცთა შორის 2011; ევროპის **FIS** თასზე სამთო-სათხილამურო სპორტში ქალებს შორის 2011).*

კურორტ **„როზა ხუტორის“** მთელი პროექტის ბიუჯეტი - 1 მლრდ 700 მლნ დოლარია და, როგორც არაერთხელ გამოგვიცხადეს **(ქალაქ სოჭის მერმა ანატოლი პახომოვმა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სამთო-სათხილამურო კურორტ „როზა ხუტორის“ სადეველოპერო კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა სერგეი ბაჩინმა, ღია სააქციო საზოგადოება სოჭის „რუსეთის რკინიგზის“ ხელმძღვანელმა ანდრეი დუდნიკმა** და სხვა ოფიციალურმა პირებმა), ეს ყველაფერი ცნობილი რუსი მეწარმის – **ვლადიმირ პოტანინის** სახსრებით აშენდა. ხოლო მთლიანად, სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებლად 200 მლრდ რუბლამდე დაიხარჯა **(რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერის დმიტრი კოზაკის** განაცხადებით – 185 მლრდ რუბლი), საიდანაც დიდი წილი (100 მლრდ რუბლამდე) რუსეთის ბიზნესზე მოდის, ხოლო დანარჩენი – სახელმწიფოს ხარჯია.

რატომაა, რომ რუსეთში ამაყობენ თავიანთი ბიზნესმენებით, ხოლო საქართველოში მათ კლავენ?! განა აწ გარდაცვლილმა ბადრი პატარკაციშვილმა და საქართველოდან კვლავ მოსკოვში გაქცეულმა ბიძინა ივანიშვილმა ნაკლები გააკეთეს საქართველოსთვის, ვიდრე პოტანინმა - რუსეთისთვის?! რატომაა, რომ, მათ, ჭეშმარიტ მეცენატებს, ასობით მილიონი დოლარი რომ დახარჯეს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეზე, დღეს თითქმის არავინ მოიხსენიებს კეთილი სიტყვით, ხოლო თუ მოიხსენიებს - მხოლოდ ნიშნისმოგებით?! ნუთუ ჩვენ, ქართველები, უმადური ხალხი ვართ და მსოფლიოში მხოლოდ ჩვენ არ ვაფასებთ ჩვენს ბიზნესმენებს?! სირცხვილია, ბატონებო! არადა, ღვთის წინაშე წარდგომა ხომ ყველას მოუწევს...

სხვათა შორის, როცა კომფორტაბელური საბაგირო გზით თითქმის ორ-ნახევარი კმ-ის სიმაღლეზე ადიხარ, საიდანაც სათავეს იღებს **„როზა ხუტორის“** სამთო-სათხილამურო ტრასები, ცამდე – ერთი ხელის გაწვდენაა და ჩემს კოლეგა ბონდო მძინარაშვილს მოეჩვენა კიდეც, რომ სტუმრად ღმერთთან იმყოფებოდა!

კიდევ კარგი, რომ ეს სახლები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილ ქართველებს არ უნახავთ...

ოლიმპიური მშენებლობის ზონაში რამდენიმე დასახლება-სოფელი მოხვდა და, ისინი თუნდაც შიფერით გადახურული უსახური ერთსართულიანი შენობები ყოფილიყო, ადამიანისთვის მაინც ძალზე ძნელია მშობლიურ სახლთან გამოთხოვება. ამიტომ სახელმწიფო კორპორაცია **„ოლიმპსტროიმ“** გადმოსახლებულთათვის 138 ჰა ფართობის 7 მოედანი გამოყო, სადაც 570 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა (რომელთაგან ნახევარი უკვე საექსპლუატაციოდ ჩაბარდა) და 600-ზე მეტი ბინის მშენებლობა დაიწყო, მოქალაქეებს ასევე, გამოეყოთ მიწის ნაკვეთები და ფულადი კომპენსაციები.

სოფელ ნეკრასოვკაში ეს სახლები გვიჩვენეს და ამჯერად აღარ მომჩვენებია, რომ საქართველოში ვარ: დაგეგმარებით განსხვავებული, თუმცა ერთი სტილის სახლები, ევროპის ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდა (მკითხველი ამაში თავადაც დარწმუნდება, როცა ჩვენი საიტის ფოტოგალერეას ეწვევა)**! იქ უკვე გაშენებულია პარკი, არის დიდი ხელოვნური ტბა და აგებულია პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი, ეკლესია და, საერთოდაც, ენა არ მიბრუნდება, ნეკრასოვკას სოფელი ვუწოდო...**

ამ სახლების დანახვაზე ორგვარი გრძნობა დამეუფლა - ეს იმ ადამიანების სიხარულის გაზიარებაც იყო, ვინც უკვე იქ ცხოვრობდა (რაზეც მეტყველებდა ეზოებში გახარებული ყვავილები და ჭიშკრის მიღმა მდგომი მანქანები), **და არ დავმალავ, შურიც...**

და არა იმიტომ, რომ თავადაც ბედნიერად ვიცხოვრებდი ასეთ სახლში, არა! მე ხომ ამ მშვენიერებას არა მარტო ჟურნალისტის, არამედ ქართველის თვალითაც ვუყურებდი! როგორ არ უნდა შემშურებოდა ამ ხალხის, როცა ჩემს სამშობლოში 350.000-მდე ლტოლვილმა დატოვა მშობლიური კერა, მაგრამ, იღბლიანი სოჭელებისგან განსხვავებით, სანაცვლოდ, უკეთეს შემთხვევაში, მჭიდრო რიგებად ჩამწკრივებული და საცხოვრებლად უვარგისი სათამაშო სახლები მიიღეს, ბარბის საბინადროს რომ ჰგავს?! რა თქმა უნდა, იქ არც პარკია, არც ტბა და არც ეკლესია, როგორც ნეკრასოვკაში, სამაგიეროდ, არის პოლიციის გამჭირვალე შენობა... მოკლედ, თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო – საქართველოში მალე საერთოდ აღარ იქნებიან დევნილები...

ქართველი ჟურნალისტები – აფხაზეთიდან ორ ნაბიჯში

ნეკრასოვკის შემდეგ ჩვენი ჯგუფი აფხაზეთის საზღვართან მდებარე ფსოუს დასახლებას ეწვია. თუმცა ძნელია მას საზღვარი უწოდო –

გაგრძელება მე-7 გვ.



სერგეი კრემლიოვი

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მათ კი სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა შუამდგომლობას არ უწევდა. გამოდის, რომ ისინი მთლად ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებული ტუპოლევის უდანაშაულობაში!

სავარაუდოა, რომ ბალანდინის პრეცედენტის შემდეგ შახურინს აუცილებლად უნდა დაესვა ანდრეი ტუპოლევის ციხიდან განთავისუფლების საკითხი. მაგრამ... მაგრამ ასე არ მოხდა და მაშინ, რა პრეტენზიები უნდა წავუყენოთ ლავრენტი ბერიას? იგი ხომ, შახურინის, დემენტიევის, იაკოვლევისა და მრეწველობის დარგის სხვა ხელმძღვანელების მსგავსად კარგად არ იცნობდა, ან სულაც არ იცნობდა მრეწველობის დარგის მუშაკებს. ლავრენტი ბერია ოპერატიული მასალების საფუძველზე მოქმედებდა და დაუსაბუთებლად არავის აპატიმრებდა...

მაგრამ, იმ დროს ხომ მძვინვარე ომი იყო გაჩაღებული.

მაგრამ ომი ყველასათვის არ მძვინვარებდა... ახლა კი მკითხველს გავაცნობ საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარ შახურინთან დაკავშირებულ საინტერესო ცნობებს, და არა მხოლოდ მასთან დაკავშირებულს... ოცდაათიანი წლების დასასრულს და ორმოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გამოჩნდა ვიღაც კონსტანტინე უმანსკი... წიგნ **"სტალინის საიდუმლო პოლიტიკის"** ავტორი გ. კოსტირჩენკო მას განსაკუთრებულად გამორჩეულ, ამავე დროს, ტრაგიკულ პიროვნებად მიიჩნევს და ტყუილების კორიანტელში აგრძელებს განსჯას:

"რუსული ავანგარდისა და ფერწერის დიდი მცოდნე, ჟურნალისტ მ.ე. კოლცოვის მეგობარი უმანსკი 30-იან წლებში მუშაობდა საკდესის (TACC) კორესპონდენტად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი სამუშაოდ გაგზავნეს სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. მან ჯერ კიდევ 1922 წელს დაიწო მუშაობა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში, სადაც ხელმძღვანელობდა ბეჭდვითი საქმეების განყოფილებას, რომელსაც მის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ე.ა. გნედინი (უფრო ზუსტად – პარვუს-გელფანდ-შვილი, ბევრად უფრო ბნელი ფიგურა, ვიდრე იყვნენ კოლცოვ-ფრიდლიანდი და თუნდაც თვითონ უმანსკი – ს.კ.). 1939 წელს უმანსკი ელჩად გაამწესეს ამერიკის შეერთებულ შტატებში (მანამდე წარმომადგენლობის მრჩეველი გახლდათ), საბჭოთა კავშირისათვის უმძიმეს 1941 წელს კი უმანსკი მოსკოვში იხმეს..."

უმანსკი შეცვალა მაქს ლიტვინოვვალახმა, რომელსაც საკმაოდ მყარი ავტორიტეტი ჰქონდა ამერიკის სიონისტებს შორის, თუმცა, ამ საქმეში მას არც უმანსკი ჩამორჩებოდა. და 1943 წლის მაისამდე **"უურნალისტ კოლცოვის"** გამორჩეული მეგობარი უმანსკი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო და მაისში იგი ელჩად გაუშვეს მექსიკაში (1945 წლის მაისში იგი მექსიკაში ავიაკატასტროფაში დაიღუპა).

მოგითხრეთ რა ამის თაობაზე, გავაგრძელებ კოსტირჩენკოს წიგნის ციტირებას, რომელსაც პრეტენზია აქვს სერიოზულ მონოგრაფიულ ნაშრომზე (მართლაც, წიგნში უამრავი საინტერესო დოკუმენტია გამოქვეყნებული):

"უმანსკის ოჯახს (1943 წლის მაისში – ს.კ.) დიდი უბედურება ეწვია. მისი ქალიშვილი ნინა, რომელიც უმაღლესი ნომენკლატურის შვილების სკოლაში სწავლობდა (სტალინის შვილი – ვასილი ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა – ს.კ.) დაუმეგობრდა საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის შვილს ვალოდია შახურინს და მათ შორის რომანტიული გრძნობა გაჩნდა, რაც მალე დიდი ტრაგედიის მიზეზად იქცა. როცა ცნობილი გახდა, რომ ნინა მექსიკაში მიემგზავრებოდა, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს გამოსამშვიდობებელი საღამოს მოწყობა. მანამდე კი, საღამოს პაემანზე შეყვარებულებს შორის ცხარე საუბარი გაიმართა და აღელვებულმა სახალხო კომისრის შვილმა ჯერ ქალიშვილი მოჰკლა რევოლვერით, შემდეგ კი სასიკვდილოდ დაიჭრა თავი..."

პატივცემულო მკითხველო! თუ ვინმეს ებრალება ეს ახლადმოვლენილი რომეო, ამ საქმის თაობაზე მე შემიძლია მხოლოდ მხრები ავიჩეჩო. მიდიოდა სისხლისმღვრელი ომი... ყველა ცდილობდა, რომ, ამ მძიმე ჟამს, რაღაცით მაინც გამოდგომოდა სამშობლოს, ფრონტებზე მიდიოდნენ ყმაწვილი გოგონები, შახურინისა და უმანსკის თანატოლი კრასნოდარელი ჭაბუკები და გოგონები **"ახალგაზრდა გვარდიის"** სახელით მუსრს ავლებდნენ გერმანელებს და სამშობლოს შესწირეს სიცოცხლე!

აქ კი, ვიღაც უპასუხისმგებლო ახალგაზრდა...

მოკლედ, დაიწყო გამოძიება. მიჰყავდა იგი საბჭოთა კავშირის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს ლევ შეინინს (თქვენს ყურადღებას მივაპყრობ, რომ ჯერ გამოძიება მიჰყავდა შინსახკომს). გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა ჩადენილი იქნა **"ვალტერის"** სისტემის იარაღით, რომელიც შახურინის შვილს ათხოვა მიქოიანის შვილმა – ვანომ.

მკვლელის დედა, სახკომ შახურინის მეუღლე – ს.მ. ლურიე ამტკიცებდა, რომ ყოველივე ეს გახლდათ გესტაპოს პროვოკაცია (ცნობისათვის, გესტაპო გერმანიის საზღვრებს გარეთ არავითარ ოპერაციებს არ გეგმავდა – ს.კ.).

თუმცა... ეს ტრაგიკული ისტორია მაინც რაღაცნაირად უკავშირდებოდა მესამე რეიხს... მე კვლავ კოსტირჩენკოს დავეყრდნობი:

"ჩხრეკის შედეგად ამოღებული ვალოდია შახურინის დღიურის ჩანაწერებიდან ჩანდა, რომ მან და მისმა მეგობრებმა ა.ი. მიქოიანის, ა.ს. ალილუევას, ქირურგ ა.ნ. ბაკულევის, ამერიკელი ბიზნესმენის ა. ჰამერის (ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს გვარი კოსტირჩენკოს შეცდომით ჰყავს მოყვანილი, რადგან ჰამერს ცოლად ნამდვილად ჰყავდა რუსი ეროვნების ქალბატონი – ს.კ.) და სხვა (საინტერესოა კიდევ რომელი ოჯახის – ს.კ.) **ოჯახებიდან მიღებული ინფორმაციისა და მამისაგან ნათხოვი "შაინ კამფის" წაკითხვის შემდეგ** (ამ წიგნის რუსული თარგმანი, სტალინის განკარგულებით, მცირე რაოდენობით დაურიგდათ საბჭოთა ხელმძღვანელებს) **ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია "მეოთხე იმპერია" და საიდუმლოდ უწოდებდნენ საკუთარ პერსონებს "რეიხსფიურერებს" და "გრუპენფიურერებს". რა თქმა უნდა, ამ საქმის გამოძიებაში შემდეგ ჩაერთო სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (რომლებიც, მაშინ, უკვე აღარ იყვნენ ლავრენტი ბერიას დამორჩილებაში – ს.კ.)..."**

საქმე ჩაფარცხეს და გამოძიების შემდეგ რვა ახალგაზრდა მოსკოვიდან გაასახლეს. როგორც ეხლანდელი **"ელიტა"** ამბობს ანგლოსაქსური პრონონსით, – **"No komments"**.

აქ შეიძლებოდა არც ჩვენ გაგვეკეთებინა კომენტარი. მაგრამ მინდა შევნიშნო – შახურინმა შეიძლება იმიტომ არ დააყენა ტუპოლევის განთავისუფლების საკითხი, რომ დარწმუნებული არ იყო მისი შვილის მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალობაში. იმიტომ, რომ შახურინმა შვილი ასე აღზარდა. მაგრამ, ისიც საკითხავია: იყო კი ლოიალური საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავად შახურინი? იყო კი იგი ლოიალური იმ საბჭოთა წყობილების მიმართ, რომლის ერთ-ერთ გამწევ ბორბალს თავად შახურინი წარმოადგენდა?

ამ უკანასკნელში მე სერიოზულ ეჭვს გამოვთქვამ შახურინთან და იმ ახალგაზრდა სპეციალისტებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც სწორედ საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის წყალობით აღზევდნენ. კოსტირჩენკო წერს, რომ **"მუშურ-გლეხურ"** გარემოში აღზრდილი საბჭოთა სპეციალისტები, უცხოური მოვლინებებიდან დაბრუნების შემდეგ, აღტაცებულები იყვნენ **"ევროპული ცხოვრების წესით"** და იქაური ფუფუნებით და ეს აღტაცება უპირველესად გადაედებოდათ ხოლმე **"კრემლის შვილებს"...**

არა ყველას, მაგრამ მათ უმეტესობას მაინც! ბერიას შვილმა ომის დაწყებისას დაამთავრა სადაზვერვო სკოლა და მონაწილეობდა საკამოდ დელიკატურ ოპერაციებში... შახურინის შვილი კი **"ფიურერობანას"** თამაშობდა. მაგრამ ვაშლი ხომ ვაშლის ხიდან, და არა არყის ხიდან არ ეცემა შორს. და შვილი-ბერიას ბედის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მამა-ბერიაზე. ისევე, როგორც შახურინის პიროვნებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი შვილი ბედის მიხედვით...

სამწუხაროდ, **"ელიტის"** შვილების სულიერი ფორმირების პროცესს ადრიდანვე ჰქონდა შეპარული სიდამპლე. და ეს სიდამპლე დაბრკოლების გარეშე ვითარდებოდა, რადგან მშობლებს **"არ ეცალათ"** შვილების აღსაზრდელად და ბავშვები პრაქტიკულად ერთმანეთს იყვნენ მინდობილები. ერთმანეთისაგან კი, როგორც უკვე ვნახეთ, სასიკეთის ბევრს ვერაფერს სწავლობდნენ.

კონსტანტინე მერეცკოვი თავის მემუარებში საქმეს ისე აღგვიწერს, თითქოს 1937 წლის 2 ივნისს, სსრკ თავდაცვის სახალო კომისარ ვოროშილოვთან არსებულ სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, უშუალოდ სტალინის წინაშე, იგი იცავდა უბორევიჩს... მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, თუ გავეცნობით ამ სხდომაზე მერეცკოვის გამოსვლის სტენოგრამას, დავრწმუნდებით, რომ უბორევიჩი სწორედ მერეცკოვის მოხსენების გამო უნდა დაეხვრიტათ.

უბორევიჩი, რა თქმა უნდა, შეთქმულებაში მონაწილეობდა... იგი უნდა დაეხვრიტათ! დახვრიტეს კიდეც... მაგრამ, რატომ გადავაფაროთ სუფთა ფურცელი ბინძურ საქმეებს? როცა მერეცკოვის მემუარებს და მის სტენოგრამას ერთმანეთს ვუდარებთ, დასკვნა თავისთავად ყალიბდება: თავად მერეცკოვსაც, არც თუ უმიზეზოდ, ორჯერ **"წამოუსვეს"** ხელი ჩეკისტებმა, მაგრამ ორჯერვე აპატიეს.

არა, ისინი არ იყვნენ დარწმუნებული საკუთარ თავში. სტალინისაგან, ეჟოვისა და ბერიასაგან კი მოითხოვდნენ, რომ მათ უნდა დაეჯერებინათ ყველასაგან, ყველაფერი და ყოველთვის...

ბერიას სახელთან დაკავშირებულ დიდ და მცირე ცილისწამებებში არის ერთი ცილისწამებაც **"ბერია-ზორგე"**. ზორგეს ცნობაში, რომელიც დამოწმებული აქვს კ. ზალესსკის თავის ბიოგრაფიულ ცნობარში, მოყვანილია იმის მტკიცებულება, რომ: **"რიჰარდ ზორგეს ცოლი ეკატერინე ალექსანდრეს ასული მაქსიმოვა (1903-1943) 1942 წლის 4 სექტემბერს დაპატიმრებულ იქნა ბერიას ბრძანებით და გარდაიცვალა პატიმართა ბანაკში..."**

აქ ზუსტია მხოლოდ მაქსიმოვას დაპატიმრების თარიღი. მაგრამ ელენე პრუდნიკოვა თავის წიგნში ზორგეს შესახებ, ამტკიცებს, რომ ეკატერინე მაქსიმოვას (რომელიც ზორგეს ჩავარდნიდან ერთ წელიწადში დააპატიმრეს), რიჰარდ ზორგეს გამოაშკარავების საქმეში იაპონელების მიერ, ბრალი არ მიუძღოდა. ევაკუაციაში წასული ეკატერინე მაქსიმოვა დააპატიმრეს მისი ნათესავის ელენე ჰაუპტის ჩვენების საფუძველზე, რომელიც 1942 წელს აიყვანეს ჩეკისტებმა. თანაც, ძნელად სარწმუნოა, რომ ჰაუპტმა უსამართლოდ დასდო ბრალი მაქსიმოვას – მას, უბრალოდ, საჭვოდ მოეჩვენა მაქსიმოვას ინტენსიური კავშირი უცხოელებთან.

1942 წლის 17 ნოემბერს მაქსიმოვა მოსკოვში ჩამოიყვანეს, 1943 წლის 13 მარტს კი სსრკ შინსახკომთან არსებულმა საგანგებო კრებამ მას 5 წლით გადასახლება მიუსაჯა კავშირისათვის, რომელიც შპიონაჟში მისი მონაწილეობის ეჭვს ჰბადებდა. 15 მაისს იგი თავად ჩავიდა დასახლება დიდ მურტაში, რომელიც კრასნოიარსკიდან 120 კილომეტრში მდებარეობდა და 21 მაისს საკუთარ დას მისწერა: **"ძვირფასო დაო! აი, მე ახლა ვტკბები კამკამა ცით, სუფთა ჰაერით და სრული თავისუფლებით..."**

შემდეგი ცნობებით დასტურდება, რომ მაქსიმოვამ მუშაობა დაიწყო სახიფათო ობიექტზე, იმიტომ, რომ უკვე 1943 წლის 29 მაისს იგი მურტინის საავადმყოფოში მოათავსეს მძიმე ქიმიური დამწვრობებით, სადაც 3 ივლისს გარდაიცვალა. საავადმყოფოში, და არა პატიმართა ბანაკში...

ამიტომ, მისი ტრაგიკული წარსულის **"მიწეპება"** ბერიაზე, კიდევ ერთხელ ადასტურებს ლავრენტი ბერიასადმი სხვადასხვა დანაშაულების ინკრიმინირების ინდუსტრიის არსებობაზე.

თანაც, ვიგინდარებს ჰყოფნით იმის თავხედობა, რომ ლაფი მიასხან ბერიას, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ერთადერთ ქმედითუნარიან წევრს! პოლკოვნიკი სუვენიროვი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ნაშრომ **"Труд"**-ში წერს:

"ომის დაწყებიდან საქმე ისე წავიდა, რომ მკვლელობებს სჩადიოდნენ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირადი მითითებით (ესეც შენი მეცნიერული **"კეთილსინდისიერება"** – ს.კ.). **ამრიგად, 1941 წლის ოქტომბერში დახვრიტეს გენერალ-პოლკოვნიკი ა.დ. ლაქტიონოვი და საბჭოთა კავშირის გმირი გ.მ. შტერნი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ფ.კ. არჟენუხინი, საბჭოთა კავშირის გმირები პროსკუროვი და პ.ვ. რიჩაგოვი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ი.ვ. სმუშკევიჩი, დივიზიის ინჟინერი ი.ფ. საკრიერი, გენერალ-მაიორები მ.მ. კაიუკოვი და გ.მ. სავჩენკო, ბრიგადის ინჟინერი ს.ო. სკლიზკოვი..."**

ყოველ ამ დახვრეტილზე შეიძლება **"თითო სიტყვის"** თქმა. სმუშკევიჩისა და რიჩაგოვის თაობაზე მე უკვე ვისაუბრე, ახლა კი დავამატებ, რომ კ. ზალესსკის წიგნში მოიპოვება ბუნდოვანი მონაცემები იმის თაობაზე, რომ ომის დაწყების წინადღეებში სტალინმა პირადად დაავალა რიჩაგოვს საიდუმლოდ მოეხდინა საზღვრის ინსპექტირება. თუ ეს ასეა, მაშინ სავსებით ნათელია რიჩაგოვის დაპატიმრების მოტივები ომის დაწყებისთანავე – მან სტალინს ფალსიფიცირებული მონაცემები მიაწოდა.

მაგრამ მე დაწვრილებით ავხსნი გენერალ-მაიორ პავლე ვოლოდინის დაპატიმრების მიზეზს...

1941 წლის 10 ივნისს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარმა ტიმოშენკომ და გენშტაბის უფროსმა ჟუკოვმა გამოსცეს №0035 ბრძანება, რომელიც შემდეგ სიტყვებით იწყებოდა:

"1941 წლის 15 მაისს გერმანიის რეისგარეშე თვითმფრინავი 0У-52 დაუბრკოლებლად შემოფრინდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და გადაუფრინა ბელოსტოკს, მინსკსა და მოსკოვს. საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ არავითარი ქმედითი ზომა არ იქნა მიღებული ამ უკანონო გადაფრენის აღკვეთის მიზნით..."

როგორ მოგწონთ ყოველივე ეს, ძვირფასო მკითხველო? ეს, რაც შეეხება გენერალ ვოლოდინს... მაგრამ, მოდით, კვლავ სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის №0035 ბრძანებაში ჩავიხედოთ: **"წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა ვოლოდინმა და სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის პირველი განყოფილების უფროსის მოადგილემ ავიაციის გენერალ-მაიორმა გრენდალმა, იცოდნენ რა, რომ გერმანულმა თვითმფრინავმა უკანონოდ გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვარი, არამც თუ არ მიიღეს მისი დაკავების ზომები, არამედ პირიქით, გზა გაუკაფეს მას მოსკოვისაკენ და მოსკოვის აერودრომზე დაშვების ნებაც კი მისცეს, ხოლო საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებს ბრძანებით დაავალეს მისი უსაფრთხოდ ფრენის უზრუნველყოფა..."**

მაშინ ვოლოდინს მხოლოდ შენიშვნა მისცეს, 1941 წლის 27 ივნისს კი დააპატიმრეს. ამ წლის 10 ივნისისა და 27 ივნისის სიტუაციები ხომ ცა და მიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ ვოლოდინი და დანარჩენები 1941 წლის 27 ოქტომბერს დახვრიტეს არა ბერიას პირადი მითითებით, არამედ სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო კრების დადგენილებით, რომელსაც ომის დაწყების შემდეგ დახვრეტის განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდა მინიჭებული. ამ ორგანოს გაუქმება ომის დამთავრების შემდეგ ეწადა ბერიას, მაგრამ სათანადო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს, ანუ ხიდირბეგიშვილის „ოლიმპიური“ პასუხი აქუბარდია&გაჩეჩილაძის „ტკბილ წყვილს“

როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “საქინფორმი” უკვე იტყობინებოდა, პუბლიკაციაში **„საქინფორმმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიადა-2014–ში სოჭში, ანუ როგორ ეპყრობიან ქართველებს რუსეთში“** (2011 წლის 18 თებერვალი www.saqinform.ge), სოჭს დსთ-ის, ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს მედიის ხელმძღვანელთა და ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვია. ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია „ერთიანი საინფორმაციო ცენტრისა“ და ,,რია ნოვოსტის'' მიერ ერთობლივად ორგანიზებული ამა წლის 9-12 თებერვლის პრესტურის მიზანი 2014 წლის ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშებისა და XI პარალიმპიური თამაშებისთვის მზადების მსვლელობის გაცნობა იყო. ჟურნალისტურ პულში საქართველოს წარმოადგენდნენ: **ყოველკვირეული გაზეთის „საქართველო და მსოფლიო“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბონდო მძინარაშვილი და საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის დირექტორი და მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი,** რომელმაც მკითხველს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა იმ ადამიანებზე, ვისაც იქ შეხვდა.

2011 წლის 22 თებერვალს კი **„მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ** ამ პუბლიკაციას 15-წუთიანი პრესკონფერენცია მიუძღვნა ***(პრესკონფერენციაზე დამსწრე 6 ჟურნალისტიდან ორი ჩვენი რედაქციიდან რომ არ ყოფილიყო და მათ ორი შეკითხვა არ დაესვათ, ის უფრო მალე დამთავრდებოდა).***

„რატომ ცდილობს ქართველი ჟურნალისტი რუსულ გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“ იმის დამტკიცებას, რომ სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალები (ქვიშა და ღორღი) არ გამოაქვთ აფხაზეთიდან, რასაც არც რუსეთი და არც აფხაზეთი არ მალავენ? როგორ ცდილობს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **გრუზინფორმის** მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგაშვილი (სწორედ ასე წერია - ხიდირბეგაშვილი!) „მწვანეთა „მისამართით გამოთქმული შეურაცხყოფითა და ლანძღა-გინებით გაამართლოს რუსეთის პოზიცია აფხაზეთიდან სამშენებლო მასალების გატანასთან დაკავშირებით“ - ასე იყო გამოცხადებული პრესკონფერენციის თემა.

როგორც ერთი დღით ადრე „მწვანეთა პარტიის“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებული „პრეს-რელიზი“ იუწყებოდა, პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ურყევი მტკიცებულებები, რომლებიც სოჭში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის აფხაზეთიდან საშენი მასალის გატანას დაადასტურებდა.

გვინდა, პატივცემულ მკითხველს შევახსენოთ ფრაგმენტი სათაურით **„მწვანეები შურისა და ბრაზისგან გამწვანდნენ“**, რომელმაც ასე ააფორიაქა გაჩეჩილაძე:

„მართალია თუ არა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - ახალი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ასევე – ოლიმპიური ობიექტები აფხაზეთიდან შემოტანილი ინერტული მასალებით შენდება, სადაც, როგორც ამბობენ, ამის გამო სანაპირო ზოლი და პლაჟები აღარ დარჩა?“ - ვკითხე (ა. ხიდირბეგიშვილი – საქინფორმი) პრესკონფერენციაზე სოჭის მერს, **ანატოლი პახომოვს.**

„ამას უფრო დაზუსტებით მშენებლები გეტყვიან, მაგრამ, როგორც მერმა, შემიძლია განვაცხადო, რომ ინერტული მასალების ასზე მეტი მომწოდებელი გვყავს და ყველა შემოთავაზებიდან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფებს ვირჩევთ: ეს მთავარი კრიტერიუმია, ამიტომაც ეს, ძირითადად, კრასნოდარის მხარე და სოჭის ოლქია“ ,- მიპასუხა ქალაქის თავმა.

იგივე კითხვა დავუსვი ღია სააქციო საზოგადოება სოჭის „რუსეთის რკინიგზის“ ხელმძღვანელს – **ანდრეი დუდნიკს,** რომელმაც ღიმილით განმიმარტა: ***„ჯერ ერთი, რომ აფხაზეთთან ჩვენი დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები ისეთი სიმძლავრის არაა, რომ დიდი მოცულობის ინერტული მასალები გადაიტანონ; მეორეც, იქიდან მასალების ჩამოტანა ჩვენთვის არარენტაბელურია, ის ქვიშა და ღორღი ოქროს ფასი დაგვიჯდება!“.***

აქ უკვე მე გამეღიმა: უცებ გამახსენდა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერის – გია გაჩეჩილაძის ბრაზით გამწვანებული სახე, რომელიც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ფეხზე დაყენებითა და სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩაშლით დაიმუქრა იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ინერტული მასალების გატანა, შესაძლოა, გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზად იქცეს, რაც შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანას შეეხება!

როგორც ჩანს, გია გაჩეჩილაძემ, რომელიც საქართველოს ეკოლოგიის მინისტრი ვერ გახდა (ისევე, როგორს მისი ცნობილი მოგვარე ვერ გახდა საქართველოს პრეზიდენტი), არ იცის, რომ სოჭში ყოველ ხეს, რომელიც სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანის გზაზე ხვდებათ, ფაქიზად გადარგავენ სხვა ადგილას!

ახლახან კი თბილისში, უძველეს და ულამაზეს დავით აღმაშენებლის გამზირზე (საბჭოთა ხანაში - პლეხანოვის, ხოლო რევოლუციამდე - მიხაილოვის პროსპექტზე) ასობით სავსებით ჯანსაღი უნიკალური მაგნოლია მოჭრეს, რომელთა ასაკიც 40-50 წელი იყო (არადა, ისინი 100 წლამდე ხარობს!). **სად იყო მაშინ საქართველოს „მწვანეთა“ მთავარი გიორგი გაჩეჩილაძე?!** ანდა მაშინ, როცა სანაპიროზე, ჩოგბურთის უძველეს კორტებთან მდებარე პარკში უზარმაზარ ხეებს ანადგურებდნენ?! აჰ, ალბათ, საჩივრებს წერდა საერთაშორისო ორგანიზაციებს - სოჭის ოლიმპიადის ჩაშლის მოთხოვნით...“

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ ბატონი გაჩეჩილაძის გამოსვლას პრესკონფერენციასა და კერძო ტელეკომპანია **„კავკასიის“** საღამოს ეთერში, რომლის მფლობელი და ტელეწამყვანიც მისი მეგობარი **დავით აქუბარდიაა *(პასუხები სრულებით იდენტური იყო, „შპარგალკაზე“ ჩაწერილი, რადგან, მთავარი ქართველი „მწვანე“, როგორც ჩანს, ფანტაზიასა და ელემენტარულ ლოგიკასთან მწყრალად გახლავთ):***

„2008 წლის 11 აპრილს პრეზიდენტმა პუტინმა გასცა დირექტივა სეპარატისტულ რეგიონებთან ოფიციალური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. 2008 წლის 20 მაისს უკვე გაგრაში ბაგაფშსა და კრასნოდარის გუბერნატორს – ალექსანდრე ტკაჩოვს შორის მოეწერა ხელი აფხაზეთიდან სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალების ინერტულად მიწოდების დოკუმენტს. 2008 წლის 31 მაისს აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ რუსეთის ჯარები და აღადგინეს სარკინიგზო ტრასა და ხიდები. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. მთავარი ის არის, რომ ამ სტატიის შინაარსი სერიოზულად ვერ აღვიქვი, რადგან არ დარჩა აფხაზეთისა და რუსეთის არც ერთი დიდი მოხელე, რომელიც არ აღიარებდეს, რომ აფხაზეთიდან გადის სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალები. 2009 წლის 25 მაისს რუსეთის დუმის სპიკერი ბორის გრიზლოვი სოხუმში ვიზიტისას აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთიდან დაიწყება სამშენებლო მასალების მოპოვება სოჭის ოლიმპიადისთვის. 2010 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთის მთავრობის პრემიერ–მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ ადასტურებს აფხაზეთიდან სამშენებლო მასალების გადინებას.

ასევე, ძალიან მაინტერესებს, რატომ დაემთხვა ხიდირბეგიშვილის სტატია „კომსომოლსკაია პრავდაში“ 18 თებერვალს მედვედევის განცხადებას საქართველოს წინააღმდეგ? რატომ არის ამ სტატიაში **„მწვანეთა პარტია“** სალანძღავ ფონად გამოყენებული, იმისათვის, რომ ხიდირბეგიშვილმა დაამტკიცოს, თითქოს აფხაზეთში არაფერი საშინელება არ ხდება? მე მინდა, ყველას მოვუწოდო, მათ შორის – **გრუზინფორმს**. ჯერ ერთი, **არ ვიცი, ეს რა ორგანიზაციაა** *(არ იცის, და ლანძღავს!* – საქინფორმი*),* **მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს.** კომუნისტების დროს, მახსოვს, ასეთი სააგენტო, რომელიც 9 აპრილს, როდესაც დიდი უბედურება დატრიალდა საქართველოში, აცხადებდა, რომ ქართველებმა დახოცეს რუსი ჯარისკაცები. **„საქართველოს მწვანეთა პარტიის“** დისკრედიტაციას ეს ხალხი ვერ მოახდენს, რადგან ჩვენთვის პირიქით – სასიხარულოა ის, რომ **რუსულ პრესაში** გვლანძღავენ. მე, პირადად, მივმართავ ბატონ არნო ხიდირბეგაშვილს და **გრუზინფორმს**: **არ არის აუცილებელი საქართველოში იმოღვაწონ. მოჰკიდოს თავის სააგენტოს ხელი და გადავიდეს ან სოჭში, ან აფხაზეთში** და იქ განაახლოს თავისი მოღვაწეობა და თავისი თვალით ნახოს, რა ხდება. ნუ შეყავს საზოგადოება შეცდომაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გააგრძელებს **ქვეყნისა და „მწვანეთა პარტიის'' შეურაცხყოფას, სიყალბის გავრცელებისთვის სასამართლოში ვუჩივლებთ.**

„მწვანეები" გამწვანდნენ ბოღმისაგან და შურისაგან იმიტომ, რომ სოჭის ოლიმპიადა ტარდება“ – წერს სტატიაში ხიდირბეგაშვილი. სულ არ გვაინტერესებს, ზამთრის ოლიმპიადა სად ჩატარდება, თუ უნდათ – ციმბირში ჩაატარონ, ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ აფხაზეთში შევინარჩუნოთ ეკოლოგიური მდგომარეობა.

ჩვენ ამ პრესრელიზს გადავუგზავნით რუსეთის არასამთავრობო სექტორს, რომელიც, თითქმის 3 წელია, იბრძვის სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ და აფიქსირებს იმ პოზიციებს, რასაც ვაფიქსირებთ ჩვენც. სოჭის ოლიმპიადა ეკოლოგიურად არა მარტო აფაზეთს აბინძურებს, არამედ დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებს ანადგურებს. ეს ყველაფერი კი ხიდირბეგაშვილმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს!“.

კორ.: – თუ ეს ყველაფერი იცის სტატიის ავტორმა, მაშინ რატომ დაწერა სტატია?

გ.გ.: –გამომდინარე იქიდან, რომ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ეჭვი გვაქვს, რომ ეს არის საქართველოს ხელისუფლების შეკვეთილი სტატია! წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სააგენტო ვერ იარსებებდა! ეს რომ ასეა, თქვენც დარწმუნდით: შეხედეთ – არც ერთი სამთავრობო არხი არ მოვიდა პრესკონფერენციაზე. ეტყობა, უფრთხილდებიან ხიდირბეგაშვილს, მეტი ახსნა ამას არ გააჩნია. ყველა აღიარებს, რომ კატასტროფა ხდება აფხაზეთში და ერთადერთი არის დედამიწის ზურგზე ხიდირბეგაშვილი, რომელიც **საქართველოს ხელისუფლების დაკვეთით** ამბობს, რომ იქ არაფერი ხდება. ვფიქრობ, ალბათ, **საქართველოს ხელისუფლება ამით სამეგობრო სიგნალებს აძლევს რუსეთს!**

კორ.: – და მეგობრობა ცუდია?

გ.გ.: – მეგობრობა ვისთან, რუსეთთან? ვისაც უნდა, იმეგობროს *(საღამოს, „კავკასიის“ ტელეეთერში უფრო მხიარულად – „ტრაკზე საკოცნელად ჩადის“ – უთქვამს)!* მე მეგობრობას არ ვაპირებ მედვედევთან და პუტინთან! თუ ვინმე მეგობრობას აპირებს, ჯერ ტერიტორიები დააბრუნოს და მერე ვიმეგობროთ. ვიღაც სახლში შემომივარდეს, ოჯახი ამიწიოკოს, ტერიტორიები წამართვას და იმასთან ვიმეგობრო?! ეგეთი რამე მე არ გამიგია!

ზემოთქმულთან დაკაშირებით საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს:

1) გაჩეჩილაძე საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** დირექტორსა და მთავარ რედაქტორს **ჯიბის ჟურნალისტს** უწოდებს, რომელიც ხან – რუსეთის ხელისუფლების შეკვეთით წერს, მას გულღიად რომ მასპინძლობს, და ხანაც - საქართველოს ხელისუფლების შეკვეთით, მას რომ თავზე დაჰკანკალებს და ***„ხიდირბეგაშვილის მეშვეობით რუსეთს მეგობრულ სიგნალებს უგზავნის“.*** ამ ფაქტის (აშკარად – სამედიცინო წარმოშობის) კომენტირებას საქინფორმი არ აპირებს,რადგან ეს არა საინფორმაციო სააგენტოს, არამედ ფსიქოტერაპევტის კომპეტენციაა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მას სასამართლოში ვუჩივლოთ **„ჯიბის ჟურნალისტის“** გამო, თუმცა გაჩეჩილაძისნაირი სუბიექტების მხრიდან ლანძღვა – ჩვენთვის საუკეთესო ქება და მტკიცებულებაა, რომ საქინფორმი სწორ გზას ადგას;

2) საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** მთავარი რედაქტორისა და დირექტორის გვარია ხედირბეგიშვილი და არა ხიდირბეგაშვილი, როგორც არაერთგზის წარმოთქვა გაჩეჩილაძემ და **თანაც, ყოველ ჯერზე „შპარგალკაში“ იხედებოდა.** ეს მოწმობს:

– გაჩეჩილაძე ან ცუდად კითხულობს ქართულად და რუსულად;

– ან გაჩეჩილაძე გაუნათლებელია, რადგან ნებისმიერმა ქართველმა, ვინც მინიმალურად მაინც იცნობს საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებს, იცის, რომ თავადური გვარი **„ხიდირბეგიშვილი“** წარმოითქმება „ი“-თი. **სწორედ ქართული ტრადიციების შესაბამისად მოსთხოვდა ხიდირბეგიშვილი გაჩეჩილაძეს პასუხს შეურაცხყოფისთვის, სააგენტოს ჟურნალისტების მთელ კოლექტივზე პასუხისმგებლობას რომ არ გრძნობდეს და ეს რომ საგანგებოდ მოწყობილი პროვოკაცია არ იყოს.** და საერთოდაც, შესწევს კი უნარი საქართველოში ყველასთვის ცნობილ გაჩეჩილაძეს ***(საჭირო არაა იმის დაზუსტება, თუ რითაა ცნობილი - ეს ხომ მუშტაიდის ხეებმაც კი იციან!),*** მართლა შეურაცხყოს საქინფორმის მთავარი რედაქტორი ა. ხიდირბეგიშვილი?!

– გაჩეჩილაძეს ქართული გვარი კი აქვს, მაგრამ შეიძლება ქართველი ან, უბრალოდ, კაცი უწოდო ადამიანს, რომელიც მოწინააღმდეგეს **„დისტანციურად“** ლანძღავს, რადგან იცის, რომ იმ მომენტში პირისპირ ვერ უპასუხებს ***(პირდაპირ ტელეეთერში პროვოკაციების სპეციალისტმა, ჟურნალისტმა აქუბარდიამ ხომ არნო ხიდირბეგიშვილი სტუდიაში არ მიიწვია!)?***

– შეიძლება თუ არა ქართველი უწოდო ადამიანს, რომელმაც არ იცის, რომ საქართველოში, ისევე, როგორც მთელ კავკასიაში, გვარის შეგნებულად დამახინჯება წინაპრების, გვარის, მშობლების შეურაცხყოფის ტოლფასია?!

– მაგრამ გაჩეჩილაძემ ეს შეუგნებლად თუ გააკეთა, მაშასადამე, კაცს, რომელსაც პარტიის ლიდერობისა და საქართველოს ბუნების დამცველის პრეტენზია აქვს, **უნარი არ შესწევს დაიმახსოვროს და სწორად წარმოთქვას („შპარგალკით“ წაკითხულიც!) ერთი ქართული გვარიც კი!**

3) სამწუხარო ის კი არაა, ინტელექტით მისივე ბადალ აქუბარდიასთან ერთად ჩვენი დამმოძღვრავი გაჩეჩილაძე გაზეთებს რომ არ კითხულობს და ჟურნალისტ ხიდირბეგიშვილის გვარი არ იცის (რომელიც, სამაგიეროდ, მშვენივრად იცის მისმა მეგობარმა აქუბარდიამ), **სამწუხარო ისაა, რომ გაჩეჩილაძე თავს უფლებას აძლევს, შელახოს სიტყვის თავისუფლება, შეურაცხყოს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მთელი კოლექტივი, ჟურნალისტები სამშობლოს მოღალატეებად შერაცხოს და საქართველოდან განდევნითა და სასამართლოთი დაემუქროს, რომლის მეშვეობითაც მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს!**

მაგრამ როგორ შეიძლება აუნაზღაურო ადამიანს ის, რაც მას არ აქვს და იმთავითვე არ გააჩნდა?! გაჩეჩილაძეს რომ მორალი ჰქონდეს, ეცოდინებოდა, რომ მისი კომპენსირება შეუძლებელია სასამართლოს მეშვეობით მიღებული ფულითაც! ნებისმიერი ეროვნების მამაკაცისთვის ოდითგანვე არის ცნობილი სხვაგვარი, როგორც ჩანს, გაჩეჩილაძისთვის უცნობი, მეთოდი. **მაგრამ თუ გაჩეჩილაძე თავს ჭეშმარიტ ევროპელად და დემოკრატად მიიჩნევს, უნდა იცოდეს, რომ მასმედიის თავისუფლების დონე სახელმწიფოში დემოკრატიის დონის მაჩვენებელია, ხოლო საქინფორმი არა მარტო საინფორმაციო, არამედ ანალიტიკური სააგენტოცაა, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს არა კერძო, არამედ სწორედაც რომ სახლემწიფოებრივი, საქართველოსა და მისი თითოეული მოქალაქის ინტერესებით, ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სრული უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და კრიტიკა, რომლის შეზღუდვის უფლება არავის, მათ შორის „მწვანეთა პარტიის“ ლიდერსაც კი, არ აქვს!**

ყველაზე დიდი მორალური ზარალი გაჩეჩილაძემ საკუთარ თავს თვითონ მიაყენა, როცა საქინფორმის ჟურნალისტთა წინააღმდეგ საჯაროდ გამოსვლა გადაწყვიტა; ასევე, – აქუბარდიამაც, რომელმაც იგი პირდაპირ ტელეეთერში პუბლიკის სამასხარაოდ აქცია (უნდა ითქვას, რომ აქუბარდიას შოუ წარმატებული გამოდგა!);

გაჩეჩილაძემ არც კი იცის პირველი საინფორმაციო სააგენტოს – საქინფორმის სახელოვანი ისტორია, რომლის არსებობის ხანაშიც იზრდებოდა თვითონაც და მისი მშობლებიც, რადგან საქინფორმი 1921 წელს დაარსდა და გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს ერთადერთ საინფორმაციო სააგენტოს წარმოადგენდა. და რომ 2006 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საქინფორმის რუსთაველის №42-ში მდებარე მისი კუთვნილი პრესტიჟული შენობის გამო 5 მილიონ 50 ათას დოლარად მიჰყიდა ფიზიკური პირების ჯგუფს, რომლებმაც მოითხოვეს, რომ მათი ვინაობა საიდუმლოდ დარჩენილიყო... და რომ ზუსტად 4 წლის შემდეგ **ახალგაზრდა დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კოლექტივმა** აღადგინა საქინფორმი,მაგრამ უკვე როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო, და აქუბარდიას რომ არ დავიწყებოდა, რომ ტელეეთერის დროს ის, პირველ რიგში, ჟურნალისტია და მხოლოდ ამის შემდეგ - გაჩეჩილაძის მეგობარი, **მაშინ ჟურნალისტური**

გაგრძელება მე-7 გვ.

ნაპოლეონ ქარქაშაძე: აფხაზეთი ისეთი არ არის, როგორიც თბილისიდან ჩანს

ნაპოლეონ ქარქაშაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენისა და სხვა სახელმწიფო ჯილდოების კავალერი.

საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, სან-ფრანცისკოსა და სხვა საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსი.

1975-1990 წლებში საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობათა ინსტიტუტის რექტორია, იყო ქართული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი აფხაზეთში. 1990 წლიდან 2004 წლამდე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორია. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტად.

მაგარი ქართველები ცხოვრობდნენ მაშინ სოხუმში

მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას, რომ ბატონი ნაპოლეონი აფხაზეთში ქართული მოძრაობის დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი იყო, ურთულეს წლებში, როცა უკიდურესად დაიძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დღეს, როცა კონფლიქტების მოგვარების საქმე დილეტანტებს აბარია, მათ, ვისაც დაპირისპირების ქურაში არ გაუვლია, არ იცნობს აფხაზეთისა და ოსების ტრადიციებს, მენტალიტეტს, რეალობას, რომელიც ამ მხარეებშია ჩამოყალიბებული, უპრიანია, გავახსენოთ (გავიხსენოთ ჩვენც!) ის გამოცდილება, რომელიც საქმეს შეიძლება სასიკეთოდ წაადგეს.

ამიტომაა ნაპოლეონ ქარქაშაძისთვის ჩამორთმეული ეს ინტერვიუ აფხაზური აქცენტით.

- აფხაზეთში წასვლამდე, - იხსენებს ბატონი ნაპოლეონი, - სოხუმი ისეთივე ქალაქი მეგონა, როგორც ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი და, ალბათ, არ ვიყავი გამონაკლისი - ასე ფიქრობდა ქართველების უმრავლესობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ თბილისიდან დანახული აფხაზეთი სულ სხვაა, ვიდრე ის, რომელიც სინამდვილეშია. აფხაზეთის პრობლემები რომ შეიგრძნო, იქ უნდა ცხოვრობდე და მუშაობდე, თბილისიდან დასასვენებლად ჩასული კაცი ამას ვერ გაიგებს.

- აფხაზეთში სამუშაოდ თქვენ 1975 წელს ჩახვედით, 1978 წელს კი დაიწყო ცნობილი გამოსვლები აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით...

- პირველი, რაც აფხაზეთში ჩასვლისთანავე დავაფიქსირე, იყო ის, რომ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორობას დიდი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენთან იკრიბებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხდებოდა ქართული აზრის შეჯერება.

გახსოვთ, ალბათ, ყბადაღებული **"გამარჯვებული სოციალიზმის"** კონსტიტუცია, რომლის პროექტის ე.წ. საერთო-სახალხო განხილვა ჯერ კიდევ 1977 წლის ბოლოდან დაიწყო.

აფხაზების ნაწილმა მოინდომა ამ მომენტის გამოყენება, კატეგორიულად მოითხოვეს ფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა. სოხუმში ლენინის სახელობის მოედანზე იკრიბებოდა ათასობით აფხაზი, ატარებდა სადღეღამისო მიტინგებს. დღის განმავლობაში მოედანზე 35-40 ათასი კაცი გროვდებოდა. იქ საველე სასადილოებიც კი მოაწყვეს. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო.

- და ხელისუფლება ამ ყველაფერს გულხელდაკრეფილი შესცქეროდა?

- იმ პერიოდში დილიდან საღამომდე იმართებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გაერთიანებული სხდომები, რომელთაც თბილისიდან ჩამოსული მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ. აფხაზები მხარს უჭერდნენ მომიტინგეებს (народ требует!), ქართველები - პირიქით, ვგმობდით მათ მოქმედებებს და მოვუწოდებდით ძმობისკენ, ერთობისკენ. თბილისიდან მიგვითითებდნენ - შეეცადეთ არ გააღიზიანოთო, რაც ცხადია, იქაურ ქართველებში უკურეაქციას იწვევდა.

- რამე გაკეთდა სიტუაციის განსამუხტად?

- ერთ-ერთი მორიგი სხდომის მსვლელობისას, რომელიც პარტიის საოლქო კომიტეტის დარბაზში მიმდინარეობდა, ჩემთან მოვიდა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე და მითხრა, რომ **ВЧ** ტელეფონთან (მაღალი სიხშირის კავშირი) მიხმობდნენ. ტელეფონში ჯუმბერ პატიაშვილის ხმა გაისმა:

- ნაპოლეონ, დაელაპარაკეთ ბატონ ედუარდს.

- ნაპოლეონ, - მისალმების გარეშე დაიწყო შევარდნაძემ, - ხვალ იწურება ახალი კონსტიტუციის განხილვის ვადა. შეძლებ, რომ დილის 10 საათისთვის ლენინის მოედანზე უმრავლესობა ქართველები იყვნენ?

დავიბენი, მოედანზე ათასობით აფხაზი იდგა, ისინი წინააღმდეგობის გარეშე იქაურობას არ დათმობდნენ.

- შევეცდები, - ვუპასუხე მექანიკურად.

- უნდა შეძლოთ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ხვალ დილის 10 საათისთვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებთან და მოსკოველ ამხანაგებთან ერთად მოედანზე ვიქნებით...

- აფხაზებმა მოედანი უბრძოლველად დათმეს?

- საბედნიეროდ, საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე არ მისულა. დავადგინეთ, რომ ღამის 2-3 საათიდან მოედანზე 400-500 მეტი აფხაზი არ რჩებოდა, ძირითადი მასა დილის 10 საათიდან მოდიოდა და იწყებოდა მიტინგები... სტუდენტებისგან და ქალაქის **"მაგარი ბიჭებისგან"** შევქმენით 100-100კაციანი ჯგუფები, რომლებიც დილისი 6 საათისთვის ოთხივე მხრიდან შეერიენ მომიტინგეებს და... აფხაზებს ქართველები ჩაენაცვლნენ. 9 საათისთვის ჩვენი ინსტიტუტის წინ შეკრებილ სხვა ჯგუფებთან ერთად და სასულე ორკესტრის თანხლებით (რომელიც ზუგდიდიდან გამოგვიგზავნეს) დავიძარით ცენტრალური მოედნისკენ. კოლონას გზადაგზა მასობრივად შემოუერთდნენ ქართველები და დანიშნულების ადგილზე უკვე 30-35 ათასი კაცი მივედით...

სულ **"ტაშის გრიალით"** მოვიწონეთ კონსტიტუციის პროექტი, სადაც აფხაზეთის გამოყოფაზე ლაპარაკიც არ იყო. დღევანდელი გადასახედიდან მარტივად ჩანს, მაგრამ მაშინ ჩვენ მთელი ღამე ვმოძრაობდით ქალაქში, ვკრებდით ხალხს, ვუხსნიდით, რომ ძალადობისა და დაპირისპირების გარეშე უნდა მოგვეხერხებინა ყველაფერი. აუცილებლად სათქმელია ისიც, რომ აფხაზეთის ქართული ხელმძღვანელობაც სერიოზულად გვეხმარებოდა. ერთობლივი ძალომსხმევით ჩვენ ეს შევძელით - მაგარი ქართველები ცხოვრობდნენ მაშინ სოხუმში, ნაღდი კაცები.

მიტინგი დამთავრდა, პრობლემები დარჩა

- ასე ამოიწურა კონფლიქტი?

- არა. მეორე დღეს, მიტინგი რომ ჩავატარეთ, შევარდნაძემ მე და რეზო სალუქვაძეს, ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორს, გვითხრა, წავყოლოდით სოფელ ლიხნში.

80 ათასი აფხაზი დაგვხვდა იქ შეკრებილი. გადმოვიდა შევარდნაძე მანქანიდან, გადმოჰყვნენ კაპიტონოვი - საკავშირო ცეკას მდივანი, და ვალერი ხინთბა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. გადმოვედით ჩვენც.

შევარდნაძემ დაადო თავი და პირდაპირ შევიდა ამ აბობოქრებული ხალხის მასაში. მივყევით ჩვენც. დაგვიშინეს, მაგრამ რა დაგვიშინეს! პომიდორები, კვერცხები სეტყვასავით წამოვიდა. ყველა ვცდილობდით, თავი აგვერიდებინა ამ შემოტევისთვის, მაგრამ ამაოდ. მე პომიდორი მომხვდა, რეზოს კვერცხი. ბაგრატ შინკუბა სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას და მანქანაში ჩაიკეტა. კაპიტონოვს კვერცხიც მოხვდა და პომიდორიც, დაესვარა კოსტუმი.

როცა ერთმა გაცეცხლებულმა კაცმა შევარდნაძეს მიმართა, რა უფლებით ჩამოხვედით აფხაზეთში და როგორ ბედავთ ხალხში გამოჩენასო, აუღელვებლად, უპასუხა:

- მე საქართველოს ხელმძღვანელი ვარ და არავის ვეკითხები, საქართველოს ტერიტორიაზე სად და როდის გადავადგილდები. ამიტომ ვერც ვერავინ შემიშლის ხელს აფხაზი კაცის ოჯახში მისვლაში, სადაც მიწვეული ვარო.

სუფრა ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის - აიბას ოჯახში იყო გაშლილი. მივედით. ოციოდ წუთი ვისხედით, დავილოცეთ და დავბრუნდით სოხუმში, სინოპში, ყოფილ სტალინის აგარაკზე. აფხაზეთის ხელმძღვანელები ქალაქში დარჩნენ, კაპიტონოვი ტანსაცმლის გამოსაცვლელად შევიდა აგარაკზე. შევარდნაძე მარტო დარჩა, იდგა გადასახედის მოაჯირთან და უყურებდა სოხუმს, სანაპიროს, რაც აქედან ხელის გულზე დადებულივით ჩანდა. შემდეგ შემოგვიბრუნდა და გვითხრა:

- ამის დაკარგვა იქნება?!

- არა, რა თქმა უნდა, - ვუპასუხეთ ჩვენ.

- ჰოდა, ერთი კაცის ხელმოწერაა საჭირო, რომ დავკარგოთ. რომ შევინარჩუნოთ, ყოველგვარ დათმობაზე უნდა წავიდეთ. მაშინ გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნა სოხუმში, ტელევიზიის, მუზეუმის. ვერ გეტყვით, რომ ამ გადაწყვეტილებას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, ასეთი დათმობები ყველასთვის მისაღები არ იყო.

- მით უფრო, რომ პრობლემები ამით არ გადაწყვეტილა, დაძაბულობა არ ჩამცხრალა.

- ცხადია, არა. საამისო მიზეზები საკმარისად იყო. ერთ-ერთი მთავარი, ჩემი აზრით, პრობლემების შეუფასელობა იყო. ქართულ-აფხაზური ისტორიის საკითხების კვლევაში აფხაზების მხრიდან ჩართული იყვნენ ცნობილი ტიტულოვანი მეცნიერები, რომლებიც ხშირად ცალმხრივ დასკვნებს აკეთებდნენ. ჩვენი მხრიდან კი პასუხის გამცემი, ფაქტობრივად, არავინ იყო. ასპირანტებზე იყო მიგდებული ეს საქმე. როცა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს ამის შესახებ ვუთხარი, არ არისო პოლიტიკური ნება, მიპასუხა, და რა ვქნაო.

ჩემს სადარბაზოში ცხოვრობდა ცნობილი აფხაზი მეცნიერი, აკადემიკოსი ზურაბ ანჩაბაძე, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის, შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი იყო. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გენეტიკურად არც ერთი ერი აფხაზებთან ისე ახლოს არ დგას, როგორც ქართველები. მის ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ სხვა აფხაზი მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აფხაზები ამ კუთხის აბორიგენები არიან და ენათესავებიან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს.

ქართველი მეცნიერები ამ კამათში არ ჩაებნენ - (**"ეს მათი საქმეაო"**, - იყო ასეთი ტენდენცია). პრობლემის ობიექტურად, კომპეტენტურად შესწავლა, დარწმუნებული ვარ, ბატონ ზურაბ ანჩაბაძის დასკვნის სასარგებლო იქნებოდა, რაც კონფლიქტის ესკალაციას შეამცირებდა, ეგებ, საერთოდაც ნულამდე დაეყვანა.

მოხდა პირიქით: როცა მეცნიერები განზე გადგნენ, მათი ადგილი დილეტანტებმა დაიკავეს, ხოლო მაქსიმალისტებმა ეროვნული მოძრაობიდან განაცხადეს, რომ აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები არიან. ამ პოზიციამ, რომელიც მიტინგური მოხმარებისა იყო, კიდევ უფრო დაგვაცილა ქართველები და აფხაზები ერთმანეთს, კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა.

- ესე იგი, მხოლოდ ქართველების შეცდომების ბრალია მოვლენების იმგვარად განვითარება, რამაც შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანა?

- მე შორსა ვარ ამ აზრისგან. რა თქმა უნდა, არა! მაგრამ შეცდომები ჩვენი მხრიდანაც რომ იყო დაშვებული, ამას რად უნდა დავუხუჭოთ თვალი?

- შეგიძლიათ კონკრეტულად დაასახელოთ ეს შეცდომები?

- არა მარტო შემიძლია, არამედ აუცილებელიცაა, რომ დავასახელო. მაგალითად, აფხაზებმა იცოდნენ, რა სურდათ, როგორ, რა გზით უნდა განეხორციელებინათ თავიანთი ჩანაფიქრი. საქართველოს ხელისუფლებას კი აფხაზებთან ურთიერთობის მეცნიერულად, გნებავთ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ღირებული კონცეფცია არ გააჩნდა. ჩვენი ტაქტიკა "დათმობების პოლიტიკით" შემოიფარგლებოდა: მოითხოვეს? შევუსრულეთ; მოუნდათ? მივეცით.

არაფრად ვარგოდა საკადრო პოლიტიკა, განსაკუთრებით, მნიშვნელოვან რეგიონებში თბილისიდან მივლინებული კადრების შერჩევის საკითხში. მაგალითად, მიმაჩნდა (და ახლაც ასე ვფიქრობ), რომ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნობა ცენტრალური კომიტეტის დარგობრივ მდივანზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო. მაგრამ ამ თანამდებობაზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, თემო ხაჩიძეს, გოგი ჟორჟოლიანს დავასახელებ), ისეთ მოუმზადებელ, დაბალი კვალიფიკაციის, უთავმოყვარეო და ზოგჯერ კომიკურ ადამიანებს აგზავნიდნენ, რომ აფხაზებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ,

გაგრა, ლიძავა, ბიჭვინთა ისეთი კურორტები იყო, სადაც, პრაქტიკულად, მთელი პოლიტბიურო ატარებდა შვებულებას. უნიათო და უგერგილო პირველ მდივნებთან **"დერჟავას"** ხელმძღვანელები საერთოს ვერაფერს პოულობდნენ, აფხაზებს კი პირდაპირი გზა ჰქონდათ გახსნილი.

გაგრისა და მოსკოვის "მოკლე ჩართვა"

უმაღლეს ელიტასთან დაახლოებამ გაათამამა აფხაზები და გააბედვინა გამოყოფაზე საკითხის დაყენება, რაც საბჭოთა კავშირის ნებისმიერ რეგიონში, უმკაცრესი რეპრესიებით თუ არა, **"ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით"** ადგილობრივი კადრების დაფერთხვას გამოიწვევდა.

ყველაფრის პატიების პოლიტიკა ნიკიტა ხრუშჩოვიდან მოდიოდა, რომელიც, ყველა მორიგი ღრეობის შემდეგ, აფხაზებს საქართველოდან გამოყოფას ჰპირდებოდა.

- ბატონო ნაპოლეონ, ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, ეგებ, დაასახელოთ გვარები, რაც გინდა იყოს, კადრებზე ვლაპარაკობთ, ადამიანებზე.

- წასული საქმეა და ღირს ვითომ? ბევრი ცოცხალიც აღარ არის... თანაც, რასაც ახლა ვამბობ, თავის დროზეც მითქვამს, ახლა არ გავთამამებულვარ ზოგიერთებივით, განსაკუთრებით იმ **"ექსპერტებივით"**, რომლებიც იმ დროს დაბადებულიც არ იყვნენ, ახლა კი გვმოძღვრავენ...

- წიწილა კრუხს ჭკუას არიგებდაო?..

- ეგრეა დაახლოებით. მაშინ თბილისში ძლივს გავიტანე ჩემი წინადადება, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (წყალტუბო, ფოთი) პირველ პირებად მოევლინებინათ აფხაზები. დამთანხმდნენ და... აფხაზი კოტე სალია ბოლნისის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ეს იდეის დევალვაცია იყო და აფხაზებსაც სასაცილოდ არ ეყოთ.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ზუხბაია, კარგი ორგანიზატორი და პროფესიონალი, თბილისში რაღაც კომისიის თავმჯდომარედ გადმოიყვანეს. ხოლო პარტიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ჯემალ ბერიძე, კაცი, რომელიც ხუთი თითივითი იცნობდა აფხაზეთს, და რომლის მეორე მდივნად დაწინაურებას ვთხოვდით აფხაზეთის ქართველობა ცეკას, სამხრეთ ოსეთში საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად გაუშვეს. იჩქარეს ვილი ალავიძის, ღირსეული და ავტორიტეტული მეორე მდივნის, თბილისში გადმოყვანა. მის ადგილზე კი მიშა წულაძე გამოუშვეს, ვისთვისაც აფხაზეთი ისეთივე უცხო იყო, როგორც იგი - აფხაზეთისთვის...

ჩემი აზრით, შეცდომა იყო აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის - ბორის ადლეიბას გათავისუფლებაც. მე მას კარგად ვიცნობდი. ხშირად ვწვევივარ მამაპაპურ სახლში. იგი, როგორც აფხაზეთის პირველი პირი, ცხადია, აფხაზურ საქმეს აკეთებდა, მაგრამ იმასაც ცდილობდა, რომ ქართული საქმე არ გაეფუჭებია. ანგარიშს უწევდა ქართველების ინტერესებსაც. შემიძლია ვთქვა, რომ იგი ყოველთვის ითვალისწინებდა ჩემს აზრს, ჩემს რჩევას ყურს უგდებდა.

- მაშ, რატომ მოხდა, რომ სწორედ მან, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ხელი მოაწერა აფხაზი სეპარატისტების წერილს - ლიხნის მიმართვას? ეს რა, ქართული საქმე იყო?

- გეტყვით იმას, რისი მოწმეც ვარ.

ოთარ ზუხბაიამ, რომელიც მაშინ მეორე მდივანი იყო, დამიბარა თავისთან. მივედი. დამხვდა იქ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. ობეხეესესის უფროსი ჭანტურიშვილი, კიდევ რამდენიმე კაცი, რომლებიც, როგორც ოთარმა მითხრა, ბორის ადლეიბას მძახლის, ქართველი კაცის - შონიას დასაპატიმრებლად იყვნენ თბილისიდან ჩამოსული. ეს შონია ოჩამჩრეში საკონსერვო ქარხნის დირექტორად მუშაობდა, მაგრამ იმ დროს უკვე სამი თვის წასული იყო ამ თანამდებობიდან.

- საკონსერვოს დირექტორობა "ფულიანი ადგილი" იყო...

- კი, ასე იყო... მაგრამ აქ საქმე მარტივად არ იყო ბევრი ნიუანსის გამო. ადლეიბა მოსკოვში მკურნალობდა - გულის პრობლემები აწუხებდა. დავურეკეთ, ვუთხარით, რაც ხდებოდა. გვთხოვა, ახლა ამას ნუ გამიკეთებთ, ჩამოვალ, გავერკვევი და, თუ დასაჭერია, მე დავიჭერო.

დავურეკეთ თბილისს, საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან კატეგორიულად აგვიკრძალეს ამ საქმეში ჩარევა: თქვენ არავინ გეკითხებათო.

დაიჭირეს შონია... ერთ თვეში გარდაიცვალა ციხეში.

დაბრუნდა მოსკოვიდან ადლეიბა. ერთ-ერთ დაკრძალვაზე შეეხვდა, მკლავი გამომდო, განზე გამიყვანა, სხვას რომ არ გაეგონა ჩვენი საუბარი და სხვათა შორის მითხრა, რომ ის, რაც მოხდა, რაც მის მძახალს დამართეს, მისთვის შეფურთხებაა და **"этого плевка я никогда не прощу!"**.

ამის შემდეგ მოაწერა ბორის ადლეიბამ ხელი **"ლიხნის წერილს"** - პროტესტის ნიშნად... მიმაჩნია, რომ ეს უფრო პიროვნული შეუთავსებლობის მიზეზით მოხდა და არა პოლიტიკური მოსაზრებით... ასე იყო, თუ ისე, ადლეიბას წასვლის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა აფხაზეთში.

- ძალა მოიკრიბა მოძრაობა "აიდგილარამ" და, თუ არ ვცდები, თქვენ იყავით ინიციატორი მათი წარმომადგენლების შეხვედრისა ზვიად გამსახურდიასთან, ვისი ავტორიტეტიც და გავლენაც საზოგადოებრივ აზრზე იმ პერიოდში დღითიდღე იზრდებოდა, თუმცა არჩევნები, რომელშიც "მრგვალმა მაგიდამ" გაიმარჯვა, ჯერ ჩატარებული არ იყო.

- ეს დიდი თემაა და სალაპარაკოც ბევრია, მიფუჩჩება არ გამოვა.

* * *

დავთქვით, რომ ინტერვიუს მომდევნო შეხვედრაზე გავაგრძელებდით.

არნო ხიდირბეგიშვილი: „საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიადა-2014-ში სოჭში, ანუ როგორ ეპყრობიან ქართველებს რუსეთში“

მე-3 გვ-დან.

სახლები, მაღაზიები და ხიდთან, უბრალოდ, შლაგბაუმი და **„ნეიტრალური ტერიტორია“.** მართალია, იქ გაჩერება გეგმაში არ ჰქონიათ, მაგრამ დელეგაციის თანმხლებმა პირებმა გაითვალისწინეს ჩვენი, ქართველი ჟურნალისტების, განცდები: მე და ბონდო ავტობუსიდან ჩამოვედით და აფხაზეთისკენ მიმავალ ხიდს მივადექით... არავინ გვაჩქარებდა და ხელს არ გვიშლიდა, ფოტო-სურათებიც კი გადავიღეთ (იხ. ფოტოგალერეა), ხოლო უკან გამობრუნებისას უცნობი ქალი მოგვიახლოვდა და სიტყვებით: **„მიირთვით აფხაზეთის ნობათი!“** - მანდარინები სავსე ცელოფანის პარკი გამოგვიწოდა. მადლობა გადავუხადეთ, მანდარინები ავიღეთ და იქვე გავსინჯეთ: მომცრო იყო, მაგრამ უგემრიელესი! ყველაზე გემრიელი, რაც კი ოდესმე გამისინჯავს...

საკმაო ხანს, მას შემდეგ, რაც ავტობუსში ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ, ჩვენი კოლეგები დელიკატურად დუმდნენ და მხოლოდ მოგვიანებით სომეხმა ჟურნალისტმა სააგენტო **„პანორამიდან“,** ლია ხოჯოიანმა ჩუმად მკითხა: ***„რას გრძნობდი იქ ყოფნისას?“***

„ორიოდე სიტყვით გადმოცემა გამიჭირდება...“ - მივუგე სავსებით გულწრფელად და მხოლოდ შემდგომ, როცა ჩემს გრძნობებში გავერკვიე, მივხვდი, რომ იმ წამს ყველაზე მეტად მინდოდა – **რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა და სამშობლოში აღმოვჩენილიყავი...**

„მწვანეები“ შურისა და ბრაზისგან გამწვანდნენ...

«მართალია თუ არა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - ახალი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ასევე, ოლიმპიური ობიექტები აფხაზეთიდან შემოტანილი ინერტული მასალებით შენდება, სადაც, როგორც ამბობენ, ამის გამო სანაპირო ზოლი და პლაჟები აღარ დარჩა?» – ვკითხე პრესკონფერენციაზე სოჭის მერს – ანატოლი პახომოვს.

„ამას უფრო დაზუსტებით მშენებლები გეტყვიან, მაგრამ, როგორც მერმა, შემიძლია განვაცხადო, რომ ინერტული მასალების ასზე მეტი მომწოდებელი გვყავს და ყველა შემოთავაზებიდან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფებს ვირჩევთ: ეს მთავარი კრიტერიუმია, ამიტომაც ეს, ძირითადად, კრასნოდარის მხარე და სოჭის ოლქია“, - მიპასუხა ქალაქის თავმა.

იგივე კითხვა დავუსვი სოჭის ღია სააქციო საზოგადოება **„რუსეთის რკინიგზის“** ხელმძღვანელს – ანდრეი დუდნიკს, რომელმაც ღიმილით განმიმარტა: ***„ჯერ ერთი, რომ აფხაზეთთან ჩვენი დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები ისეთი სიმძლავრის არაა, რომ დიდი მოცულობის ინერტული მასალები გადაიტანონ; მეორეც, იქიდან მასალების ჩამოტანა ჩვენთვის არარენტაბელურია – ის ქვიშა და ღორღი ოქროს ფასი დაგვიჯდება!“***

აქ უკვე მე გამეღიმა: უცებ გამახსენდა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერის – გია გაჩეჩილაძის ბრაზით გამწვანებული სახე, რომელიც მთელი მსოფლიოს ფეხზე დაყენებითა და სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩაშლით იმუქრებოდა იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ინერტული მასალების გატანა, შესაძლოა, გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზად იქცეს, რაც შავი ზრვის აუზის ყველა ქვეყანას შეეხება!

ვიმეორებთ – როგორც ჩანს, გია გაჩეჩილაძემ, რომელიც საქართველოს ეკოლოგიის მინისტრი ვერ გახდა (ისევე, როგორც მისი ცნობილი მოგვარე ვერ გახდა საქართველოს პრეზიდენტი), **არ იცის, რომ სოჭში ყოველ ხეს, რომელიც სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანისას გზაზე შეხვდებათ, ფაქიზად გადარგავენ სხვა ადგილას!**

ახლახან კი თბილისში, უძველეს და ულამაზეს დავით აღმაშენებლის გამზირზე (საბჭოთა ხანაში - პლეხანოვის, ხოლო რევოლუციამდე - მიხაილოვის პროსპექტზე) **ასობით სავსებით ჯანსაღი უნიკალური მაგნოლია მოჭრეს, რომელთა ასაკი 40-50 წელი იყო** (არადა, ისინი 100 წლამდე ხარობენ!): **სად იყო მაშინ საქართველოს „მწვანეთა“მთავარი გიორგი გაჩეჩილაძე?! ანდა მაშინ, როცა სანაპიროზე, ჩოგბურთის უძველეს კორტებთან მდებარე პარკში უზარმაზარ ხეებს ანადგურებდნენ?!** აჰ, ალბათ, საჩივრებს წერდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სოჭის ოლიმპიადის ჩაშლის მოთხოვნით...

“არ იღელვოთ, მაესტრო, ყველაფერი კარგად იქნება!“

ჩვენი პრესტურის მონაწილეებს გაუმართლათ: სოჭში 2011 წლის 4-დან 13 თებერვლამდე **იური ბაშმეტის** ხელოვნების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა და ორგანიზატორებმა მისი მონაწილეობით გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე მიგვიწვიეს. კონცერტის წინ სცენაზე გამოვიდნენ თავად მაესტრო, რომელიც **„სოჭი-2014“-ის ელჩიცაა** და ასევე, სოჭში სტუმრად მყოფი **რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კოზაკიც,** რომელიც პასუხისმგებელი გახლავთ ოლიმპიადა-2014 -ის გამართვაზე. მათი ხანმოკლე მისალმების შემდეგ დაიწყო დაუვიწყარი კლასიკური მუსიკის კონცერტი და მიუხედავად იმისა, რომ კულტურული პროგრამა პრესტურის ორ, მთლიანად დატვირთულ სამუშაო დღეს ასრულებდა, დაქანცულობა სადღაც გაქრა! კონცერტის შემდეგ იური აბრამოვიჩს ვეწვიე კულისებში მშვენიერი საღამოსთვის მადლობის გადასახდელად.

– როგორ მიდის საქმეები თქვენთან, თბილისში? - მკითხა მაესტრომ.

–გვეწვიეთ, სიხარულით დაგხვდებით! - მივუგე მე.

–ამისთვის ხომ ვიზაა საჭირო? - დააზუსტა ბაშმეტმა.

–არა, ვიზები მხოლოდ რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ, ხოლო რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში ჩამოსასვლელად ვიზები საჭირო არაა! - ავუხსენი მე.

– ესე იგი, რუსეთში ვიზები გჭირდებათ, ხოლო საქართველოში - არა?! არ ვიცოდი... და რატომაა ასე? - გაიკვირვა იური აბრამის ძემ. ახსნა-განმარტება, თუ **„რატომაა ასე“,** დიდ დროს წაიღებდა, მე კი არ მინდოდა კონცერტის შემდეგ უფრო მეტად დამექანცა გამოჩენილი მუსიკოსი და მოკლედ ვუთხარი: – **ნუ იღელვებთ, მაესტრო, თქვენ ოღონდ ჩამოდით და ყველაფერი კარგად იქნება!**

დაე, ისროდნენ ქვემეხები, მაგრამ მხოლოდ ხელოვნურ თოვლს!

„ოჰ, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!“ - ეს სიტყვები ოდესღაც ფრანგმა პიერ დე კუბერტენმა წარმოთქვა, რომელმაც ანტიკური ოლიმპიური თამაშების ტრადიცია აღადგინა. დიახ, სპორტი მშვიდობაა და არა პოლიტიკა, თუმცა დღეს ასეთ პოლიტიზებულ მსოფლიოში მავანთ ამისი არ სჯერათ.

„უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა საქართველომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში? თუ 2014 წლისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კარდინალურად შეიცვლება, მზად ხართ თუ არა ქართველი სპორტსმენების მისაღებად?“ - ვკითხე სოჭის მერს – ანატოლი პახომოვს.

„მობრძანდით, გეთაყვა! რა თქმა უნდა, მზად ვართ! ჩამობრძანდით! სოჭი ყველას გვეკუთვნის. აქ, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან და რუსებთან ერთად, დღესაც ათასობით ქართველი ცხოვრობს და მუშაობს!“ - გვიპასუხა სტუმართმოყვარე მერმა, რომელსაც პრესკონფერენციის მიმდინარეობის მანძილზე, არათუ განცხადება, ერთი პოლიტიკური ქარაგმაც კი არ წამოსცდენია (საერთოდ, არ ილაპარაკო პოლიტიკაზე - ეგებ, ყველაზე მაღალი კლასის პოლიტიკოსობას ნიშნავს).

დღეს მთელი მსოფლიო ურჩევს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას (თვით პრეზიდენტი სააკაშვილი მზად არის მოლაპარაკებები ყველა წინაპირობის გარეშე დაიწყოს!), ბევრი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი ძალ-ღონეს არ ზოგავს 2008 წლის აგვისტოში გაწყვეტილი მაკავშირებელი ძაფების სათითაოდ აღსადგენად (შენარჩუნებულია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის არსებული უფაქიზესი ძაფები), იყენებენ ყველაფერს - კულტურას, სახალხო დიპლომატიას, საზოგადოებრივ კავშირებს.

ჰოდა, ეგებ 2008 წლის ზაფხულში „დასიცხული“ ქართული თავები „გაგრილდნენ“ 2014 წლის ზამთრისთვის და სოჭის ზამთრის თამაშებმა რუსეთთან შეგვარიგოს? განა იმერეთის დაბლობი ამისათვის ზედგამოჭრილი ადგილი არ არის?! განა ჩვენ არ ვიცით, როგორ დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს ძლიერი ადამიანები, როგორ მეგობრობენ ქართველი და რუსი სპორტსმენები და რამდენი სპორტული გამარჯვება აკავშირებთ ერთმანეთთან?

და მაშინ, დაე, ისროლონ ქვემეხებმა, მაგრამ – მარტოდენ ხელოვნური თოვლი!

არნო ხიდირბეგიშვილი,
თბილისი-მოსკოვი-სოჭი-
მოსკოვი-თბილისი

საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს, ანუ ხიდირბეგიშვილის „ოლიმპიური“ პასუხი აქუბარდია&გაჩეჩილაძის „ტკბილ წყვილს“

მე-5 გვ-დან.

კოლეგიალობის ნორმებს არ დაარღვევდა;

4) გაჩეჩილაძე ადეკვატური და მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი რომ ყოფილიყო, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მთავარი რედაქტორისა და მთელი რედაქციის შეუარცხყოფამდე, თავს შეიწუხებდა და საქინფორმის საიტს www.saqinform.ge მოინახულებდა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ **„2011 წლის 25 იანვარს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის საქმიანობა დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. *„ დიდი საქმეა, ამას რომ აკეთებთ, ნამდვილად ეროვნულია, ძალიან გამახარა თქვენმა წამოწყებამ. თქვენი საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან ძვირფასია და ჩვენ ყველაფერში მხარში ამოგიდგებით! დაგლოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!“*** - საქართველოს პატრიარქის ეს სიტყვები ჩვენი საიტის თავშია განთავსებული, საქინფორმის ლოგოს გვერდით და შეუძლებელია, ვერ შეამჩნიო! **მაშ, ვინ ხართ, ბატონო გაჩეჩილაძევ, რომ შეურაცხყოფა მიაყენოთ ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც თავად პატრიარქმა დალოცა?!** შემთხვევით კი არაა აქუბარდია თქვენი მეგობარი, რომლის მიერ პირდაპირ ტელეეთერში მოწყობილი შარშანდელი პროვოკაციის გამო დღეს საპყრობილეში უდანაშაულონი - **„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“** წევრები სხედან!

5) ყველაფერი, რაზეც ამა წლის 22 თებერვალს შურისა და ბოღმისგან გამწვანებული გაჩეჩილაძე ლაპარაკობდა, სიცრუე და პროვოკაციაა: **ხიდირბეგიშვილის პუბლიკაცია საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის ვებსაიტზე www.saqinform.ge დაიბეჭდა, ხოლო გაზეთმა „კომსომოლსკია პრავდამ“ ის, უბრალოდ, გადაბეჭდა** *(ისევე, როგორც დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების მრავალმა გაზეთმა და საინფორმაციო სააგენტომ)*, სხვათა შორის, წყაროს მითითებით, სახეცვლილი სათაურითა და წინასიტყვაობით. **მაგრამ საქართველოს პატრიოტი გაჩეჩილაძე, ეტყობა, მხოლოდ რუსულ მედიას კითხულობს და სულში კომკავშირელად რჩება, ამიტომაც შენიშნა მხოლოდ „კომსომოლკა“;**

6) გაჩეჩილაძე რუსეთის ისეთ ნოსტალგიას განიცდის, სადაც ***„ტრაკზე სკოცნელად ჩადიან“*** *(როგორც „კავკასიის“ ტელეეთერში განაცხადა, ალბათ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით)*, რომ მთელი პრესკონფერენციის განმავლობაში, ქართულად ლაპარაკისას, ჩვენ დაჟინებით რუსულად გვიწოდებდა **„გრუზინფორმს“** და არც კი უეჭვია, რომ „გრუზია“ ქართულად „საქართველოა“ და ამიტომ ჩვენს სააგენტოს ქართულად **„საქინფორმი“** ჰქვია;

7) არანაირი მასალები, რომლებიც აფხაზეთიდან საშენი მასალების გამოტანას დაადასტურებდა, გაჩეჩილაძეს, დაპირების მიუხედავად, არ წარმოუდგენია - მას ხომ პრესკონფერენციაზე მარტოდენ ჟურნალისტების მიტყუება და თავისი ექსცენტრული ფიგურისადმი ინტერესის გაღვივება სურდა, რომელსაც საქართველოში სერიოზულად არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ აღიქვამს. თბილისში ზის და ინტერნეტში რუსულ ენაზე მოძიებული ინფორმაციით ჟონგლირებს, რადგან ჰგონია, რომ მის გარდა საქართველოში რუსულად კითხვა აღარავინ იცის. მის მიერ მოყვანილი, რუსი და აფხაზი პოლიტიკოსების განცხადებები უფრო მეტად განზრახვებზე მეტყველებს, ხოლო **ქართველმა ჟურნალისტებმა - ხიდირბეგიშვილმა და მმინარაშვილმა ახლახან მოინახულეს სოჭში ყველა, თითქმის დასრულებული, ოლიმპიური ობიექტი, ჩამოიტანეს ფოტო, ვიდეო და აუდიომასალები, რომლებსაც საქინფორმის საიტზე www.saqinform.ge და ასევე, ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველო და მსოფლიო” www.geworld.net შეგიძლიათ გაეცნოთ.**

8) “გვიხარია, რომ რუსულ პრესაში გვლანძღავენ!“ - ერთხმად განაცხადა გაჩეჩილაძე&აქუბარდიას „ტკბილმა წყვილმა“, რომლებსაც სერიოზულად ჰგონიათ, რომ რუსეთში მათ ვინმე იცნობს. ***„თქვენ ერთადერთი ხართ, ვისიც რუსეთის ხელისუფლებას ეშინია!“*** - სრული სერიოზულობით უმღერის პანეგირიკებს აქუბარდია გაჩეჩილაძეს და მხედველობაში აქვს, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ უკანასკნელის ეშინია იმიტომ, რომ მას შეუძლია სოჭის ოლიმპიური თამაშები ჩაშალოს... არა, ქართველი საზოგადოებისთვის ამ **„ტკბილ წყვილთან“** დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, თუმცა გაუგებარია: რაში დასჭირდათ მორიგი თვითლუსტრაცია?!

„სოსო ცინცაძემ დამირეკა, - *ამბობს ტელეეთერში აქუბარდია, -* ***და მითხრა, რომ გაჩეჩილაძეზე „კომსომოლკაში“ დაუბეჭდიათ“!*** **ჰოდა, ვინაა ამის შემდეგ ხელისუფლების მიერ ანგაჟირებული ჟურნალისტი: ხიდირბეგიშვილი თუ აქუბარდია?!** ხომ სავსებით ნათელია, რომ გაჩეჩილაძემ, თავისი უხეირო რუსულით *(ისევე, როგორც ინტერნეტის ცოდნით, სხვაგვარად, ხიდირბეგიშვილის სტატიას გადაბეჭდილს ნახავდა არა მარტო „კომსომოლკაში“, არამედ ლატვიის, ლიტვის, მოლდოვის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა ელექტრონულ მედიაში)*, ვერ შეძლო „კომსომოლკაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის წაკითხვა - მას აქუბარდია მიეხმარა და ამავე დროს ე. წ. პრესკონფერენციისთვისაც მოამზადა. ხოლო აქუბარდიამ ეს ინსტრუქცია მიიღო „ზემოდან“ - სოსო ცინცაძისგან (ხელისუფლების „ჯიბის“ ექსპერტისგან, რომლის არც ერთი პროგნოზიც აქამდე არ გამართლებულა, საქართველოს კომპარტიის ცკ–ის ყოფილი პოლიტპროპაგანდისტისგან, ხანდაზმულობაში რომ დაწერა ნატოს სახოტბო წიგნი);

9) აქუბარდიას ვურჩევთ, თავს ძალა დაატანოს და როგორმე წაიკითხოს ზემონახსენები პუბლიკაცია საიტზე www.saqinform.ge (რომლის შესახებაც, ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე, მთელი საღამო ლაპარაკობდა) და ყურადღება მიაქციოს მის სხვა ფრაგმენტს სათაურით **„ქართველი ჟურნალისტები აფხაზეთიდან ორ ნაბიჯში“,** ასევე, ნახოს ფოტოსურათები, სადაც ქართველი ჟურნალისტები ბონდო მძინარაშვილი და ხიდირბეგიშვილი ფსოუს ხიდთან დგანან. ***„იმ წუთში ყველაზე მეტად მინდოდა, რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა და სამშობლოში აღმოვჩენილიყავი...“*** - ასე ამთავრებს ხიდირბეგიშვილი პუბლიკაციის იმ ნაწილს. **თქვენ არ გენატრებათ აფხაზეთი, ბატონო აქუბარდია?!**

დიახ, **აფხაზეთი ძალიან ახლოა, მაგრამ წესიერი და გონიერი ადამიანებისთვის** და, თუ ჩვენმა პუბლიკაციამ ოდნავ მაინც დააახლოვა საქართველო რუსეთთან, თავს ბედნიერად ვიგრძნობდით და ჩავთვლიდით, რომ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მიზანი ბრწყინვალედაა მიღწეული! ეს ნიშნავს, რომ ლტოლვილები აფხაზეთში დაბრუნებას შეძლებენ, ხოლო საქინფორმი და ხიდირბეგიშვილი **აყვავებულ საქართველოში** იმუშავებენ! ძნელი სათქმელია, სად იქნება ამ დროს ბატონი გაჩეჩილაძე, თუმცა იმ რეკლამისთვის, რომელიც მას ამ დღეებში საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა გაუკეთა ***(არ ვუწოდებთ გაჩეჩილაძეს პოლიტიკურ გვამს მხოლოდ იმის გამო, რომ ცოცხალი პოლიტიკოსი არც არასდროს ყოფილა)***, მთავარ „მწვანეს“ ,,მწვანეებით“გადახდა მოუწევს! საიდან მოიტანს დოლარებს?! დაე, რუსეთის ფედერაციის ოლიმპიურ ორგკომიტეტს მოსთხოვოს, XXII ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ხომ მან საქართველოში ჩინებული რეკლამა გაუკეთა!

P. S. არა, როგორც ჩანს, მაინც დაეჯერება იტალიელ ციხის ექიმ-ფსიქიატრ **ჩეზარე ლომბროზოსა** და ცნობილ ქართველ პოეტ **რეზო ამაშუკელს,** რომლებიც ირწმუნებიან, რომ ადამიანის გარეგნობა მის შინაგან ბუნებასა და ინტელექტს წარმოაჩენს! ახლა კი წუთით წარმოიდგინეთ ეს „ბერმუდის სამკუთხედი“: გაჩეჩილაძე-აქუბარდია-ცინცაძე... წარმოიდგინეთ?! აი, ახლა კი შეიძლება დავძინოთ *„No comment”…*

(საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ ამცნობს პატივცემულ მკითხველს, რომ ამ პუბლიკაციის საპასუხოდ გაჩეჩილაძის მხრიდან ნებისმიერი სავარაუდო გამოხდომის მიუხედავად, ჩვენი სააგენტო მისთვის პასუხის გაცემას არ აპირებს: ის და მისი ყალიბის ფიგურები ჩვენ, უბრალოდ, არ გვაინტერესებს.)

აწმყო თუ არა გწყალობს, ვერც მომავალს ეღირსები!..

(კვლავ პრეზიდენტის საპარლამენტო ყინჩაობის შესახებ)

შედგა! მარა რა შედგა! შედგა ჩვენი გრძელი (გნებავთ – მაღალი) პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნაზე და ისეთი **"რეჩი"** დააგუგუნა, რომ საკუთარი თავი ბრმა და ყრუც კი მეგონა, რადგან, თურმე, მის ხელში საქართველო აშენებულა და დამშვენებულა, მე საწყალი კი, გასაჭირისა და უბედურების მეტს ვერაფერს ვხედავ!

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, სააკაშვილი მთლად კარგ ფერსა და ხასიათზე ვერ იდგა, რადგან თვალშისაცემია ის, რომ ტუნისისა და ეგვიპტის მოვლენების შემდეგ ყველა დიქტატორს შიშის ზაფრა აქვს ჩასახლებული გულ-გვამში! ახლა ლიბიაშიც იგივე პროცესი მიმდინარეობს და **"ნაციონალებმა"** კარგად იციან, რომ ხალხის მღელვარების ცუნამი აუცილებლად მოადწევს საქართველომდეც. ამიტომ იმეორებენ გამუდმებით: **"ის რაც დღეს ეგვიპტეში ხდება, საქართველოში 2003 წელს მოხდაო"!** მაგრამ, ძალიან კარგად იციან, რომ თავს იმშვიდებენ, სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით გატანჯული ქართველი ხალხი მალე გადაიყრის მათი მონობის უღელს და სასამართლოს სკამზე განამწესებს საქართველოს დღევანდელ იმ უჯიშო მმართველებს, რომელთაც **"ქვეყნის წყლული"** არ ამჩნდებათ წყლულად და ყაჩაღური შემართებით აგრძელებენ ისედაც გაძვალტყავებულკი ქვეყნისა და ხალხის ძარცვა-გლეჯვას.

20 და 30-ლარიანი ვაუჩერებით უნდათ ქართველი ხალხის კეთილგანწყობის ყიდვა, მაგრამ კარგად ხედავენ, რომ ასეთი იაფფასიანი ტრიუკებით დიდ ხანს ვერ გაძლებენ და შორსაც ვერ წავლენ! მზად არიან ყველაფერი დათმონ, მხოლოდ საკუთარი თანამდებობებისა და ნაძარცვ-ნაოხრალი ფულისა და ქონების გარდა!

ისე, მართლაც, პრინციპულობისა და სტოიციზმის კლასიკური მაგალითი მოგვცეს ეგვიპტელებმა – მსხვერპლიც გაიღეს, ქარ-ყინვასაც გაუძლეს და გაძალიანებულ საძულველ მუბარაქს სამუდამოდ აუკრეს გუდა-ნაბადი ქვეყნიდან. მაინც მინდა ვირწმუნი, რომ ეგვიპტელ ხალხში იმ მამელუქთა სისხლმა იყივლა, რომლებიც საქართველოდან წაიყვანეს პატარა ბიჭებად და შემდეგ გმირულ მმართველ ძალად მოევლინენ სამყაროს. სწორედ მათმა სიბრძნემ და სიმამაცემ აღადგინა ეგვიპტე ფერფლისაგან და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის მიუჩინა ადგილი!

მხოლოდ ის ვერ გამიგია, საქართველოში დარჩენილ ქართველებს რა დაგემართეს ასეთი, ამდენ დამცირებასა და შეურაცხყოფას რომ ვიტანთ საქართველოს გარედან შემოთესლილი მმართველი ძალისაგან!

უკვე შვიდი წელია სიტყვით გვპირდებიან უზრუნველ და ბედნიერ ცხოვრებას, მაშინ, როცა რეალურად ქვეყანა დაანაწევრეს, გააღატაკეს და სამუდამო გაქროების საფრთხის წინაშე დააყენეს.

ჩვენ კი, ვითმენთ ამგვარ აბუჩად აგდებას!

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ცნობილმა რუსმა დისიდენტმა ალექსანდრე ზინოვიევმა გამოსცა წიგნი: **"К зыяющим вершинам" ("ზევით, პირბნელი ხაროებისაკენ").** თუმცა შემდეგ აღიარა, რომ ეს, წიგნი სოციალიზმისადმი წრესგადასულმა სიძულვილმა დააწერინა. ავტორი ბოლშევიკებს რუსეთის დანგრევას აბრალებდა, მაგრამ როგორ შეიძლება შევუდაროთ ერთმანეთს სოციალისტური აღმშენებლობა დღევანდელ **"ნაციონალთა"** დამანგრეველ პოლიტიკას? განა მართლაც პირბნელი ხაროებისაკენ არ მიისწრაფვის ნაციონალთაგან ოკუპირებული საქართველო?

ჩვენ კი, იმედს მაინც არ ვკარგავთ და ვითმენთ!..

უკვე სასაცილოდ გამოიყურება სააკაშვილის შეპირება იმის თაობაზე, რომ საქართველო მალე სამოთხეში იცხოვრებს. ამ ფრაზაზე მოხდენილად იხუმრა ჩვენმა მეგობარმა, ჯავახეთში მცხოვრებმა ეთნიკურად სომეხმა მაგრამ გულით ჭეშმარიტად ქართველმა მამულიშვილმა ხაჩიკ ბდოიანმა.

– თუ დამიჯერებთ, სომხეთზე მეტად მაწუხებს საქართველოს მომავალი, რადგან მეც საქართველოში ვცხოვრობ და ჩემმა შვილებმაც აქ უნდა იცხოვრონ. მწარე ხუმრობას ვერიდები საქართველოსთან მიმართებაში, რადგან სომეხი ვარ და შეიძლება უადგილო ქილიკში ჩამომართვან. მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მიხეილ სააკაშვილის ომახიანი დანაპირები, ქართველი ხალხის სამოთხეში მოხვედრის თაობაზე რეალობაა, რადგან სამოთხეში მხოლოდ მიცვალებულები ხვდებიან. სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა თუ ასე გააგრძელეს, საქართველოში მალე ცოცხალი და ჯანმრთელი ადამიანი სანთლით საძებნელი გაგვიხდება!

მოდი და, ნუ დაეთანხმები!

ჩვენ კი ჯიუტად არ ვკარგავთ იმედს, და ვითმენთ!

მაგრამ, ყველაზე გასაკვირი მაინც ის იყო, რომ პარლამენტში ბოლო გამოსვლისას, ნაციონალთა შორის, სწორედ სააკაშვილი გამოირჩეოდა კონსტრუქციულობით. მაგრამ, ეჭვი გვაქვს, რომ ესეც **"ნაციონალთა"** პოლიტიკური ხრიკია – რაც მეტად საზიზღრებად წარმოჩინდებიან მაჭავარიანები, წიკლაურები, ბარამიძეები, ცისკარიშვილები, კუბლაშვილები და სხვები და სხვები, მით უფრო სიმპატიური და **"მაგარი"** იქნება მათ ფონზე მიხეილ სააკაშვილი! მხოლოდ მათი მსგავსი უტიფარი ადამიანები თუ იკადრებენ იმის მტკიცებას, რომ ქვეყანა აღმავლობის გზაზეა დამდგარი და მას გულ-მუცელს არ უღრღნის კორუფცია და სახელისუფლებო ძალმომრეობა!

რუსები ამგვარ სტრატეგიას ეძახიან **"Разведка боем",** როცა ბატალიონი მოჩვენებითად მაშტაბურ იერიშზე გადადიოდა, რათა განესაზღვრათ მოწინააღმდეგი რეალური რესურსი. ამ შეტევას, როგორც წესი, მთელი ბატალიონი ემსხვერპლებოდა ხოლმე, მაგრამ მტერი იოლად იშიფრებოდა და შემდეგ უკვე ნამდვილი მასშტაბური შეტევა იწყებოდა. ასეა ნაციონალებთანაც, ერთი მუჭა **"ავანგარდი"** ყოველ უკადრის საქმეზე მიდის, რათა **"მეთაურის"** მლიქვნელური განდიდებით თავად საზიზღარ არსებად წარმოჩინდეს საზოგადოების თვალში და ამით საკუთარ **"ბელადს"** სახელი და ღირსება დაუმკვიდროს!

ჩვენც სატყუარას დახარბებული ჰარიფებივით **"ვჭამთ"** ამ ვირეშმაკურ ხრიკს და **"ბედნიერი მომავლით"** დაიმედებულები ვითმენთ ყოველივეს!

არა და, ნუთუ ასეთი ძნელი დასანახია, რომ ქართველ **"ნაციონალებს"** პოლიტიკური მომავალი აღარ გააჩნიათ და მხოლოდ წარსულის **"სიდიადით"** იწონებენ თავს! გაიხსენეთ ბრეჟნევის ეპოქა, როცა ქვეყანამ დაჰკარგა მომავლის პერსპექტივა და საბჭოთა საზოგადოება მხოლოდ გმირული წარსულის ფურცლების დემონსტრირებით სულდგმულობდა. ამათი წარსული კი მხოლოდ ასლან აბაშიძისა და ბადრი პატარკაციშვილისადმი ვერაგული ანგარიშსწორებით შემოიფარგლებდა. ისიც მინდა ვკითხო სააკაშვილსა და მის დანაშაულებრივ გარემოცვას: ისეთი სიგლახე რა გაუკეთა ასლანმა საქართველოს, რასაც ესენი უკეთებენ, მიწა არ მიუყიდია გადამთიელებისათვის და წყალი, გობსეკივით მყარად აჯდა ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს, არა იმიტომ, რომ გაეყიდა და ფული საზღვარგარეთ ეხარჯა პორტუგალიელ მეძავებთან, არამედ იმიტომ, რომ მომავალი თაობებისასთვის შეენახა ეს ეროვნული სიმდიდრეები!

ესენი კი, კვლავ ასლანით და ბადრი პარატკაციშვილით გვაშინებენ, და ჩვენც ვითმენთ!

როდემდე?

როლანდ ჯალაღანია

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

გაზეთ "ᲘᲚᲘᲠᲘᲡ" მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი აფხაზი მეგობრის, გაზეთ "ᲒᲐᲚᲘᲡ" მთავარი რედაქტორის ბატონ ნუგზარ სალაყაიას წერილს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამ გაზეთის 2010 წლის დეკემბრის №7-ში (83).

მკითხველი ეცნობა ჩვენს წერილებს აფხაზური გვარების თაობაზე, რომელი ციკლიც ჩვენ დავიწყეთ აფხაზ თავადთა საგვარეულოზე თხრობით. ეს არ გახლდათ შემთხვევითი. იმ პერიოდში სამურზაყანოში შედარებით გამორჩეული გახლდათ ჩაჩბების, მარშანების, ინალ-იფების, ჩხოტუების, ზვანბებისა და სხვა საგვარეულოები. გამორჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს მკითხველებს ვთავაზობთ სტატიას ერთ-ერთ გამორჩეულ გვარზე – ინალ-იფაზე. მართალია, არ გაგვაჩნია ამ საგვარეულოზე ისტორიული მონაცემები. ეს სწავლულთა საქმეა. ჩვენ მხოლოდ ინალ-იფების საგვარეულოს შთამომავალთა მიერ მოწოდებულ ცნობებს გავაცნობთ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲕᲐᲫᲕᲐᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲘᲜᲐᲚ-ᲘᲤᲐ

გვარი ინალ-იფა (ინალიშვილი) სამურზაყანოში წარმოიქმნა 1750-იან წლებში აფხაზეთის მთავარ მუზარაყან ჩაჩბასა და სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს შორის 50-წლიანი კინკლაობისა და დავის შემდეგ. შთამომავალთა დამოწმებით სამურზაყანოში ინალ-იფას გვარის პირველი მფლობელი გახლდათ გიორგი ინალ-იფა. მას სამი ვაჟიშვილი ჰყოლია, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში დასახლებულან. უფროს ვაჟს – კაცს, საცხოვრებლად აურჩევია სოფელ რეჩხის გარეუბანში მდებარე ადგილი **ჰოლე**. მეორე და მესამეს შვილს კი აფხაზეთის თანამედროვე დასახლება **ჩეგალის** მიდამოებში დაუდვიათ ბინა. სამწუხაროდ, ამ მეორე და მესამე შვილზე არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია და მათი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ უფროსი ძმის ისტორია მისი უშუალო შთამოვლების მონათხრობებიდან შევიტყეთ.

კაც ინალ-იფას ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა: ალექსანდრე, ძვაძვალა, კონსტანტინე, კუაჯი და ხრიპსი. ისინი ყველანი თავგანწირვით იცავდნენ სამურზაყანოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა ამ მხარეს თავს დაესხა ომარ-ფაშა.

კაცის შვილებს შორის ყველაზე გამოჩენილი იყო ძვაძვალა. იგი დაქორწინდა ჯალილა მარღანიაზე (მაანი) და შეეძინა ორი ვაჟიშვილი და 6 ქალიშვილი: მიხეილი, ჯოტო, კესო, ბურდუხანი, ვარდახანი, პელაგია, ნადია და ჩეთი. როგორც შთამომავლები მოწმობენ, ერთი ხანი ძვაძვალა გალის ერთობის თავმჯდომარე იყო და ორჯერ წმინდა გიორგის ორდენითაც კი დაჯილდოვეს. იგი ესწრებოდა რუსეთის იმპერატორად ნიკოლოზ რომანოვის კორონირების ცერემონიას. ძვაძვალა მდიდარი ადამიანი იყო. მას საკუთრებაში გააჩნდა გემი და ვეებერთელა წისქვილი.

ძვაძვალას ძმას ალექსანდრეს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელთა შთამომავლები მთელ საქართველოში არიან მიმოფანტული; კონსტანტინეს მხოლოდ სამი ქალიშვილი ჰყავდა. შუათანა ძმის, კუაჯის შვილი ზურაბ ჩაჩბა მთელ რუსეთში სახელგანთქმული ექიმი გახლდათ. უმცროსი ძმის ხრიპსი ინალიშვილის შთამომავალი შალვა დენისის ძე ინალ-იფა სახელმოხვეჭილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო.

ძვაძვალას შვილი, 1870 წელს დაბადებული მიხეილ ინალიშვილი სწავლობდა სათავადაზნაურო ჰუმანიტარულ გიმნაზიაში, შემდეგ კი სანქტ-პეტერბურგის სამხედრო აკადემია დაამთავრა. განათლების მიღების სემდეგ იგი ქუთაისის გუბერნიის სამხედრი კომისრად მუშაობდა, იყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ძვაძვალას მომდევნო შვილები ჯოტო და პელაგია წარმატებით სწავლობდნენ საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში სამწუხაროდ, ისინი საფრანგეთშივე დაავადდნენ მძიმედ და აქ აღესრულენ. მოგვიანებით მათი ცხედრები სოფელ რეჩხში იქნა გადმოსვენებული, საფლავზე კი თეთრი ქვით გაწყობილი 13-მეტრიანი პირამიდა აღმართეს, რომლის ნარჩენები დღესაც შეინიშნება ერთ-ერთი ქალიშვილი ბურდუხანა ცოლად ჰყავდა ცნობილ გენერალს ყარამან ემუხვარს, მეორე – კესოს მეუღლე კი გახლდათ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნაწარმოებ **"მთვარის მოტაცების"** მთავარი გმირის არზაყანის პროტოტიპი – ასტამური.

მიხეილ ინალიშვილი დაქორწინდა მარიამ ზვანბაიაზე (ზვანბა). მათ 5 ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი შეეძინათ. უფროსი შვილი, 1907 წელს დაბადებული ზაკანბეკი დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამავე ომის მონაწილეები იყვნენ სხვა შვილებიც: ასლანბეკი, ენვერფაშა, ზაკამბეკი და შუქრი, რომლებიც მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ყოველ მათგანს ჰყავდა საკუთარი ოჯახი, მაგრამ შუქრის შთამომავლების გარდა, მათი შვილები და შვილისშვილები მიმოფანტული არიან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. შუქრი ინალიშვილი და მისი მეუღლე ჟუჟუნა მუდმივად წინაპართა სოფელ რეჩხში ცხოვრობდნენ და მათ ორი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი ჰყავდათ. უფროსი შვილი ისტორიკოსია, არის აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი პალატის წევრი. ზურაბმა ნოვოჩერქეზსკის სამრეწველო-საამშენებლო ინსტიტუტი დაამთავრა და ამჟამად ოჯახურ მეურნეობას უძღვება. დებიდან – ლიანა გათხოვილია, დარეჯანი კი პედაგოგია და რეჩხის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს; ისტორიკოსია უმცროსი და რუსუდანიც, რომელიც ამჟამად აფხაზეთის თავადაზნაურთა საზოგადოება **"სამურზაყანოს"** უდგას სათავეში. თავად შუქრი მიხეილის ძე კი დიდი ხანი არაა რაც გარდაიცვალა.

ავტორისაგან: საარქივო მასალების უქონლობის გამო ძნელი იყო ყოვლისმომცველი წერილის შექმნა, მაგრამ თენგიზ და ლიანა ინალიშვილების მიერ მოწოდებული მასალების წყალობით, მაინც შევძელი თუნდაც მცირე ინფორმაცია მიმეწოდებინა მკითხველისათვის.

ნუგზარ სალაყაია

ᲞᲝᲔᲢᲘ

ეპისკოპოსი მეუფე ბენედიქტე (ერისკაცობაში – ბეჯითი ჯალადონია) დაიბადა 1939 წლის 7 იანვარს სამეგრელოს ულამაზეს სოფელ სარაქონში. 1963-1967 წლებში სწავლობდა ჯერ მცხეთის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი ზაგორსკის სასულერო აკადემიაში.

მუშაობდა დიდი ქართველი მწერალი-კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას მდივნად. წერს და თარგმნის მეგრულ ენაზე. სხვადასხვა დროს მეგრულ ენაზე ნათარგმნი აქვს "ვეფხისტყაოსანი", ტერენტი გრანელისა და სხვა პოეტთა ნაწარმოებები.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მეუფე ბენედიქტეს მიერ მეგრულ ენაზე თარგმნილ დიდი ილია ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს "პოეტს".

იშენ ვებირქ, იბივრენი
მუჭოთ ტყარი სუაცამქუ,
ხვალე ჰამო ხონარშენი
გიმმოჩქუო გიმე ცაქუ.

ცასიერშუ ცა მანიშნენს,
დიხაშიერ ერი ბრდუნსუ,
ანთარ წკუმა ჩია ნიშნენს,
დო ქვა ერშა აწომქუნსუ.

ჟინ ანთარიშ ყებურიში
გურს დაჩხირი
ქალაბრზამუ,
ჯიმა ვარდე მა ერიში
გილერგუ თუ გილეხვამუ.

ერის ჭყოლი ჭყოლენს
ჩქიმო,
თიშ წვალებათ გური
მაჭვუ,
თიშ ფურბეთი უსაწიმო
მა ვამოწიმ, გურ ალმაჭუ.

აჰა, ნაცხაცხელით ცაში
გურიშ დაჩხირქ გეუმოსუ,
იბივრქ, მუჟანს წვალებაში
ერს ჩილამურს გელვუქოსუ.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ტელეარხი თუ თაღლითების ბუდე?

წინასწარ ვადიარებთ, რომ ამგვარი შეკითხვის დასმა დიდი უტაქტობაა, მაგრამ ამ შეკითხვის ანალოგის ინიციატორები ვართ არა ჩვენ, არამედ ტელეარხი **"იმედი"**, რომელმაც 2011 წლის 21 და 22 თებერვალს საკმაოდ ვრცელი გადაცემა (უფრო ზუსტები თუ ვიქნებით – **"ანტიგადაცემა"**) მიუძღვნა სახალხო მკურნალ ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძეს, შემდეგი სათაურით – **"სახალხო მკურნალი თუ თაღლითი"**.

დავიწყებთ იმით, რომ, თუნდაც მხოლოდ ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, არ შეიძლება 80 წლის ადამიანის **"თაღლითად"** მოხსენიება, მით უმეტეს, როცა საამისოდ არავითარი ექსპერტირებული არგუმენტი არ გაგაჩნია და, მით უმეტეს მაშინ, როცა აშკარად ანგაჟირებული ხარ ფარმაკომაფიის მიერ. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც უმაღლესი ხელისუფალი ღვაწლმოსილ მეცნიერებს **"ჩარეცხილებად"** მოიხსენიებს, გასაკვირი და გასაოგნებელი უკვე აღარაფერია. მთავარი კი ისაა, რომ ტელეარხის ჟურნალისტებმა მართლაც ღვაწლმოსილი სახალხო მკურნალი **"თაღლითად"** გამოაცხადეს მხოლოდ ორი პაციენტის ჩვენების საფუძველზე, რომელთაც თითქოს გაგნიძის მიერ შექმნილმა პრეპარატებმა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესეს, მაშინ, როცა გაგნიძე რუდუნებით ინახავს იმ ათიათასობით გამოჯანმრთელებულ პაციენტთა სამადლობელო წერილებს, რომლებმაც სწორედ **"გაგენოლისა"** და **"დომენტოლის"** გამოყენებით დაიხსნეს თავი ნარკომაფიის კლანჭებისაგან და მართლაც კაპიკები დაუჯდათ ჯანმრთელობის აღდგენა, იმ თანხებთან შედარებით, რაც მათ ოფიციალური მედიცინის **"ზრუნვით"** დაუჯდებოდათ.

რა ვქნათ ახლა, ვირწმუნოთ, რომ ორად-ორი, **"იმედის"** ჟურნალისტების მიერ რის ვაი-ვაგლახით აღმოჩენილი **"ჯანმრთელობაგაუარესებული"** პაციენტის ჩვენება გადასწონის ამ ათიათასობით გამოჯანმრთელებულ პაციენტთა მადლიერებას, უეჭველი სიკვდილისაგან თავდახსნილები, ცხოვრებას კვლავ ძველებური შემართებით რომ შეჰხარიან?

არა მგონია, რადგან საქართველოში უიმედობისა და ცინიზმის მთესველმა ტელეარხმა **"იმედმა"** არ იცოდეს, თუ სად არის დამარხული ძაღლის თავი. ადრეულ წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პირველი, ვინც წინ აღუდგნენ ბიჭიკო გაგნიძის განსაცვიფრებელ ნოვაციას, იყო ე.წ. **"წამლის მაფია"** და ქართული ფარმაციის ის **"მამები"**, რომლებიც გაგნიძეს მათი ჯიბის კონკურენტებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ რაც უფრო მეტი პაციენტი მიმართავს სახალხო მკურნალს, მით უფრო დიდ შემოსავალს დაკარგავენ ისინი.

ალბათ გაიხსენებთ, იმდენად ძლიერია წამლის მაფიის პოლიტიკური გავლენა საქართველოში, რომ ახლადდანიშნულმა ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ, მათი მადის დასაკმაყოფილებლად, რეცეპტის გამოწერაც კი კინაღამ ფასიანი გახადა, რამაც ფეხზე წამოაყენა მთელი ერი, მაგრამ არა პატივისცემის, არამედ რისხვის გამო! უკვე ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს ფარმაკომაფია არის დანაშაულებრივი სახელმწიფო ვერტიკალის ერთ-ერთი მძლავრი მეტასტაზი.

ისიც ფაქტია, რომ გაგნიძის მიერ გამოგონებული წამლებისათვის მწვანე გზის მიცემის შემდეგ აფთიაქებიდან რამდენიმე ასეული უსარგებლოდ ქცეული ის პრეპარატი იქნება ამოსაღები, რაც დღეს სისხლის ფასად მიეყიდება მოსახლეობას. მაგრამ, მაინც ვერ დაიჭირა **"სიკვდილი, ვერც ვიწრო და ვერც კლდოვანმა გზამ"** (მით უმეტეს, მას ვერაფერს დააკლებს უიმედობის ტრუბადური **"იმედი"**) და, მიუხედავად ამგვარი ბინძური გამოხტომებისა, მკურნალმა უკვე მოიპოვა საერთო აღიარება და მალე, იმედია, რომ მთელი მსოფლიო გამოიყენებს გაგნიძის მიერ სიკვდილის დამამარცხებელ პრეპარატს, რომლის შექმნას უშედეგოდ შეალია მსოფლიოს კლასიკურმა მედიცინამ საუკუნეობით შრომა.

ჩვენს მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენებ შესანიშნავი ფილმის **"შინდლერის სია"** შესავალში მოხმობილი სიტყვებს იუდეველთა ხუთთავიდან – თორადან: **"თუ შენ გადაარჩინე ერთი ადამიანის სიცოცხლე, შენ გადაარჩინე სამყარო"!**

არავინ იცის, რამდენჯერ გადაარჩინა ბიჭიკო გაგნიძემ სამყარო, რისი დადგენაც იმ ათასობით მადლიერი პაციენტის ბარათებითაც კი გაძნელდება, რაც სახალხო მკურნალს თავისი ხანგრძლივი პრაქტიკის განმავლობაში მიუღია.

ხეთა ნაყოფებს და მინდვრის ბალახებს, რასაც სახალხო (და, არც თუ იშვიათად – კლასიკურიც) მედიცინა იყენებს ადამიანთა მძიმე სნეულებებისაგან დასახსნელად, თავიანთი კანონები აქვთ. თუმცა,

ადამიანებს შორის დამოკიდებულების წესები ბევრად უფრო რთულია, მაგრამ ისინიც განსაზღვრულ წესრიგზეა (მაგრამ არა საქართველოში) დაფუძვნებული.

ბიჭიკო გაგნიძეს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ამ წამალს მან მაშინ მიგნო, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა – ჯერ კიდევ 1985 წელს მას კლასიკური მედიცინის **"მამებმა"** უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს და შინ გაუშვეს, რადგან მისი განკურნება შეუძლებლად მიაჩნდათ.

გაგნიძეს მართლაც სიზმარში გამოეცხადა ადამიანი, რომელმაც ბალახეულზე მიანიშნა და ურჩია, რომ ამათი ნაყენი მიიღეო (ეს უკვე რელიგიური მრწამსის სფეროა, მაგრამ რომელ რელიგიურ მრწამსზე უნდა ესაუბრო იმ ადამიანებს, რომელთა საქმიანობის ქვაკუთხედი ამორალურობა და გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე გამდიდრება წარმოადგენს). ბიჭიკოც ასე მოიქცა და საბოლოოდ განიკურნა. შემდეგ კი ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ეს უებარი წამალი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

მაგრამ ამას წინ უძღოდა დიდი და საკმაოდ სახიფათო ექსპერიმენტი – პრეპარატის საბოლოო დახვეწამდე მისი გამოყენება-გამოცდა საკუთარ თავზე. სამჯერ რეანიმაციაში მოხვდა, მაგრამ, სიზმარში გამოცხადებული ღმერთის წყალობით თავადაც გადარჩა და სხვაც ბევრი გადაარჩინა.

ერთადერთი მყარი არგუმენტი, რაც დღეს ოფიციალურ სამედიცინო წრეებს გააჩნიათ ბიჭიკო გაგნიძის ამ მართლაც გენიალური გამოგონების წინააღმდეგ, არის ის, რომ **"დღემდე მსოფლიო მედიცინამ ავთვისებიან სიმსივნეს ვერაფერი დაუპირისპირა და ეს უბრალო თელაველი არამედიკოსი კაცი ამდენს როგორ მოახერხებდაო"**.

მაგრამ, ხომ მოახერხა?

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გაგნიძის პრეპარატის სამედიცინო სფეროში ჩართვას ყველაზე აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ სწორედ ის მედიკოსები, რომლებიც თურმე თავად ჩუმად იყენებდნენ მის პრეპარატს პროფილაქტიკის თვალსაზრისით, რაც მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი.

მოკლედ, დომენტი (ბიჭიკო) გაგნიძის წინააღმდეგ წამლის ქართული მაფიის ტოტალური შეტევა უნებურად შეგვახსენებს დიდი კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატისეულ აგონიურ ამოკვნესას **"დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს..."**

მაგრამ, როგორც იტყვიან: **"მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!"**. ბიჭიკო გაგნიძე ნამდვილად არ მიეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც პირველივე წინააღმდეგობისთანავე ჩამოუშვებენ ხელს. მან კარგად იცის, თუ როგორი ვერაგი და დაუნდობელი ძალაა ამხედრებული მის წინააღმდეგ ფარმაკომაფიის სახით, მაგრამ ცხოვრების სიძნელეებთან ბავშვობიდან დაპირისპირებულ ადამიანს ასე იოლად ვერავინ დაჯაბნის და დაამარცხებს. მით უმეტეს მაშინ, როცა მკურნალის მხარესაა დიდი ჭეშმარიტება – მის მიერ გამოჯანმრთელებული ათიათასობით ადამიანის სიმპათია და სიყვარული!

რაც შეეხება ტელეარხ **"იმედს"**, მისმა ჟურნალისტებმა, როგორც ჩანს, არ იციან სიტყვა **"თაღლითის"** მნიშვნელობა, და ამიტომ ავუხსნით, თუ ვინ არიან თაღლითები და, კონკრეტულად, რა არის თაღლითობა.

მაშ ასე: **თაღლითობაა** მთლიანად ტელეარხ **"იმედის"** შიგთავსი, რადგან იგი წარმატებულმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა დააფუძნა როგორც ოპოზიციური ტელეარხი, რომელიც მისი გარდაცვალების (თუ მოკვლის – ესეც დასაზუსტებელია) შემდეგ მანქურთულმა ხელისუფლებამ, ვიღაც არამზადა ჯოზეფ ქეის ხელშეწყობით, ყოველი ბინძური ხერხის გამოყენებით, წაართვა პატარკაციშვილების ოჯახს, ჩააბარა იგი ასევე ვიღაც არველაძეს და ეს ობიექტური **"საინფორმაციო ღრუ"** საკუთარი, რეალობაში არარსებული, **"დიდი დამსახურებების მეხოტბე ჯიბის ტელევიზიად"** აქცია!

თაღლითობაა იმ **"მოდელირებული ქრონიკის"** მომზადება და ეთერში გაშვება, რომელმაც თავზარდამცემი პანიკა დათესა საზოგადოებაში და ერთ-ერთი გულით დაავადებული უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეც კი იმსხვერპლა!

თაღლითობაა იმ არარაობების განდიდება, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს საომარი მოვლენების შემდეგ ცხვირით ხნავდნენ მიწას, ღეჭავდნენ საკუთარ ჰალსტუხებს და უკანმოუხედავად გარბოდნენ ნაქურდალ-ნაოხრალით საქართველოდან!

თაღლითობაა არჩევნების ტოტალურად გაყალბება ხალხისაგან მოძულებული მმართველი ძალის მიერ, რათა რაც შეიძლება დიდი ხნით შეინარჩუნონ ძალაუფლება და ყვლიფონ საკუთარი ხალხი!

თაღლითობაა ფულის კეთების მართლაც ამოუწურავი ფანტაზია, რომელიც გააჩნიათ სომეხი მევახშეებისაგან დაკომპლექტებულ საქართველოს ხელისუფლებას, რომლებიც მხოლოდ ერთი პრინციპით მოქმედებენ: **"შაური შენ, შაური მე..."** ეს კიდევ ერთხელ გამოვლინდა ელექტროენერგიის ვაუჩერების მოსახლეობისათვის გადაცემისას. გეკითხებით, რა საჭირო იყო ძვირფასიან ქაღალდზე ფერადი ვაუჩერების დაბეჭდვა, თუ ენერგოდისტრიბუცია ავტომატურად ჩამოაჭრიდა ხალხს ელექტროენერგიაზე 20-ლარიან გადასახადს. მაგრამ, უეჭველია, რომ ენერგომაფიამ თვით ამ ვაუჩერების დაბეჭდვაში მიითვისა სოლიდური თანხა!

თაღლითობაა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით გატანჯული ხალხისათვის **"ბედნიერი მომავლის"** შეპირება მაშინ, როცა ქვეყანას მეურნეობის განვითარების არავითარი კონკრეტული გეგმა არ გააჩნია და სტრატეგიული ობიექტები ხელაღებით იყიდება!

თაღლითობაა ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება იმიტომ, რომ ქვეყანა ერთ მუჭა მონოპოლისტებს (საკუთარი ოჯახის წევრებს) ჩაუგდო ხელში საჯიჯგნად და საყვლეფად!

თაღლითობაა ქვეყნის კონსტიტუციია საკუთარ ნებაზე დაჭრადაკემსვა იმისათვის, რომ ხელისუფლებაში შენი უბადრუკი ყოფნა გაიხანგრძლივო!

თაღლითობაა საკუთარ დამსახურებებსა და საგარეო ფრონტებზე მიღწეულ გამარჯვებებზე ყინჩად საუბარი მაშინ, როცა შენივე უგერგილობისა და სისულელის გამო ქვეყნის 20 პროცენტი **"დე იურედ"** გაქვს დაკარგული!

თაღლითობაა უზრუნველ ცხოვრებასა და ბედნიერ მომავალზე ესაუბრო იმ ლტოლვილებს, რომელთაც ხელკეტებით ერეკები დროებითი საცხოვრებლებიდან!

თაღლითობაა, სიტყვით მართლმადიდებლობასა და რელიგიურობაზე სდებდე თავს, საქმით კი (არა მხოლოდ **"იმედელი"** მსახიობის შორენა ბეგაშვილის მეშვეობით) დაუნდობლად ებრძოდე ქალიშვილობის ინსტიტუტსა და სხვა მდიდარ ქართულ ტრადიციებს, ამკვიდრებდე ამორალური ცხოვრების წესს, ეწეოდე ჰომოსექსუალიზმისა და სხვა სოდომური შეცოდებების პროპაგანდას და ამრავლებდე ანტირელიგიურ სექტებს!

თაღლითობაა საკუთარი ჩინოვნიკებისათვის სასათბურე პირობების შექმნა და მილიონობით სამოვლინებო ხარჯების უაზროდ გაწევა მაშინ, როცა საქართველოში მრავალი უსასოო და იმედგადაწურული ადამიანი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

თაღლითობაა დემოკრატიული აღმშენებლობის წარმატებებზე საუბარი იმ საქართველოში, რომელიც ერთი მუჭა **"ნაციონალების"** დიქტატურისა და ტირანიის კლანჭებშია მოქცეული და დაუნდობლად იდევნება განსხვავებული აზრი!

თაღლითობაზე ბევრად უარესია ის, როცა შენივე დანიშნულ გუბერნატორს სამართალდამცავები მექრთამეობაში ამხელენ, შენ კი მას სამსახურიდან არ ანთავისუფლებ, იმიტომ, რომ იგი შენი ყურმოჭრილი მონაა და შენი საკმაოდ ბნელი ინტერესების დასაცავად მრავალი უკადრისი და საძრახისი საქმის მკადრებელია!

ყველაზე დიდი **თაღლითობა** კი **"ვარდების რევოლუცია"** გახლდათ, რადგან სინამდვილეში არავითარი რევოლუცია არ მომხდარა და სულბინძურმა შევარდნაძემ გარკვეული ანგარებითი გარიგების ფასად დაუთმო ქვეყნის სადავეები **"ახალგაზრდა რეფორმატორებად"** ცნობილ არაქართველებს!

თქვენს გადაცემაში თაღლითობის დამაგვირგვინებელი აკორდი კი გახლდათ იმის გაცხადება, რომ ხალხი **"გაგნიძის ძვირადღირებულ პრეპარატებს ყიდულობსო"**. და ეს მაშინ, როცა გაგნიძის პრეპარატით მკურნალობის ერთი კურსი, რომელსაც ჭეშმარიტად ძალუძს ადამიანის მძიმე დაავადებისაგან განკურნება, მხოლოდ 600 ლარი ღირს, მაშინ, როცა ამ ფასად (ოპერაციას და სხვა ძვირადღირებულ მკურნალობებს რომ შევეშვათ) ნებისმიერ საავადმყოფოში ან პოლიკლინიკაში, ალბათ, გამარჯობასაც არ გეტყვიან!

ხედავთ, თურმე თქვენც თაღლითები ყოფილხართ და გარშემოც უამრავი თაღლითი და ავისმქმნელი შემოგკრებიათ! ერთი გაზეთი არ ეყოფა ყველა ის თაღლითობის ჩამოთვლას, რომლის შემოქმედებსაც თქვენ ესოდენ მონური მოღიცილებითა და შუბლზე სინდისის ძარღვის გაწყვეტით ემსახურებით!

თქვენ კი მიადექით ამ ხანდაზმულ, წესიერ, მშრომელ ადამიანს და საჯაროდ თაღლითობაში **"ამხილეთ"!**

მართლაც შესაშურია თქვენი "ჟურნალისტური მიგნება"!

თუმცა, ეს უკვე არც თაღლითობაა და არც კაზუისტიკა. ბოდიშს გიხდი ასეთი მკაცრი შეფასებისათვის, მაგრამ ამგვარი უტიფრობა უკვე თავხედობისა და ნაძირალობის კატეგორიას განეკუთვნება!

არა მგონია, ამ მძიმე სენისაგან თუნდაც დომენტი (ბიჭიკო) გაგნიძის მართლაც სასწაულმოქმედი პრეპარატის გამოყენებით დაიხსნათ თავი!

ხშირად, როცა ამა თუ იმ სპეციალობის წარმომავლობაზე ვდავობდით, ჟურნალისტებს ნახევრად ხუმრობით გვეუბნებოდნენ: **"თქვენი წარსული სავსებით გარკვეულია – მსოფლიოში №1 პროფესია პროსტიტუცია იყო, №2 კი ჟურნალისტიკაო"**! შეიძლება მართლაც ასე გახლდათ, დარწმუნებით კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტიკა 99 პროცენტით კეთილსინდისიერებაა, ერთი პროცენტით კი ლამაზად და შინაარსიანად საუბრისა და წერის უნარი.

აი, როცა ყველაფერი პირიქითაა, ეს უკვე ნამდვილი პროსტიტუციაა და არა ჟურნალისტიკა!

ამიტომ, ვურჩევ **"იმედის"** და სხვა ანგაჟირებული და ხელისუფლების **"ჯიბის ტელევიზიათა"** და ჟურნალ-გაზეთების ჟურნალისტებს – ნუ გადააქცევთ ჟურნალისტიკას ნომერ პირველ პროფესიად, სჯობს კვლავ მეორე პოზიციაზე დავრჩეთ!

ასე ხომ სახელსაც შევინარჩუნებთ და ღირსებასაც!

გაიხსენეთ თუნდაც ტელეარხ **"რუსთავი-2"**-ის ჟურნალისტი, მომხიბლველი ეკა ხოფერია, რომელმაც არაკეთილსინდისიერი პროდიუსერების ზეწოლის მიუხედავად, არ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და პროტესტის ნიშნად დასტოვა ტელესტუდია! მან თანამდებობა დაჰკარგა, მაგრამ საერთო სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა, რომელიც ისედაც არ აკლდა!

გამსახურდია რომ ვახსენე, დიდი პოეტის გვართან დაკავშირებული რაჭული სიმღერა გამახსენდა **"წერეთელმა დაგვიბარა"!** ვერავინ დაადგინა, თუ რა დაუბარა წერეთელმა ასეთი ქართველებს!

ალბათ ის, რომ, არიქათ, როგორმე გალანძღეთ გაგნიძე, რათა მასთან აღარავინ მივიდეს სამკურნალოდ, თორემ, უცხოეთში კაპიკებად ნაყიდი პრეპარატები, აქ რომ ცეცხლის ფასად ვყიდით, მთლიანად ჩაგვიწვა და მალე მთელი წამლის მაფია გავკოტრდებითო!

მალე დამთავრდება ამგვარი წერეთლების პარპაში, რომელთაც ბუმერანგად დაუბრუნდებათ ავკაცობა!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

დადიანი-ანჩაბაძე მარიამ (მაშო) ნიკოლოზის ასული

აფხაზეთის ღირსეული შვილები

(აფხაზეთის საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი)

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

დადიანი-ანჩაბაძე მარიამ (მაშო) ნიკოლოზის ასული დაიბადა 1870 წელს, ზუგდიდში, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო დადიანის (1844-1896) ოჯახში. თავის ძმასთან, ცნობილ ქართველ საბჭოთა მწერალ, დრამატურგ, თეატრალურ მოღვაწე შალვა დადიანთან (1874-1969) ერთად მიიღო შესანიშნავი განათლება, ოჯახში მოწვეული პედაგოგების ხელშეწყობითა და დახმარებით.

სწორედ თავაუდებელი სწავლის შედეგი გახლდათ ის, რომ მარიამ ნიკოლოზის ასული დადიანი-ანჩაბაძე სრულყოფილად ფლობდა რუსულ, ფრანგულ, ქართულ და მეგრულ ენებს. უკვე ყმაწვილქალობიდან ეწაფებოდა ცოდნას, კითხულობდა რუსი და ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებს და მის თანამედროვე თუ ისტორიულ ევროპულ ლიტერატურას.

ასევე, ადრეული ასაკიდან გაიტაცეს მარიამი მისი ეპოქის პროგრესულმა სოციალურ-პატრიოტულმა იდეებმა. ჭეშმარიტად რევოლუციური იდეების ზეობის ჟამი იდგა მაშინ, თაობები ბობოქრობდნენ, ერთმანეთში ურთიერთობებს არკვევედნენ, მუდამ ჭეშმარიტებას ეძებდნენ...

იქმნებოდა ახალი პილიტიკური და იდეური მიმართულებები, დიდი სულიერი მოთხოვნა იყო განათლებაზე. სწორედ ამან დააყენა დიდი არჩევნის წინაშე ახალგაზრდა, პროგრესული იდეებით გაჟღენთილი ქალი, რომლის სულისკვეთება მუდამ გამსჭვალული იყო განათლებისადმი მიდრეკილებით და ამ განათლების ხალხში გატანის დაუოკებელი სურვილით. მოგვიანებით იგი აფხაზ ანჩაბაძეს გაჰყვა ცოლად, აფხაზეთში დასახლდა და აქტიურ პედაგოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობას შეუდგა. სამუშაოს ძებნა არ უხდებოდა – მასთან თავად მოდიოდნენ წერა-კითხვას დაუფლების მსურველები, მოდიოდნენ ათობით, ასობით...

მარიამის თავდაუზოგავი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისათვის და როცა 1909 წელს აფხაზეთში გაიხსნა **"წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"**, უკვე ცნობილი პედაგოგი-ქალბატონი მის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი აქტიურად აყალიბებდა ამ უწყების აფხაზურ რაიონულ ორგანიზაციებს. მალე იგი აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრად აირჩიეს, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა მისი პედაგოგიური თვალსაწიერი. აქ იგი სათავეში ჩაუდგა მხატვრულ სექციას და ფასდაუდებელი შრომა გასწია აფხაზ და ქართველ ინტელიგენციას შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, რაც საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების მაინცადამაინც დიდ აღფრთოვანებას არ იწვევდა. ქალბატონ მარიამის ინიციატივით სოხუმში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და კულტურის მოღვაწეები, ეწყობოდა ლიტერატურული დისკუსიები და მხატვრულ ნაწარმოებთა გარჩევები.

1903 წლის მაისში აფხაზეთის ადგილობრივმა და ქართულმა ინტელიგენციამ, ქალბატონ მარიამ ანჩაბაძის ინიციატივით, გულთბილი შეხვედრა მოუწყო დიდ ილია ჭავჭავაძეს, 1911 წელს აფხაზეთში ასევე ღირსეულად დახვდნენ დიდ ქართველ მოღვაწესა და მეცენატს ივანე სარაჯიშვილს, ხოლო 1913 წელს – დიდ ქართველ მსახიობსა და თეატრის მოღვაწეს ლადო მესხიშვილს.

1908 წელს სოხუმში ჩატარდა აკაკი წერეთლის პოეტური მოღვაწეობის 50 წლისთავი. ქალბატონი მარიამის ინიციატივით სოხუმის მეორე სახელმწიფო თეატრთან 1921 წელს ჩამოყალიბდა ქართული დრამატული სამოყვარულო ჯგუფი, და ყველა წინაპირობა შექმნა საიმისოდ, რომ ამ ჯგუფის ბაზაზე 1928 წელს ჩამოყალიბებულიყო აფხაზეთის ქართული პროფესიული თეატრი.

1929 წელს აფხაზეთში ფართოდ აღინიშნა მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძის საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობის 25 წლისთავი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ იქნენ მისი ვაჟიშვილები ვიანორ და გიორგი ანჩაბაძეები და სიძე ნიკოლოზ აქირთავა, მარიამი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ თბილისში, თავის ქალიშვილთან, სადაც აღესრულა კიდეც 1958 წელს.

1991 წელს, როცა საქართველო სრულ ქაოსში იყო ჩაძირული და მზადდებოდა ძმათამკვლელი ომი, აფხაზეთის საზოგადოებამ მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძის ნეშტი სოხუმში გადაასვენა და იმ მიწას მიაბარა, რომლის საკეთილდღეოდ დიდი ღვაწლი გასწია სულმნათმა პატრიოტმა.

ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიყვანა

ამის შესახებ **„კურსორინფო"** იუწყება. ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო შტაბის ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქეებისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ ეგვიპტე, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, კოტ-დივუარი, მალი, მავრიტანია და ვენესუელა.

უსაფრთხოების სამსახურები ისრაელის მოქალაქეებს ამ ქვეყნებში სტუმრობისაგან თავის შეკავებას ურჩევენ.

ისრაელის მოქალაქეების მისამართით მოსალოდნელი ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობაზე, ტერორიზმთან ბრძოლის შტაბი **„ჰესბოლას"** სამხედრო ფრთის ხელმძღვანელის, იმადა მუგნიეს ლიკვიდაციის მესამე წლისთავის მოახლოების გამო ალაპარაკდა. მუგნიე 2008 წლის 13 თებერვალს დამასკოში მოკლეს. **„ჰესბოლა"** მის მოკვლაში ისრაელს ადანაშაულებს, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურ თელ-ავივს მომხდარზე პასუხისმგებლობა არ აუღია. სპეციალისტების აზრით, მუგნიე რამდენიმე ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობის შედეგად მოკლეს.

ისრაელის მიერ საქართველოს სახიფათო ქვეყნების სიაში შეყვანასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს საპარლამენტო ფრაქცია **„ქრისტიან–დემოკრატების"** ლიდერ გიორგი ახვლედიანს. იგი ისრაელის გადაწყვეტილებას ებრაელ ბიზნესმენებთან მომხდარ სკანდალს უკავშირებს.

როგორც გიორგი ახვლედიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ისრაელმა საქართველო სახიფათო სახელმწიფოების რიცხვში ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო შეიყვანა, რამაც მთელი ცივილიზებული სამყაროსა და ბიზნესსაზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს ებრაელი ბიზნესმენების – ფუქსისა და ფრენკელის პროცესი, რომლებიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის მოსყიდვის მცდელობაში არიან ეჭვმიტანილი.

საქართველო ლობისტ კომპანიებს 1,5 მილიონს უხდის

2010 წელს საქართველომ გავლენიან ამერიკულ კომპანიებს საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის 1.5 მილიონ დოლარზე მეტი გადაუხადა. ინფორმაციას ამის შესახებ **Eurasianet.org**-ი ავრცელებს. ინტერნეტგამოცემის ცნობით, ქართული მხარე აშშ-ის ხელისუფლების წინაშე თავის წარმოსაჩენად ოთხ ფირმას იყენებს, მაშინ, როცა აზერბაიჯანი და ყაზახეთი – მხოლოდ ერთს. **„ამ დროისთვის აზერბაიჯანის ერთ კომპანიას Patton Boggs-ს თვეში 35 ათას დოლარს უხდის, ყაზახეთი პიარ-ფირმა BGR-ს – 25 ათასს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მარკ საილორს წელიწადში 120 ათასს უხდიან, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების მოსაგვარებლად"**, – წერს გამოცემის მიმომხილველი ჯოშუა კუცერა.

„ლობირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამბიციური, განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ გამოცდილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები", – აღნიშნავს **Sunlight Foundation**-ის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბილ ელისონი.

მისივე თქმით, ამ სახელმწიფოებმა უნდა **„ააშენონ"** ურთიერთობა კონგრესთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან და თავდაცვის სამინისტროსთან და ეს ფული ამად ნამდვილად ღირს.

„ნაცვლად იმისა, რომ ვიღაც ღარიბი ქართველები გამოუშვან კონტაქტების სწრაფად დასამყარებლად, საქართველო ქირაობს იმ ხალხს, რომლებიც მუშაობდნენ ამა თუ იმ დაწესებულებისთვის და აქვთ კარგი ურთიერთობა როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე პოლიტიკურ მოთამაშეებთან ვაშინგტონში", – განაცხადა ელისონმა **Eurasianet.org**-თან საუბრისას.

ზუგდიდის ახლადაშენებულ სპორტულ კომპლექსში წვიმიან ამინდში ვარჯიშები არ ტარდება

ოთხიოდე წლის წინათ ზუგდიდის შემოსასვლელთან სპორტული კომპლექსი აშენდა, სადაც სხვადასხვა სპორტული ღონისძიება ტარდება და სპორტულ სექციებში სავარჯიშოდ დადიან ახალგაზრდები. მიუხედავად იმისა, რომ სენობა ახალაშენებულია, სახურავი დაზიანებულია, საძირკველი – მორყეული. სახურავიდან

გამოჟონილი ნაწვიმარი წყალი კასრებითა და ვედროებით გააქვთ შენობიდან, ამიტომაც სპორტკომპლექსის შემოსასვლელ კარებთან ასეთი წარწერაა **„წვიმიან ამინდში ვარჯიშები არ ტარდება"**.

იმ ადგილას, სადაც ახლა სპორტკომპლექსია აშენებული, თურმე ეკლესია იდგა, ამიტომაც ზუგდიდის საზოგადოებრიობა და ეკლესიის მსახურნი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, ნაეკლესიარზე სპორტკომპლექსი აშენებულიყო, მაგრამ მათი მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტკომპლექსის მშენებლობას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ისინი ბეტონის ფილის ქვეშ მოჰყვნენ და გაიჭყლიტნენ.

ურჩი ფინანსური პოლიცია – საღამო რესტორანში რუსული მუსიკის თანხლებით

საქინფორმისთვის ცნობილი გახდა, რომ გუშინ, 17 თებერვალს ლეონიძის №2 მდებარე რესტორან „სოლოლაკის კარში" ფინანსური პოლიციის სპეცნაზის თანამშრომლებს ერთ–ერთი თანამშრომლის დაბადების დღის აღსანიშნავ საღამოზე გვარიანად მოულხენიათ.

მოლხენის უფლება, რაღა თქმა უნდა, ყველას აქვს, თუმცა ამ ამბავში ძალზე საყურადღებოა ერთი დეტალი. კერძოდ, როგორც საქინფორმის წყარო განმარტავს, კარგად შეზარხოშებულ სპეცნაზს რესტორნის თანამშრომლებისთვის ერთერთი ცნობილი რუსული სიმღერა „Господа офицеры" შეუკვეთავს და მთელი საღამო აღნიშნული სიმღერის ჰანგებზე იცეკვია და უმღერია. სიმღერა „Господа офицеры" იმს რუს სამხედროებზეა დაწერილი, რომლებიც რუსეთის თავისუფლებისთვის „მკერდს ტყვიას უშვერენ".

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ საქინფორმისთვის ცნობილი გახდა, რომ დეპუტატ შოთა მალაშხიას ინიციატივით, საქართველოში არსებულ ყველა რესტორანში რუსული სიმღერები აიკრძალა. საქართველოს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა რესტორნების მეპატრონეები წინასწარ გააფრთხილეს, რომ მისდამი დაქვემდებარებულ ობიექტზე მტრის ნაწარმოებების შესრულებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ხუთასი ლარის ოდენობით?! მერე რომ არ ეთქვათ, არ ვიცოდით, არც კი გაგვიგონია ამგვარი აკრძალვის შესახებო, ვერდიქტის ქვეშ ხელი მოაწერინეს არა მარტო იმ რესტორნების მფლობელებს, სადაც „ცოცხალი მუსიკა" ისმის, არამედ თავად მუსიკოსებსაც და მომღერლებსაც.

ამ ყველაფრის გამო, „სოლოლაკის კარის" დირექტორი თურმე, მთელი საღამო ცახცახებდა, თუმცა ვის რას ეტყოდა და აუკრძალავდა, როცა მუსიკა თავად „გამაფრთხილებლებმა" – ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა შეუკვეთეს.

როგორც ჩანს, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ხელისუფლების ამ იდეას, რომელსაც ალბათ, სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა შეგნების დაბალი დონის გამოხატვა, უკვე აღარ ემორჩილებიან.

ამასთან, საინტერესოა, უკვე ცნობილია თუ არა ამ ფაქტის შესახებ ხელისუფლებისთვის, ან თავად ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობისთვის მაინც და თუ ცნობილია, ვის მოეთხოვება პასუხი, უწყების ნაბახუსევ თანამშრომლებს, თუ რესტორნის ხელმძღვანელობას, რომელსაც, ალბათ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გზა არ ჰქონდა.

რაც შეეხება სიმღერას, რომელიც ჩვენმა სამართალდამცველებმა მთელი საღამოს განმავლობაში არაერთხელ შუკვეთეს, მისი ტექსტი ასე ჟღერს:

„Господа офицеры, по натянутым нервам
Я аккордами веры эту песню пою.
Тем, кто, бросив карьеру, живота не жалея,
Свою грудь подставляет за Россию свою.
Тем, кто выжил в Афгане, свою честь не изгадив,
Кто карьеры не делал от солдатских кровей.
Я пою офицерам, матерей пожалевшим,
Возвратив им обратно живых сыновей.
Офицеры, офицеры, ваше сердце под прицелом.
За Россию и свободу до конца.
Офицеры, россияне, пусть свобода воссияет,
Заставляя в унисон звучать сердца.
Господа офицеры, как сберечь вашу веру?
На разрытых могилах ваши души хрипят.
Что ж мы, братцы, наделали, не смогли уберечь их.
И теперь они вечно в глаза нам глядят.
Вновь уходят ребята, растворяясь в закатах,
Позвала их Россия, как бывало не раз.
И опять вы уходите, может, прямо на небо.
И откуда – то сверху прощаете нас.
Так куда ж вы уходите, может, прямо на небо.
И откуда – то сверху прощаете нас.
Офицеры, офицеры, ваше сердце под прицелом.
За Россию и свободу до конца.
Офицеры, россияне, пусть свобода воссияет,
Заставляя в унисон звучать сердца.
Офицеры, офицеры, ваше сердце под прицелом.
За Россию и свободу до конца.
Офицеры, россияне, пусть свобода воссияет,
Заставляя в унисон звучать серд-ца".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულდა, არის საქინფორმი!

ვინც ქართულ მასმედიას იცნობს, თვალყურს ადევნებდა ბეჭდური მედიის პუბლიკაციებსა თუ ტელერადიომაუწყებლობას, შეუძლებელია, არ იცოდეს, რა არის საქინფორმი, როგორი იყო მისი მაუწყებლობის მასშტაბები და ხარისხი.

ცოტაოდენი ისტორია:

საქინფორმი, როგორც რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს საერთოკავკასიური სამმართველოს განყოფილება, 1921 წელს დაარსდა. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 6 მარტის დადგენილებით, ის ამიერკავკასიის სატელეგრაფო სააგენტოდ გადაკეთდა, ხოლო 1936 წლის ბოლოს ქართული სატელეგრაფო სააგენტო (გრუზტაგი) ეწოდა, რომელიც საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს საზღვარგარეთული და საკავშირო სამსახურის (ტასი) შემადგენლობაში შედიოდა.

1972 წლიდან ის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო სააგენტო საქინფორმია, რომელიც 1990 წელს ეროვნულ საინფორმაციო სააგენტო **"საქართველოდ"** გადაკეთდა.

საქინფორმი, უწინარეს ყოვლისა, მუდამ ხელისუფლების ოფიციალური მედიაორგანო იყო: იგი რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს აწვდიდა მასალებს ქვეყნის ოფიციალურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე, შინაარსობრივად მაღალხარისხიანსა და მდიდარ ინფორმაციას თითქმის ყველა საკითხზე, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და წრეს აინტერესებდა.

საქინფორმი, ასევე, იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების მაუწყებლობებისთვის საქართველოს ცხოვრების შესახებ ძირითადი საინფორმაციო წყარო. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა მსოფლიოს უდიდეს საინფორმაციო სააგენტოებთან – საკდესთან (დღეს მას იტარ-ტასი ჰქვია), ასოშიეიტედ პრესთან, ფრანს პრესთან, სინხუასთან და სხვ. ამ და სხვა სააგენტოებს ხშირად გამოუქვეყნებიათ და გადაუციათ თავიანთი ქვეყნის გაზეთებისთვის საქინფორმის მიერ მომზადებული მასალები საქართველოს შესახებ.

გარდა საკუთარი ინფორმაციებისა, საქინფორმი იღებდა მასალებს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების თაობაზე და გადასცემდა მათ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

საქინფორმის მრავალმხრივ საქმიანობაზე მეტყველებდა მისი მთავარი რედაქციების სახელწოდებანიც: რესპუბლიკური ინფორმაციის, საკავშირო ინფორმაციის, უცხოეთის ინფორმაციის, ფოტოინფორმაციისა და ფოტოწარმოების რედაქციები, მთარგმნელობითი სამსახური და სხვ. არსებობდა სპეციალური სამსახური რაიონული გაზეთებისთვის, რომლებსაც, საფოსტო საშუალებების გარდა, ინფორმაცია რადიოს მეშვეობით გადაეცემოდა.

ინფორმაციის გაცვლის კომპიუტერული სისტემის დამკვიდრებამდე საკავშირო და უცხოეთის სააგენტოებთან, საქართველოს რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებთან კავშირი სატელეტაიპო იყო.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გამოყენებული და გადაცემული ოფიციალური მასალები – პარტიის ყრილობების, მთავრობის სხდომების, საქართველოში უცხოეთის დელეგაციების ყოფნის ანგარიშები, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები, კანონები და ა.შ. – მთლიანად, თითქმის 100 პროცენტით, საქინფორმის მომზადებული იყო. ამასთან, საქინფორმს უფლება ჰქონდა, მიეთითებინა მასალის გამოქვეყნების აუცილებლობა, თარიღი და ზოგჯერ ადგილიც კი გაზეთის ფურცლებზე.

გარდა ოფიციალური მასალებისა, საქინფორმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გადასცემდა სხვადასხვა საინტერესო მასალასაც – რეპორტაჟებს, ნარკვევებს, ჩანახატებს რესპუბლიკის თვალსაჩინო პიროვნებებზე: მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებზე, სპორტსმენებზე, დამკვრელური შრომის გმირებზე და სოფლის მოწინავე მშრომელებზე.

აღსანიშნავია, რომ საქინფორმი არ იფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით გაზეთებისა და ტელემაუწყებლობისთვის. ის საზღვარგარეთის წამყვან გამომცემლობებთან მჭიდრო კავშირში ამზადებდა და უმაღლეს პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე გამოსცემდა სხვადასხვა წიგნსა და ბროშურას. მაგალითად, საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილების, ფიროსმანის, გუდიაშვილის, კაკაბაძისა და სხვათა შემოქმედებისადმი მიძღვნილ ფოტოალბომებს. განსაკუთრებული წარმატება წილად ხვდა მთლიანად საქინფორმის კორესპონდენტთა მიერ მომზადებული რეპორტაჟების კრებულს სტიქიური უბედურებების ადგილებიდან, სახელწოდებით **"სტიქია და ადამიანები"**, სადაც აღწერილი იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში დატრიალებული სტიქიური მოვლენები: მთელი ტირაჟი რამდენიმე დღეში გაიყიდა და დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

საქინფორმი, მიუხედავად მისი წმინდა ოფიციალური დანიშნულებისა, არ ერიდებოდა კრიტიკული მასალების გამოქვეყნებასაც. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა ამან 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებისას – საქინფორმის მიერ იმხანად გამოცემული ბევრი მასალა შემდგომში შევიდა წიგნში **„9 აპრილი"**.

...და მოხდა ისე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქინფორმიც იმ სტრუქტურათა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებმაც თანდათან შეწყვიტა არსებობა, რის შედეგადაც დაზარალდა მკითხველიც, მედიაც და ქვეყანაც. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ დაიკარგა მრავალი ათწლეულის განმავლობაში შეგროვებული უნიკალური ფოტოარქივი, ხოლო საქართველო ამიერკავკასიაში – ერთადერთი, მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის კი თითქმის ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელსაც ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო არ გააჩნია.

და აი, აღსრულდა, აღდგა საქინფორმი!

რეაქცია

"საქართველოს პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მასალები, რომელთა ავტორიც საქინფორმი – „უსახელო ჯარისკაცი" იყო! მასალებს გვარები არ ეწერა, თუმცა ბევრმა მკითხველმა იცოდა, ვინ იყვნენ ავტორები. ბევრი იბეჭდებოდა ლიტერატურის, ხელოვნების, კერძოდ, თეატრის თემებზე, თუმცა ჩვენ მაინც ვცნობდით მათ ავტორებს წერის მანერით, სტილითა და ტონით.

მიხარია, რომ საქინფორმი კვლავ დგება ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რიგებში".

გიგა ლორთქიფანიძე,
რეჟისორი, შოთა რუსთაველის, სანდრო ახმეტელის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრკ–ის სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

"დიდად გამახარა ცნობამ, რომ საქინფორმმა მუშაობა განაახლა. ეს მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია: ჯერ ერთი, აღდგა დიდი ტრადიციების მქონე საინფორმაციო ორგანო, რომელიც ქვეყნის მემატიანეს წარმოადგენდა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში - ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ამ პერიოდის ცხოვრებაში ხომ, უწინარეს ყოვლისა, მის მასალებში აისახებოდა, რომლებიც შემდეგ იბეჭდებოდა გაზეთებში, თანაც ერთდროულად – რამდენიმეში.

მეორეც, საქართველოში აღარ იყო იმ დონის საინფორმაციო სააგენტო, ურომლისოდაც ნებისმიერი შემდგარი ქვეყანა ვერ წარმომიდგენია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკამ, მართალია, გარკვეულწილად შეცვლილი ფუნქციებით, მაგრამ შეინარჩუნა თავისი საინფორმაციო სააგენტო - არმენპრესი, აზერინფორმი, ბელტა, ყაზტაგი და ა.შ. ჩვენ კი როგორ მოვიქეცით? მოდი, რბილად ვთქვათ, ვერ მოვუარეთ...

და კიდევ, მთელი ჩემი შრომითი საქმიანობის უდიდესი ნაწილი საქინფორმთან იყო დაკავშირებული და ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია...

ერთი სიტყვით, მივესალმები საქინფორმის აღდგენას. იგი დიდ საქმეს აკეთებდა, ემსახურებოდა ქართულ პრესას, ქართველ მკითხველს, მთლიანად საქართველოს.

გზას დაგილოცავ, საქინფორმო!"

ზურაბ ლომიძე,
ჟურნალისტი, საქინფორმის დირექტორის ყოფილი მოადგილე

"რასაკვირველია, ყველა მწერლისთვის ეს სასიხარულო და მისასალმებელი ფაქტია, ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისთვის, ვინც ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია პრესასთან, ლიტერატურასა და განათლებასთან; ადამიანისთვის, ვინც არ ფიქრობს იმაზე, რომ ხალხი უყურებს რაღაც სისულელეებს, რომლებიც საერთოდ არაფერს იძლევა.

ეს ის ბრენდია, რომლითაც შეიძლება გახვიდე საერთაშორისო არენაზე, გაიტანო შენი კულტურაც, ინტელექტუალური შესაძლებლობებიც, ის გამოჩენილი ხალხი, ის სფეროები, რომლებიც ყოველთვის წინა პლანზე იყო საქართველოში და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდ პატივს სცემდნენ ჩვენს ჟურნალისტებს, იმიტომ, რომ ისინი პროფესიონალები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურის, თუნდაც იმ მიმდინარეობის მიერ, რასაც დღესაც ვერ ვიგებ და რასაც სოციალისტური რეალიზმი ჰქვია. რეალიზმი ან არის ან არა, გინდა სოციალისტური დაუმახე, გინდა - ნაციონალური...

ყოველ შემთხვევაში, მე გულწრფელად მივესალმები ამას იმიტომ, რომ კარგად მესმის მისი მნიშვნელობა. პერსპექტივაში სიძნელეებს შეხვდებით, იმიტომ, რომ აქ ღირებულებებზე იქნება ლაპარაკი და იქნება იდეოლოგიური შეჯახებები. პირდაპირ იდეოლოგიურ ფრონტზე გადის საქინფორმი. მიხარია, რომ ასე ჰქვია და ზუსტად აღადგინეთ მისი სახელწოდებაც. და თუ შევძლებ, რასაკვირველია, ვეცდები, ვითანამშრომლო კიდეც თქვენთან".

რეზო ამაშუკელი,
პოეტი

"საინფორმაციო ბრენდის ახალი სიცოცხლე - ეს არის პირველი, რისი სიხარულით თქმაც შეიძლება საქინფორმის აღდგენასთან დაკავშირებით.

უძველეს ქართულ საინფორმაციო სააგენტოს, რომელიც თავის დროზე საინფორმაციო სივრცის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მისი მოცულობის ერთი მეექვსედი ეკავა, რამდენიმე წლის წინათ დაუნდობელი და უსამართლო განაჩენი გამოუტანეს - პრივატიზება და ისტორიისთვის ჩაბარება.

მაგრამ, საბედნიეროდ, მოიძებნენ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც არ დაუშვეს ზოგიერთი ჩინოვნიკის ბოროტი ჩანაფიქრის ბოლომდე აღსრულება.

ჩემი შეხედულებით, მნიშვნელობა აღარ აქვს, რომელ შენობაში განახლდება საქინფორმის ფუნქციონირება. მთავარია, რომ ის კვლავ არსებობს და დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომელთაც ინფორმაციის სფეროში მუშაობის კოლოსალური გამოცდილება აქვთ.

პატივცემულო კოლეგებო, დროსა და მოთხოვნებთან ფეხაწყობით სიარულს, ფაქტის ჟურნალისტიკისა და აზრის ჟურნალისტიკის შერწყმას, შემოქმედებით სიხარულს, წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ".

ტატო ლასხიშვილი,
გაზეთ "სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი

2006 წლის 10 აგვისტოს საქინფორმმა არსებობა შეწყვიტა – შპს „ საქართველოს საინფორმაციო სააგენტო საქინფორმი", რუსთაველის პროსპექტზე მდებარე პრესტიჟული შენობის გამო, რომლის მეოთხე სართულზეც იყო განთავსებული, ინკოგნიტოდ გაიყიდა აუქციონზე 5.050.000 აშშ დოლარად. შემდეგ ხელახლა გაიყიდა ორჯერ უფრო ძვირად, ხოლო დღეს ეს შენობა არქიტექტურის ხელშეუხებელ ძეგლად გამოაცხადეს და მის რესტავრირებას შეუდგნენ...

2010 წლის 10 აგვისტოს დამოუკიდებელი ჟურნალისტების კოლექტივმა აღადგინა საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი, რომლის ვებსაიტზეც **www.saqinform.ge** *წარმოდგენილია ინფორმაციის ფართო სპექტრი ქვეყანასა და საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ: დღის სიახლეები და ანალიტიკურ–მიმოხილვითი მასალები. ასე რომ, დღეს, 2011 წლის 10 თებერვალს, ზუსტად ნახევარი წელია, რაც ვმუშაობთ ჩვენ, ახალი საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი, რომელიც უწინდებურად მკითხველის სიახლეებით ინფორმირებას ახდენს. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ემთხვევა თუ არა სააგენტოს რედაქციის აზრი ანალიტიკური პუბლიკაციების ავტორთა და ინფორმაციის წყაროთა თვალსაზრისს, რადგან ჩვენი კრედო თავისუფალი ტრიბუნის დათმობაა ყველასთვის, თუნდაც კარდინალურად ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისისთვის, რომელიც მკითხველს დაფიქრების საბაბს აძლევს. დასკვნების გამოტანის პრეროგატივას კი მთლიანად ჩვენს პატივცემულ მკითხველს ვანიჭებთ.*

არნო ხიდირბეგიშვილი,
საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

პიერ ლიტბარსკი

დაიბადა 1960 წლის 16 აპრილს, გერმანიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში: **"ჰერტა"**, ცელენდორფი, **"კიოლნი"** (გერმანია), **"რესინგი"**, პარიზი (საფრანგეთი), **"კიოლნი"** (გერმანია), **"ჯეფ იუნაიტედ იტიხარა"** (იაპონია).

პიერ ლიტბარსკი იმდენად სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელი იყო, რომ მისთვის დიდ სიძნელესდ არ წარმოადგენდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებისათვის გვერდის ავლა. მან თავდასხმის მარჯვენა გარე ფლანგზე დაიწყო თამაში და ამოუწურავი საფეხბურთო არსენალის გამო მას გარინჩას და ჰენტოს ადარებდნენ ხოლმე. მაგრამ თუ გარინჩა მოწინააღმდეგტეებს ფინტებით სჯაბნიდა, ლიტბარსკი ამას დიდი სისწრაფის წყალობით აღწევდა – მოწინააღმდეგემ კარგად იცოდა, თუ საით მხარეს წაიღებდა ბურთს ლიტბარსკი, მაგრამ ვიდრე რეაგირებას მოახდენდა, პიერი უკვე შორს იყო ბურთიანად და კარისაკენ მიჰქროდა. მოგვიანებით ლიტბარსკიმ ნახევარდაცვის ხაზზე გადაინაცვლა, რითაც თავისი გუნდის ხერხემალი გაამაგრა. მისი დებიუტი დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ნაკრებში 1981 წელს შედგა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დასავლეთ გერმანიის ნაკრები ავსტრიის საფეხბურთო ნაკრებს შეხვდა. ეს გახლდათ წარმატებული სტარტი, რადგან ამ მატჩში ლიტბარსკიმ ორი გოლი გაიტანა, რაც გადამწყვეტი გამოდგა. 1978 წელს ლიტბარსკი **"კიოლნში"** მივიდა და ამის შემდეგ პიერ ლიტბარსკის სახელი გულშემატკივრებისათვის ამ გუნდთან ასოცირდება. იგი გერმანიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ 1990 წელს გახდა, იტალიაში გამართულ ტურნირზე. ლიტბარსკიმ სპორტული კარიერა იაპონიაში დაასრულა.

ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი

დაიბადა 1947 წლის 28 თებერვალს, პოლონეთში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში: **ბპს** გლაივიცე, **"გურნიკი"**, ზაბჟე (პოლონეთი), **"ლოკერენი"** (ბელგია), **"ვალანსიენი"**, **"კემპერი"** (საფრანგეთი), **"ლოკერენი"** (ბელგია).

ლიუბანსკი ჯერ კიდევ მაშინ გახდა სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი, როცა პოლონეთის ქალაქ ზაბჟეს მეშახტეთა გუნდ **"გურნიკში"** თამაშობდა. მისი ეს დიდი წარმატება ფეხბურთისადმი უდიდესმა პასუხისმგებლობამ განაპირობა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ 1960 წელს ლიუბანსკიმ მოედანზე შეცვალა პოლონური ფეხბურთის ლიდერი და შეტევების სულისჩამდგმელი ერნესტ პოლი. ლიუბანსკი ოთხჯერ გახდა პოლონეთის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი. ვლოდზიმეჟი პოლონეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გახლდათ 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც პოლონელებმა ყველა მოწინააღმდეგეს მოუთავეს ხელი და ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლებს დაეუფლნენ. მაგრამ უბედობა თან სდევნიდა ამ დიდებულ თავდამსხმელს – 1973 წელს, ინგლისელებთან გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლიუბანსკიმ მძიმე ტრავმა მიიღო, ნეკნები დაიზიანა და მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში, რაც აისახა კიდეც ამ გუნდის საბოლოო შედეგზე – პოლონელები მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ. რომ არა ეს დრამატიზმი, გამორიცხული არ იყო, რომ საუცხოო სპორტულ ფორმაში მყოფ პოლონელებს ჩემპიონობა მოეპოვებინათ. მაგრამ დიდი სპორტული ჟინის წყალობით ლიუბანსკი მალე დაუბრუნდა საფეხბურთო მოედანს და კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მისმა ვარსკვლავმა. ვლოდზიმეჟ ლიუბანსკიმ საფეხბურთო კარიერა საფრანგეთსა და ბელგიაში დაასრულა.

ჯონ გრეიგი

დაიბადა 1942 წლის 11 სექტემბერს, შოტლანდიაში.

თამაშობდა კლუბ **"რეინჯერში"** (შოტლანდია).

ჯონ გრეიგიც შოტლანდიის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ რეკორდსმენად არის მიჩნეული, თუმცა მისი შედეგი არც მსოფლიო ფეხბურთშია უმნიშვნელო – მან მცველისა და ნახევარმცველის ამპლუაში შოტლანდიის კლუბ **"გლაზგო რეინჯერსში"** 496 მატჩი ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში **"სელტიკი"** არავის უთმობდა შოტლანდიურ გუნდებს შორის პირველობას არც ქვეყნის ჩემპიონატში, არც თასის გათამაშებებში და არც საერთაშორისო მატჩებში, ჯონ გრეიგმა თავისი გუნდის სახელით მაინც მრავალი ავტორიტეტული ტიტულის მოპოვება შესძლო. ჯონ გრეიგი 1966 წელს შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს ჯილდო ბევრად განაპირობა იმანაც, რომ უკან დახეულმა მცველმა ულამაზესი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა იტალიელთა კარში. ეს მოხდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელიც წარმატებით განვლო შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრებმა. ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შოტლანდიელთა დაუბრკოლებელი წინსვლა ბევრად იყო განპირობებული სწორედ ჯონ გრეიგის უნაკლო თამაშით. ჯონმა შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში 44 მატჩი ჩაატარა და უმეტეს შემთხვევაში იგი გუნდის კაპიტნის სამკლაურით გამოდიოდა მოედანზე. მან ორჯერ ითამაშა ევროპის თასის მფლობელთა თასის მატჩებში, სადაც მისმა გუნდმა წარმატებას მიაღწია 1972 წელს. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ გრეიგი დამწყებ ფეხბურთელთა აღზრდაზე მუშაობდა და არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზარდა სამშობლოს.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– იცით, ყმაწვილო, ახლანდელი თაობა ყველაფერს იოლად და ზერელედ უდგება. როცა მე კარიერას ვიწყებდი, საკუთარი ჭკუის მეტი არაფერი გამაჩნდა.

– მერე რა, ბატონო პროფესორო, ახლაც ბევრი იწყებს ნულიდან.

* * *

კახელი მამა ეკითხება:

– მამი, ლიტრი რა არის?

– იგივე მეტრია, ოღონდ თხევადი!

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– აბა, ვინ მეტყვის, რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც აღარავინ უსმენს, ის კი ლაპარაკს განაგრძობს?

– მასწავლებელი, პატივცემულო, – ერთხმად პასუხობენ მოსწავლეები.

* * *

– მიხო, აბა მითხარი, შავია, მახინჯი და რვა ფეხი აქვს, რა იქნება?

– აბა, მე რა ვიცი!

– არც მე ვიცი, მაგრამ კისერზე გაზის და კარგს არაფერს გიპირებს!

* * *

– მიყვარს ადამიანები, მიყვარს და რა ვქნა?! – პირი გააწკლაპუნა და გემრიელად დააბოყინა კანიბალმა.

* * *

მიხოს ტყუპი ბიჭი შეეძინა, ერთი – თეთრი, მეორე კი – ზანგი.

– რა არის, ქალო, ეს?! – ეკითხება ცოლს, – რატომაა ერთი თეთრი, მეორე კი შავი?

– მეხი კი დაგეცეს შენა, მა რა გეგონა, სულ ჭადრაკს რომ თამაშობდი?!

მეგრული პოეზიის ნიმუშები

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ ბივი ბოჯაბუას მიერ შედგენილი წიგნიდან "მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".

სიზმარი	*სიზმარი*
გიმასიზმარ, ღორონთემსი	*დამესიზმრა, ღმერთები*
გეგმურთუმუდესი თუდო,	*ჩამოსულიყვნენ ძირს*
ტანს მუნაფა მუკაქუნდეს,	*(დედამიწაზე),*
დუს ბჟა გიორთუდეს	*ტანთ ღრუბელი ეცვათ,*
ქუდო.	*თავზე მზე ეხურათ*
ვარჩხილიში ფსუაცალო	*ქუდად.*
მუკობუდუ თუთა ცასი	*ვერცხლის ფრთასავით*
დო თანდუდუ თუთაშ-	*ეკიდა მთვარე ცაზე*
ფერო	*და თენდებოდა მთვარის-*
თი სასწაულ თუთაშხასი.	*ფრად*
ანგელოზეფ მოყუნდესი,	*იმ სასწაულ ორშაბათს*
ღორონთემსი მაყვენჯეფო,	*(მთვარის დღეს).*
თინეფიში სქუალეფი	*ანგელოზები მოჰყავდათ*
დედამიწაშ დარენჯეფო.	*ღმერთებს მხლებლებად,*
გილეშესი, ქადაგენდეს,	*მათი შვილები*
ცა იბირდუ, ბჟა იბირდუ,	*დედამიწაზე სამყოფლად.*
დო კოჩი კოს ვაყვილუნ-	*დადიოდნენ, ქადაგებდნენ,*
დუ,	*ცა მღეროდა, მზე მღერო-*
ვართ ნახანდის მიოხირ-	*და*
დუ...	*და კაცი კაცს არა კლავ-*
ირკოს ართიან უყორდუ,	*და,*
მითინ ვარწყედ უჩა	*არცა ნაჯაფს ჰპარავდა...*
დღასი,	*ყველას ერთმანეთი უყ-*
მუდგარენი სარკო ორდუ	*ვარდა და*
თი თუთაშფერ თუთაშხ-	*არავინ (ხედავდა) იყო შავ*
ასი...	*დღეში,*
გუმაკურცხინ, გიბჯინიო,	*რადგან საოცარი იყო*
მედინაფედ ნასიზმარუ,	*იმ მთვარისფერ*
ღორონთს ძიცა ქუდუჭყა-	*ორშაბათს...*
ფუდ,	*გამეღვიძა, რომ მი-*
თუთათ ნტებედ სერით	*მოვიხედე,*
მალუ.	*დაკარგულიყო ნასიზმ-*
	რალი,
	ღმერთს სიცილი დაეწყო,
	მთვარეც გაქცეულიყო
	დამე მავალი.

ამერიკის პრეზიდენტის დღე თბილისში

21 თებერვალს შეერთებულ შტატებში ამერიკის პრეზიდენტის დღე აღინიშნება.

თბილისში კი **„ამერიკის მეგობართა კლუბის"** ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა შეერთებული შტატების პრეზიდენტების ფოტო გამოფენა, ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმი და გაიმართება საჯარო ლექცია თემაზე **„ამერიკის პრეზიდენტი"**.

ღონისძიებას დაესწრებიან ამერიკის საელჩოსა და საქართველოს პარლამენტის წევრები.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, საქინფორმის კორესპონდენტმა საკუთარი აზრი საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელს ჰკითხა.

გიორგი, 24 წლის: „მე ნამდვილად არ მაინტერესებს და, სულ რომ ძალით მიმიყვანონ იქ, მაინც არ შევალ, მარა ვისაც უსწორდება, იჯდნენ და ისმინონ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ".

თამრიკო 49 წლის: „ვფიქრობ, რომ ეს ახალგაზრდებიც ვიღაცის დასანახად აკეთებენ ამ ყველაფერს, თორემ ახლა რომელს უხარია საათობით ამერიკის პრეზიდენტზე საუბარი? ეტყობა, რაღაცის გამორჩენას ელოდებიან და თავს ამახსოვრებენ იმ პარლამენტის წევრებს, ეს ხომ მათთვის აპრობირებული მეთოდია".

ზურა 54 წლის: „იმ ახალგაზრდებს დიდი სიამოვნებით დავუსვავდი ერთ შეკითხვას – ნუთუ ჩვენი ქართველი მოღვაწეებისა და გმირების დღეები უკვე ისე ომახიანად და პომპეზურად გადაიხადეს, რომ ახლა უკვე ამერიკის პრეზიდენტის დღეზე არიან გადასულები? ან დავიჯერო, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში იმ პარლამენტარებს ამაზე მეტი საქმე და სადარდებელი არ აქვთ?"

ნინო 21 წლის: „მე ნამდვილად არ მესმის, რატომ უნდა აღვნიშნო ამერიკის პრეზიდენტის დღე. დამისაბუთოს ვინმემ, რა დამსახურება აქვს ამ კაცს ან ჩემი, ან ჩემი ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში და მაშინ პირველი მე ვიქნები, ვინც ამ ღონისძიებაზე მივა, მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ ვხვდები, რატომ აკეთებენ ამას; მეტიც, პირადად მე ამ საქციელსა და დღევანდელ საღამოს ქართულ მატრაკვეცობად მივიჩნევ!".

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27